კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№42 (798) 15 - 16 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

პაატა ზაქარეიშვილი რუსეთის აგენტობას უარყოფს

„მიმაჩნია, რომ მართალი ვარ. მინისტრობისთვის არასოდეს მიბრძოლია და თანამდებობაც ჩემთვის მშვიდი ნავთსაყუდელი არ არის და ვიღაცებმა შეურაცხყოფა რომ არ მომაყენონ, ამის გამო ჩუმად არ ვიქნები. ვიდრე პირში სული მიდგას და მინისტრის თანამდებობა მიკავია, 20 წლის განმავლობაში რა საკითხებზეც ვლაპარაკობდი, ახლა შევასრულებ, რადგან ამაზე კარგი პირობები არასოდეს მექნება. სანამ ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ეს საქმე უნდა ვაკეთო, „ნათარ ნოდარიძეების“ აზრზე არ ვიდარდებ. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“

გვ. 3

„ნაციონალებმა ერთხელ მაინც აღიარონ, რომ რუსების მარიონეტები იყვნენ!“

ირინა სარიშვილი: „თუ უახლოეს დღეებში დაპირისპირება და სისხლისღვრა მოხდება, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ნაცმოძრაობის ორგანიზებული იქნება!“

„ოცნებას“ ვაფრთხილებ — იგეგმება სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც კითხვაც კი არ დაისმევა ჩვეულებრივი „ობივატელის“ მიერ, ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ესა თუ ის მკვლელობა. ჩამდენები, დიდი აღბათობით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იქნებიან, მაგრამ დაბრალების დიდი აღბათობა სწორედ „ოცნების“ მისამართით იქნება!“

გვ. 5

დავით დარჩიაშვილი: „ნაციონალები“ და „ოცნება“ სხვადასხვა პლანეტიდან ვართ!“

„დიდი უსინდისობა მგონია იმის ხაზგასმაც, რომ შენმა ხელისუფლებამ იომა, საშინელი აგრესიის გამო იძულებული გახდა, უკან დაეხია, რათა სახელმწიფოებრიობა მთლად არ დანგრეულიყო და მას დააბრალო, ტერიტორიები ჩააბარაო. ასევე, დიდი უსინდისობაა თავის იმით გართობა, რომ თურმე, დაბომბვის დროს იქ მყოფი პრეზიდენტი წაიქცა და ზემოდან დაცვა დააწვა — ეს არაადამიანობა და ხალხის შეცდომაში შეყვანაა! ერთი, რომელიმე მათგანი გორში დაბომბვის დროს დამდგარიყო და ვნახავდით, როგორ მოიქცეოდა!“

გვ. 6

„სულაც არ მსიამოვნებს, რომ პუტინსა და ივანიშვილს ერთ კონტექსტში განვიხილავ!“

რას თვლის მთავრობის სისუსტედ ივანიშვილის პარტიის აღმასრულებელი მდივანი

ვის მიიჩნევს ნაციონალებში „ჯანმრთელ ბირთვად“ არმაზ ახვლედიანი

გვ. 4

ფონიჭალის აზერბაიჯანული სკოლის აზერბაიჯანელი დირექტორი განათლების სამინისტრომ ქართული ენის ლობირებისთვის გაათავისუფლა?!

გვ. 12

ვინ გახდება ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი

სოლომონ პავლიაშვილი ქართველ ბიზნესმენთა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მონოპოლიებს შიფრავს

გვ. 8

დიტო ველოვანი

დედებისა და აფეთქებების შესახებ

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

ადვოკატი მამუკა ნოზაძე თეა წულუკიანს დანაპირების შესრულებისკენ მოუწოდებს

გვ. 10

ვახტანგ ტატიშვილი: „მერაბ სეფაშვილს არ უნდა ეწყინოს, თუ ხალხს ვახო მასზე მეტად უყვარს!“

გვ. 14

დედებისა და აფეთქებების შესახებ

დიტო გელოვანი

— ყველაფერი თავისით დალაგდა. ნათქვამია, წყალი საგუბარში დგებაო. ა, უყურეთ, ახლა თქვენ: კვიშილაძე გემრიელებს მიირთმევს! მისია და მიირთმევს. ქუჩულორია მელაა და მასეთები ლაქიობით არიან მაძღრები. ეგეც თავის ადგილზეა ახლა. ჭონიას, მართალია, არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ერგება, მაგრამ მისი ხვედრი მაინც ახვედრა ღმერთმა. საცოდავი ვარამია მართალი კაცია. სამართალმა პური უნდა ჭამოს, პური და სხვა არაფერი. არც ერგო ღომის მეტი უბედურს. თავისით ჩადგა წყალი კალაპოტში. ასეც უნდა მომხდარიყო და ასეც არის ეს.
— ასე რომ არის ეგ, სხვაა, მაგრამ ასე თუ უნდა იყოს, ეს არის საკითხავი, — თქვა დათა თუთაშხიამ, — რომ დაჭამეს ერთმანეთი და აღარც ერთი აღარაა ადამიანი მაგათში.

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

თენგიზ სხირტლაძის ფოტო

ისიც ასეა — ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში. იყო, მაგრამ საკითხავი ის არის, თუ უნდა ყოფილიყო ან როგორ უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყო 9 აპრილის აღნიშვნა, მაგრამ როგორ? იმას არ ვგულისხმობ, დღისით, მზისით, პოლიტიკოსები და მათთან დაახლოებული და გათანაბრებული პირები გვირგვინებს რომ ეზიდებიან პარლამენტის წინ და ვერ გადაუწყვეტიათ, 9 აპრილს დაღუპულებს გლოვობენ თუ ამავე დღეს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ამხნევებენ — ცოტაც და, გიშველითო.

მაგას არ ვგულისხმობ, დღისა და მზის ამბებს. ის მაინტერესებს, 9 აპრილს, გამთენიისას რაც ხდება ხოლმე — 24 წელი ერთი და იგივე სახეები, სანთლები, ჩუმი საუბრები და მონატრება ერთმანეთისა და ერთობისა. ასე ხდება ხოლმე, მაგრამ გასული კვირა სულ სხვა იყო. ტყემლით მაინც სულ სხვააო და... ნაცბოზბანდასთან ერთად, მართლაც სულ სხვა აღმოჩნდა.

ხალხი იდგა და, 1989 წლის 9 აპრილის ნაცვლად, 2003 წლის 22 ნოემბერს განიცდიდა. გაივლის რამდენიმე დღე და აბდულა გიულისთან შეხვედრის წინა დღეს ალასა გიულის ბიჭი ტრაილერს დაეჯახება. არავის განუცდია. ამ 24 წელიწადში განცდაც ბევრი იყო და განსაცდელიც.

გასული კვირის იმ ღამეს, 9 აპრილი რომ თენდებოდა, ხელში გვირგვინებითა და სახეზე უტიფრობით თვით ნაციონალები გამოგვეცხადნენ — უგულავა, ნასარიძე, იონათამიშვილი... ქართველები სულსწრაფები ვართო, ემოციურებიო... ნაცების დანახვაზე მხოლოდ ერთმა ვერ მოთოკა ნერვები, მაგრამ იმანაც მხოლოდ ერთხელ შესძახა „ბოზებო“ და ამის შემდეგ დაძაბული სიჩუმე (თუ ჩუმი დაძაბულობა?) დადგა.

19 აპრილისთვის ემზადებიან, ძალისხმევას არ იშურებენ და 9 აპრილის გახსენებაც ალბათ დიდ ძალისხმევად დაუჯდათ.

9 აპრილი იყო, ნერვები უნდა მოგვეთოკა და მოვთოკეთ კიდეც, შევეცადეთ, ნაცებზე არ გვეფიქრა და სხვა რამეზე დაგვეხარჯა ენერგია.

9 აპრილი იყო და წინა დღეს ჩელენტანო გამახსენდა — ორნელა მუტიზე ფიქრებს შეშის დაპობით რომ იქარვებს. რატომ უნდა გამხსენებოდა ჩელენტანო? ერთი ნიუსი წავიკითხე და მაგაზე გამახსენდა. ნაცებიც გამახსენდნენ და ამ მოგონებებში გადავარდნას, ვგონებ, ისევ ნიუსის გახსენება სჯობს: „ნინოწმინდის საბაჟოზე დაავადებული სათესლე კარტოფილით სავსე კონტეინერი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, დაავადებული კარტოფილი, რომელიც საერთო ჯამში, 39 000 კილოგრამს შეადგენდა, საქართველოში სომხეთიდან შემოიტანეს“.

ნაცვლად იმისა, რომ ნაცები დაეკავებინათ, კოჰაბიტაციაააო და... დაავადებული სათესლე კარტოფილით სავსე კონტეინერი დააკავეს.

ისე, რა განსხვავებაა ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და სომხეთიდან შემოტანილ დაავადებული სათესლე კარტოფილით სავსე კონტეინერს შორის? ვფიქრობ, არც არაფერი. ასე რომ, სულ ნაცებს რომ გავიძახით, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად, შეგვიძლია ასეც ვთქვათ — „სომხეთიდან შემოტანილი დაავადებული სათესლე კარტოფილები 19 აპრილისთვის ემზადებიან“.

რას იზამ... ვერავის აუკრძალავ, სადმე მივიდეს და ყვავილები მიიტანოს. ვერც ნაციონალებს მიუთითებ, ამ დროს აქ არ დაგინახოთო, ვერც ენჯეოშნიკებს ეტყვი რამეს, როდესაც 14 აპრილს დედაენის ძეგლთან ყვავილებს აწყობენ. ვიღაც 19 აპრილისთვის ემზადება, ვიღაც შუალედური არჩევნების შემდეგ დაივიწყებს შუალედურ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გახსენებულს, რომ „ენა დედაა ერისა“ და ვერც მიხეილ სააკაშვილს წაართმევ „სწრაფი რეგენერაციის უნარს“.

„თურქეთში მომხდარი ინციდენტის დეტალები ნამდვილად არ ვიცი. ვიცი ის, რომ პრეზიდენტმა ვარჯიშის დროს მხარი დაიზიანა, შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა, გაუკეთდა ოპერაციაც, თუმცა ეს დიდი და მძიმე ოპერაცია არ არის. მოხდა მოტეხილი ფრაგმენტების ფიქსაცია. რაც შეეხება პრეზიდენტის საერთო მდგომარეობას, რამდენადაც ვიცი, დღეს თურქეთის პრეზიდენტს ხვდება და მისი შრომისუნარიანობა ალბათ აღდგენილია. საერთოდ, რეგენერაციის სწრაფი უნარი აქვს. ძალიან არ ინერვიულოთ — პრეზიდენტი კარგად არის!“ — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გიგი წერეთელმა.

ეს გიგი წერეთელი, როცა აწყობს, თავს ისე მოისულელებს ხოლმე, რომ ვაი, საყვარელო! ინციდენტის დეტალებიც მშვენივრად იცის და ისიც, რომ რეგენერაციის სწრაფ უნარს, ხშირად მუდმივი დეგენერაციის მდგომარეობაში მყოფები ახერხებენ. წერეთელმა ვითომ ის არ იცის, მაგრამ ვითომ ძაან მაგრად ერკვევა მედიცინაში — ეს დიდი და მძიმე ოპერაცია არ არის, მოტეხილი ფრაგმენტების ფიქსაცია მოხდაო. ფრაგმენტები, რა — „ილუზიონია“, მამაძაღლი?!

ვინც დეტალები არ იცის, ვაცნობებ, რომ მიშიკომ და მისმა რაზმმა ითამაშეს ფეხბურთი, მიიღეს შხაპი, გადაკრეს ას-ასი გრამი, შემდეგ წამოგორდნენ მხარ-თეძოზე, ისევ მიიღეს მისაღები და ის იყო, ჩიხირთმისა და ბოზბაშის ღირსებებზე აპირებდნენ კამათის გაჩაღებას, რომ მიხეილ I გრძელი ველოსიპედს მოახტა და, როგორც დაზარალებული მძღოლი (სააკაშვილს თვალს რომ მოკრავ, რომც არ დაგეჯახოს, უკვე დაზარალებული ხარ) ყვება, აღმართში ტრაილერს გადაუსწრო.

ჰოდა, მეორე დღეს რამდენიმე ახალგაზრდამ ვარდების მოედანზე მდებარე ველოსიპედის ძეგლი გვირგვინით შეამკო — ეს გვირგვინი იმ ველოსიპედს ეძღვნება, რომლითაც თურქეთში სააკაშვილი დაიმტვრაო. უფრო მეტიც — ამის შემდეგ ველოსიპედის მონუმენტთან გამოცხადდა რამდენიმე ზრდასრული მოქალაქე, რომლებმაც იასამნის თაიგული მიიტანეს.

სიმართლე გითხრათ, ჩვენი თანამოქალაქეების გულისხმიერებითა და გამომგონებლობით აღფრთოვანებული დავრჩი და მეგონა, გიული ალასანიას გაზრდილსა და თემურ ალასანიას აღზრდილსაც ანალოგიური განცდა დაეუფლებოდა, მაგრამ შევცდი — სააკაშვილი გაოგნებული იყო. დახეთ ნიუსს: „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თურქული მედიცინის დონით გაოგნებულია. ამის შესახებ პრეზიდენტმა თურქ კოლეგა აბდულა გიულისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „ბოლო დღეებში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორ მაგრად და სწრაფად ვითარდება თურქეთის რესპუბლიკა. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მომიხდა ორი დღის გატარება თურქულ ჰოსპიტალში. მინდა ვთქვა, რომ გაოგნებული ვარ მომზადებისა და თურქული მედიცინის დონით. ყველაფერი შეიქმნა ბოლო წლებში და არ შემიძლია აღფრთოვანება არ გამოვხატო. მაგრები რომ არიან, ისიც ადასტურებს, რომ მძიმე ტრავმის შემდეგ, აგერ, თქვენს წინაშე ვდგავარ იმიტომ, რომ არ შემეძლო, არ მოვსულიყავი ამ ოფისში“.

საერთოდ, სპეციალიზაციის ამბავია. თურქეთი ტრავმატოლოგებით არის განთქმული (მიშიკოს ხელი გაუკეთეს), რუსეთში ძლიერი კარდიოქირურგები ჰყავთ (მიშიკოს გული გაუკეთეს), შტატებში პლასტიკური ქირურგიაა მაღალ დონეზე (მიშიკოს სახე გაუკეთეს), მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი — სერიოზული ფსიქიატრები გვყავს და ამაში მიშიკოც მალე დარწმუნდება. ერთადერთი, რაც ჩვენში არ მომწონს, არის ის, რომ ხანდახან ადამიანების კეთება არ გამოგვდის, რადგან შეხედეთ მიშიკოს და კარგად დააკვირდით გოკას... დამზადებულია საქართველოში!

და ამის შემდეგ თავად შეაფასეთ ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება — „ქართველმა ხალხმა უნდა მოახერხოს, რომ მესამე პრეზიდენტს მაინც კულტურულად მოექცეს“.

ჩვენში დარჩეს და, ურიგო არ იქნებოდა, მესამე პრეზიდენტი მაინც რომ მოგვქცეოდა კულტურულად.

„დამზადებულია თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაში“, — ეს სიტყვები, თუ არ აწერია, აუცილებლად უნდა ეწეროს დავით ბაქრაძეს. ზემოთ გოკა და მიშიკო ვახსენე და სხვა ბევრის მიმატება-დაყოლებაც შეიძლებოდა, მაგალითად დავით ბაქრაძის, რომელიც ბრტყელტუჩა გივი თარგამაძისგან განსხვავებით, არის ქლიბი.

საკონსტიტუციო ცვლილებები მოვითავეთ, ბუსუსებიანი პრეზერვატივები გადავაგორეთ, ჩოხები ჩავიცვით და თითქოს მოწყენილობას უნდა დაესადგურებინა, რომ კოჰაბიტაციურმა პოლიტელიტამ დისტანცირებული საზოგადოებისთვის ახალი გასართობი გამოიგონა.

პირველი — აგვისტოს ომის საგამოძიებო კომისიის შექმნა და დაკითხვაზე სააკაშვილის მისვლა-არმისვლა.

მეორე — დამოუკიდებლობის დღე და მასზე სამხედრო აღლუმის ჩატარება-არჩატარება.

სააკაშვილი ამბობს, დაკითხვაზე არ მივალო. წულუკიანი უთვლის, ისე კარგად მივა, მზე მაღლა იქნებაო. ანუ, დაკითხვა მოხდება დღისით. რას ამბობს შეშინებული თაგვისფერი ბაქრაძე? 2008 წლის აგვისტოში ამბობდა, დანა-ჩანგალი მოვიმარჯვოთ, კოვზებით აღვიჭურვოთ და მტერს ვეკვეთოთო, ახლა კი ამბობს: „2008 წლის ომთან დაკავშირებით, ქართულმა მხარემ გამოძიება ჩაატარა. გახსოვთ, მაშინ ეს პროცესი ღიად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. საპარლამენტო კომისიაში მისული იყო პრეზიდენტი და მან კომისიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა“.

ჯერ ერთი, სააკაშვილი-ბაქრაძე-დავითაია ჩემთვის სულაც არ არის ქართული მხარე და მეორეც... რა „ღიად და გამჭვირვალედ“, შე მართლა ქლიბო, შენა! შუშა და გამჭვირვალე მახათას მთაზე სააკაშვილს თვალები ჰქონდა, ეს იყო და ეს!

სოზარ სუბარი ამბობს, სააკაშვილს პასუხისმგებლობის ეშინიაო. მამენტ, კი... ალბათ, საგამოძიებო კომისიის ხსენებაზე სააკაშვილი სულ მტვერში ფორთხავს და არაადამიანური ხმით ყვირის.

რაც შეეხება სამხედრო აღლუმს... მახსოვს, დავით კირკიტაძე, ალეკო შალამბერიძე და კობა ბექაური რეზერვისტების ფორმაში გამოწყობილები ესწრებოდნენ სააკაშვილის საპარლამენტო ბენეფისებს. ახლა ალექსა სხვა ხალხში ჟრიამულობს, ამიტომ იქით კირკიტაძე, აქეთ ბექაური და შუაში სამში მაღალი სააკაშვილი, კოვზებით და ჩანგლებით შეიარაღებულები, ვფიქრობ, არ იქნება ცუდი სანახავი. ამით ფული დაიზოგებოდა და სამხედრო ძალის დემონსტრირებაც იმ გამარჯვების შესაბამისი იქნებოდა, 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველზე რომ ვიზეიმეთ.

არ უნდა მეთქვა პირველ პირში. იმ „ზეიმზე“ არც მე ვიყავი და არც თქვენ, ჩემო მეგობრებო. იქ არც არმაზ ახვლედიანი იყო. 2003 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე არმაზ ახვლედიანი არსად ყოფილა. მე დედას ვიგინები 2003 წლიდან, ბერძენიშვილები — 2004 წლიდან, ზვიად ძიძიგური — 2005 წლიდან, კობა დავითაშვილი — 2006 წლიდან, ირაკლი ოქრუაშვილი — 2007 წლიდან, ნინო ბურჯანაძე — 2008 წლიდან... 2011 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ თითქმის ყველა იგინებოდა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ოცნებებში გადავარდნილი რამდენიმე ასეული ნაცის გარდა...

არმაზ ახვლედიანისგან არაფერი ისმოდა... მაგრამ არსებობს წონასწორობის კანონი. შეგახსენებთ, რომ ამ კანონის თანახმად, თუ რომელიმე ქვეყანაში მოსახლეობის ერთ ნაწილს სიმსუქნე აწუხებს, მეორე ნაწილი ჭლექით იტანჯება და სწორედ წონასწორობის კანონის დადასტურებაა ის, რომ ოქტომბრის შუა რიცხვების შემდეგ, ლამის, ყველგან არმაზ ახვლედიანის ხმა ისმის. ხან აქუსთან ზის, ხან „ბარიერში“ სუფევს, ხან კვესიტაძესთან აკეთებს აქცენტებს და ხანაც ნინო შუბლაძესთან აფიქსირებს პოზიციას. ყველა ოჯახში შეაბიჯა და მართალია, ვერც ერთი ოჯახის წევრი ვერ გახდა, მაგრამ გახდა წევრი „ქართული ოცნებისა“ და არა უბრალოდ წევრი, არამედ... „პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელ მდივნად პოლიტოლოგი არმაზ ახვლედიანი დაინიშნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭომ დღეს მიიღო“, — იუწყებოდა ჩემთან და სიმართლესთან დაძმობილებული სააგენტო.

ჩვენთან ხომ ასეა — დადექი სარკესთან, დაჯექი ტელევიზორში, წამოწექი დივანზე და დაელოდე, როდის გაღიარებენ ექსპერტად და შემდეგ, როდის დაგნიშნავენ თანამდებობაზე.

„ქართული ოცნების“ მარტვილის რაიონული ორგანიზაციის 25-მდე წევრი მთავრობის კანცელარიასთან მეორე დღეა შიმშილობს. მოშიმშილეებს ერთადერთი მოთხოვნა აქვთ, შეხვდნენ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რათა მარტვილში შექმნილი ვითარება გააცნონ. მოშიმშილეები არ აკონკრეტებენ, თუ რა თემებზე უნდათ საუბარი ბიძინა ივანიშვილთან და აცხადებენ, რომ მარტვილში არსებულ პრობლემებზე პრემიერთან შეხვედრის შემდეგ ისაუბრებენ“, — ესეც „ინტერპრესნიუსმა“ მაცნობა.

არ ვიცი, შეხვდნენ თუ არა მარტვილელები ივანიშვილს და გააცნეს თუ არა მარტვილში არსებული პრობლემები, თუმცა დაახლოებით მაინც შემიძლია ვივარაუდო, რა პრობლემის წინაშე დგანან მარტვილელი მეოცნებეები — თანამდებობებზე სულ დედააფეთქებული ნაცები და დედმამააფეთქებული უსაქმურები ინიშნებიან. ასეა მარტვილში, ასეა ზესტაფონში და ასეა ყველგან.

ასე კია, მაგრამ შენ ისა თქვი, ასე თუ უნდა იყოსო — ასი წლის წინ ეს მხოლოდ დათა თუთაშხიას ადარდებდა, ახლა კი ყველას ადარდებს, დედააფეთქებული ნაცებისა და დედმამააფეთქებული უსაქმურების გარდა.

დასასრული მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

„თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს იწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საკრებულოდან აცნობეს, საკრებულოს თავმჯდომარე დღეს იტალიის ელჩის მოადგილეს ეუჯენიო კარლუჩის შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემა, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში, თბილისის საკრებულოში განვითარებული მოვლენები იყო“, — ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე არის ნაცი, არის უსაქმური და მისი სახლიდან სულ აფეთქებების ხმა ისმის.

ახლა, საქმიან ხალხზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

„თემურ ჭყონიას „კოკა-კოლას“ და „მაკდონალდსის“ აფხაზეთში შეტანა სურს. აღნიშნული საკითხი ბიზნესმენმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრაზე დასვა. როგორც თემურ ჭყონია აცხადებს, „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსის“ რუკის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორია მას ეკუთვნის, ამიტომ აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება უნდა მოხერხდეს“, — რა თქმა უნდა, მიხვდით, რომელი სააგენტოც მომაწოდებდა ამ ინფორმაციას.

საინტერესოა, „კოკა-კოლამ“და „მაკდონალდსმა“ თავიანთ საქველმოქმედო რუკებში ტაო-კლარჯეთი რომ შეიტანონ, რას გააკეთებს თემურ ჭყონია? რას და — მაშინვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას მოიშველიებს. ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ ასჯერ ორმოცდაათი არის...

„ბიზნესმენმა ხვიჩა მაქაცარიამ, დიტო ცინცაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდში, 8 წლის თენგო ზაკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად, 5000 ლარი გადარიცხა. ამის შესახებ ოფიციალურ გვერდზე ფონდის დამფუძნებელმა მიმართვა გაავრცელა და ბიზნესმენებს გააქტიურებისკენ მოუწოდა. „ჩვენ მოხარულები ვართ, ბიზნესმენების აქტიურობით ქველმოქმედების მიმართ. დღეს ბ-ნ ხვიჩა მაქაცარიამ დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდში, 8 წლის თენგო ზაკაშვილს სიცოცხლის გადასარჩენად, 5 000 ლარი ჩაურიცხა. ძალიან დიდი მადლობა ბატონო ხვიჩა ამ კეთილი ქველმოქმედებისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ თქვენი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მე და ჟურნალისტები მოხარული ვიქნებით, თუ ბატონ ხვიჩას სხვა ბიზნესმენები მიბაძავენ რომ დაეხმარონ ჩვენს პატარა მეგობარს“, — ნათქვამია მიმართვაში. ხვიჩა მაქაცარია ცნობილი ბიზნესმენია, რომლის აქტივებს საქართველოში არაერთი ბიზნესი უკავშირდება. ცოტა ხნის წინ ბიზნესმენმა დააფუძნა „სი ბი ეს ჯგუფი“, რომელიც რამდენიმე მსხვილ კომპანიას გაუწევს ოპერირებას. ხვიჩა მაქაცარიას სახელს უკავშირდება ათი ათასობით სამუშაო ადგილის შექმნა საქართველოში, ეკლესიების მშენებლობებში მონაწილეობა და სხვა საქველმოქმედო საქმიანობა. თუმცა, ის ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ანიჭებს უპირატესობას“, — იყო ასეთი ტექსტი, რომელსაც ნიუსს ვერ დავარქმევ. ნიუსებს წერენ ჟურნალისტები და ასწორებენ რედაქტორები და კორექტორები, ამ ტექსტს კი არც ერთი მათგანი არ შეხებია. იგი დაიწერა იმის კარნახით, ვინც „ჩრდილში ყოფნას ანიჭებს უპირატესობას“.

ყველაფერი ხომ შედარებითია? ჩრდილიც. ამჯერად, ვერ არის მთლად ისეთი ჩრდილი, მზემ ცოტათი მაინც რომ არ დაგწვას. აღნიშნული გულამოსკვნილი ქველმოქმედი და ცნობილი ბიზნესმენი არის ის, ვის სახელსაც უკავშირდება „კავკასუს ონლაინის“ წართმევა მისთვის, ვისაც წაართვეს და სამარშრუტო ხაზების ტენდერის „მოგება“ იქ, სადაც „ტენდერი ჩატარდა“.

ვამბობთ მაქაცარიას და ვგულისხმობთ შარანგიებს. ვამბობთ შარანგიებს და ვგულისხმობთ სააკაშვილს, ვამბობთ სააკაშვილს და ყველას, ვისაც ვგულისხმობთ, ალალად და უსაყვედუროდ ყველას მოხვდა არმაგედონის ზანგის!

სამაშველო სამსახურს ქედაში ორი ძროხა გადაურჩენია და ორივე ძროხა ყოფილა დედალი.

ხატია დეკანოიძე ამბობს, გამომცემლები განათლების სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანენო. ხატია დეკანოიძე ყოფილა მამალი.

მაია რჩეულიშვილი წუხს, „ცენტრ პოინტის“ წინააღმდეგ აქციები მესამე ძალის მიერ არის მართულიო. რჩეულიშვილები არიან დედალ-მამალი.

ეს ყველაფერი გასაგებზე გასაგებია.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას სთხოვს, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებაზე კონტროლის გამკაცრებას გაგებით მოეკიდოს. როგორც ბიძინა ივანიშვილმა ცენტრალური ტელევიზიებისა და გაზეთების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრისას განაცხადა, გაიზრდება ისეთი ადგილების ოდენობა, სადაც თამბაქოს მოხმარება აიკრძალება“...

აი, ეს კი აღარ მესმის, მაგრამ ვხვდები, რომ არის ადამიანების კატეგორია, რომელიც უმალ ნაც-ბოზ-ბანდასთან შეძლებს თანაარსებობას, ვიდრე მწეველებთან.

ნუ ამიკრძალავთ მოწევას, ილ... დიმიტრი ვარ და მალე პურის რიგში უნდა მოვკვდე.

ვ.მ. (ვიღაცას მაგონებს) ჭონია, სარჩო რომ დააბინავა, ვახშამს შეუდგა. გაფიცხებულ ხაჭაპურს შეექცა, მერმე არაყი გადაკრა და ქინძმარი მიაშველა მოხარშულ ლოქოს. ამას, რატომღაც, ცივი მჭადი, ნიორი და შაქარი დააყოლა. თითქოს, გაძღა. ვახშმის მონარჩენი დააბინავა, ჯამი გარეცხა, წამოწვა კიდეც, მაგრამ ცოტა ხანში ფელამუში მოინდომა და კაი ძალი მიაკლო. ისე გააფთრებული ჭამდა, ვითომ სულ ერთი საათის წინ არ ყოფილიყო, ცუცა დოღონაძის დედლის ძვლებს თავზე რომ გვაყრიდა მე და დათა თუთაშხიას.

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

პაატა ზაქარეიშვილი რუსეთის აგენტობას უარყოფს

„ნაციონალებმა ერთხელ მაინც აღიარონ, რომ რუსების მარიონეტები იყვნენ!“

ირუსუდან შელია
557-100-768

ნაციონალურ მოძრაობას რუსეთის მარიონეტებს უწოდებს, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკას კი არ იზიარებს და ამბობს, რომ საზოგადოებას წინა ხელისუფლების „გმირობის“ შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების უფლება აქვს. ამასთან, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებსაც პასუხობს.

— აგვისტოს ომის გამოძიება თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ წინა ხელისუფლების შეცდომები გამოვასწოროთ. კერძოდ, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებები უკვე მზადდება, რომელიც ჰუმანიზაციას შეუწყობს ხელს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მსგავს ინიციატივებს მხარი დაუჭიროს, გვიტევს და ბრალს ოკუპაციის ეჭვქვეშ დაყენებაში გვდებს. მოდი, ღიად ვისაუბროთ და ვთქვათ, რომ 2008 წელს ქართულმა მხარემ ხუთდღიან ომს ხელი შეუწყო. დიახ, საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ სააკაშვილის გუნდი რუსულ პოლიტიკას ატარებდა.

— იმ ფონზე, როცა რუსეთმა თავად აღიარა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომს რამდენიმე წლის განმავლობაში ამზადებდა, ომში ქართული მხარის დადანაშაულება სახელმწიფო ინტერესების შელახვაა თუ ეს აჟიოტაჟი რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად გაღებული ხარკია?

— მსგავსი განცხადებებით რუსებს ნამუსს ნამდვილად არ ვწმენდთ! რუსეთმა თავისი საქმის კეთება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქართული ჯარი კოდორში შეიყვანა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არჩევნებში მონაწილეობა ახალგორმა მიიღო. 2007 წელს, ერთ-ერთ შეხვედრაზე კი მიხეილ სააკაშვილმა ღიად განაცხადა, რუსებს ცხინვალი არ აინტერესებთო. წარმოიდგინეთ, მაშინ, როცა ვიღაც პაატა ზაქარეიშვილმა 2008 წლის 31 ივლისს უკვე ვიცოდი, რომ რუსები ცხინვალში ტანკებს მალავდნენ, სააკაშვილი აცხადებს, 7 აგვისტომდე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, რადგან პეკინის ოლიმპიადაზე ჩემი თვითმფრინავის დაშვებაზე ვფიქრობდიო. ერთი სიტყვით, სააკაშვილმა აღიარა, რომ ქვეყნის პირველი პირი ღრუბლებში დაფრინავდა და ეს მაშინ, როცა ცხინვალში საშინელება იგეგმებოდა. სამწუხაროდ, 2008 წლის 9 აგვისტოს, 5 საათზე, როგორც იქნა, სააკაშვილის ტვინამდე დავიდა, რომ რუსებმა, უბრალოდ, „გადააგდეს“. დიახ, რამდენიმე წლის განმავლობაში სააკაშვილსა და მერაბიშვილს რუსები აჯერებდნენ, რომ ცხინვალი პუტინის ინტერესებში არ შედიოდა. ნაციონალებმა იქნებ ერთხელ მაინც აღიარონ, რომ რუსების მარიონეტები იყვნენ. ამ საქმის გამოძიება იმისთვისაც გვჭირდება, რომ მდგრად სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ, რადგან როცა სიმართლეს ამბობ, დასავლეთში მეტ ნდობასაც იმსახურებ.

ზოგადად, ომის დაწყება დანაშაული არ არის, არც ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზეა საუბარი, უბრალოდ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან ის „გმირები“, რომლებმაც ტერიტორიების დაკარგვამდე მიგვიყვანა.

— ბატონო პაატა, აღნიშნეთ, რომ ჟენევის მოლაპარაკების ფორმატში ცვლილებების განსახილველად მზად ხართ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავარი მტერი რუსეთი აღარ იქნება?

— ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის შესაცვლელად მზად არ ვართ. მეტიც, ეს ჩვენ არ გვაწყობს! უბრალოდ, ცვლილებებზე საუბარს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ, თუ აფხაზები და ოსები შედეგზე ორიენტირებულ წინადადებებს შემოგვთავაზებენ. მართალია, არსებული ფორმატის ფარგლებში შედეგს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ, მაგრამ აფხაზურმა და ოსურმა მხარემ უნდა დამისაბუთოს, მათი წინადადებები ჩვენთვის უკეთესი რატომ იქნება.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ფორმატში ცვლილებებზე სასაუბროდ მზადყოფნა გამოვთქვი, აფხაზური მხარე გაჩუმდა და დღემდე არავინ გამომხმაურება. მარტივი პრინციპით ვმუშაობ — უარი ყოველთვის მოწინააღმდეგე მხარეს უნდა ათქმევინო.

მიხეილ სააკაშვილის სისუსტე სწორედ ის იყო, რომ აფხაზები და ოსები, ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში, უარყოფით პასუხებს შეაჩვია, რასაც ისინი სათავისოდ იყენებდნენ. იქნებ, ჟენევის ფორმატის შეცვლას იმიტომ ითხოვენ, რომ საქართველოსთან დაბრუნება სურთ, მათგან ეს წინადადება არ უნდა მივიღო? ხშირად, სამართალი პოლიტიკას არ ემთხვევა, ამიტომ შედეგის მისაღებად, რა თქმა უნდა, კომპრომისებზეც თანახმა ვარ.

— სხვათა შორის, სამინისტროს ვებ-გვერდზე საკმაოდ საინტერესო გამოკითხვას ატარებთ — რომელ მიმართულებას შეუძლია ყველაზე მეტად შეუწყოს ხელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დეიზოლაციას. ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული სტრატეგია არ გაქვთ?

— ამ გამოკითხვას იმიტომ ვატარებთ, რომ საზოგადოებას ინტერნეტ-საიტებზე მუშაობა ძალიან მოსწონს. რაც შეეხება ჩვენ სტრატეგიას, მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის შემდეგ მხოლოდ ექვსი თვეა გასული, ამ მიმართულებით უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მუშაობაში მიხეილ სააკაშვილი ხელს გვიშლის. მან სამინისტროს სახელის შეცვლას დღემდე ხელი არ მოაწერა, ამიტომ ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, შეჩერებულნი ვართ.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვერსიანიუსი

სამართალდამცველებმა ინტერპოლის მიერ ძებნილები დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში მყოფი სამი მოქალაქე, ანატოლი კრახმალი, მიროლიმ ფაიზიევი და ერიკ ფარაჯევი დააკავა. სამინისტროს ცნობით, მოსკოვის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1963 წელს დაბადებული ანატოლი კრახმალი შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს. მას ბრალად ედება რუსეთის ფედერაციის სსკ-ს 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 33-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს მკვლელობის ორგანიზებას.

გარდა ამისა, სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას დააკავეს ტაშკენტის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი უზბეკეთის მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული მიროლიმ ფაიზიევი. მას ბრალად ედება უზბეკეთის სსკ-ს 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც დიდი რაოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის თბილისი-თელ-ავივის მიმართულებით კვეთის დროს კი, დააკავეს ბაქოს ინტერპოლის მიერ ძებნილი ისრაელის მოქალაქე, 1967 წელს დაბადებული ერიკ ფარაჯევი. აღნიშნულ პიროვნებას ბრალად ედება აზერბაიჯანის სსკ-ს 192.2.2 და 213.2.2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც უკანონო სამეწარმეო საქმიანობას და დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს.

შსს-ს ინფორმაციით, სამივე დაკავებული მოთავსებულია საქართველოს დროებითი დაკავების იზოლატორებში და მათ მიმართ მიმდინარეობს წინასაექსტრადიციო პროცედურები.

„ინტერპრესნიუსი“

რას თვლის მთავრობის სისუსტედ ივანიშვილის პარტიის აღმასრულებელი მდივანი

ეროსუდან შელია
557-100-768

ბევრი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატად მიიჩნევს, მაგრამ თავად ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ამ ეტაპზე, მისთვის ბევრად მნიშვნელოვანი პარტიაში დისციპლინის აღდგენაა. როგორ დაიწყო მისი პოლიტიკური კარიერა, რას ერჩის მურმან დუმბაძე და რატომ პროგნოზირებს ნაციონალური მოძრაობის დაშლას? — „ვერსიის“ კითხვებს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი არმაზ ახვლედიანი პასუხობს.

ვის მიიჩნევს ნაციონალებში „ჯანმრთელ ბირთვად“ არმაზ ახვლედიანი

— სპეციალობით პოლიტოლოგი ვარ. პოლიტიკაში 1993 წელს მოვედი — აჭარის უმაღლეს საბჭოში ასლან აბაშიძემ სამსახური შემომთავაზა. მაშინ 23 წლის ვიყავი, ასპირანტურაში ვსწავლობდი, წინასადისერტაციო პრაქტიკაზე აშშ-ში წასვლას ვგეგმავდი და ამიტომაც, თავდაპირველად, შემოთავაზებაზე უარი განვუცხადე, მაგრამ დამპირდა, რომ სწავლაში ხელს არ შემიშლიდა და აშშ-ში გამგზავრებაშიც დამეხმარებოდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1995-99 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი გავხდი, მომდევნო პარლამენტშიც ვმუშაობდი და ჩემთვის ეს პოლიტიკურ სეპარატიზმსა თუ ათასგვარ უსამართლობასთან ბრძოლის მძიმე დრო იყო... 2003 წლის შემდეგ, პოლიტიკას ჩამოვშორდი და ჩემს მიერ დაარსებული პოლიტიკური სწავლების სკოლის განვითარებაში ჩავები, რომელსაც ახლაც ვხელმძღვანელობ... რამდენიმე დღის წინ, პარტიის ლიდერმა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის პოსტი შემომთავაზა. ასეთი ნდობა ჩემთვის დიდი პატივია.

— ბატონო არმაზ, თქვენი ბიოგრაფიიდან ერთი საინტერესო ფაქტი გამოგრჩათ: პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აჭარის უმაღლესი საბჭოს კანდიდატად დასახელდით, თუმცა, როგორც მაშინ ითქვა, თქვენი კანდიდატურა მურმან დუმბაძემ დაბლოკა.

— ნამდვილად არ ვიცი, ჩემი კანდიდატურა ვინმემ დაბლოკა თუ არა. მაშინ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: იმ სიხარულთან, რაც პირველი ოქტომბრის გამარჯვებამ მოიტანა, ესა თუ ის თანამდებობა რა მოსატანია?! მთავარია, ყველამ პირადი თუ სხვა ინტერესი გვერდზე გადადოს და ამ გამარჯვების მუხტი, მთელი ენერგია ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს მოახმაროს.

— არც „რესპუბლიკელებთან“ გაქვთ დაძაბული ურთიერთობა?

— დაძაბული ურთიერთობა არავისთან მაქვს, მათ შორის არც „რესპუბლიკელებთან“. პირიქით, ყველასთან ნორმალურად ვთანამშრომლობ.

— ბევრი საპრეზიდენტო კანდიდატადაც განგიხილავთ და ეს ვარაუდი მას შემდეგ უფრო გამყარდა, რაც პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად დაინიშნეთ...

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. კოალიციაში ჩემი კანდიდატურა არ განხილულა, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — ბატონი ბიძინას ხელმძღვანელობით, მმართველი გუნდი, მართლაც, ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეულ კანდიდატს დაასახელებს.

ამ ეტაპზე, პარტიაში მიმდინარე პროცესებში საფუძვლიანად გარკვევას ვცდილობ, რათა მის დემოკრატიულ და მტკიცე ინსტიტუტად ჩამოყალიბებას ხელი მაქსიმალურად შევუწყო.

— რეგიონებში პარტიის სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესი მწვავე შიდადაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. დისციპლინის დამყარება არ გაგიჭირდებათ?

— ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი, ჯერჯერობით, არ გადამიდგამს, მაგრამ ცხადია, ვფიქრობ, რომ პარტიაში სამართლიანობაზე დაფუძნებული წესრიგი და დისციპლინაა საჭირო. მალე დასავლური სტანდარტების დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბებას მოვახერხებთ, რომელიც სხვა პოლიტიკური ძალებისთვისაც სამაგალითო გახდება. საბედნიეროდ, დღეს პოლიტიკური ფონიც შეცვლილია. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები ანომალიურ პირობებში ჩატარდა, ქართველმა ხალხმა მშვიდობიანი გზით, პარლამენტი საკუთარი არჩევანის შესაბამისად დააკომპლექტა.

— პარლამენტის მისამართით საზოგადოებას საკმაოდ მწვავე კითხვები აქვს, ბევრს ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაც აღიზიანებს. ამ განწყობას იზიარებთ?

— დიახ, ეს დღევანდელი მოცემულობაა, მაგრამ, ვფიქრობ, სირთულის მიუხედავად, ორი პოლიტიკური ძალა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ შეთანხმებას მოახერხებს. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობაში ბევრი, ალბათ, საკუთარ პოზიციებს გადახედავს და კონსტრუქციულ გზას აირჩევს. საქართველოს მოსახლეობას ბევრად დიდი პოლიტიკური სივრცე და არჩევანის გასაკეთებლად მეტი მრავალფეროვნება სჭირდება. არ გამოვრიცხავ, ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წევრს პოლიტიკაში დარჩენის ბუნებრივი სურვილი ჰქონდეს და 9 წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით, მომავალში ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებიც გააკეთოს. ნაციონალურ მოძრაობაში ჯანმრთელი ბირთვის გამოყოფის პროცესი გარდაუვლად მიმაჩნია.

— შეგიძლიათ, ის ადამიანები დამისახელოთ, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობაში ჯანსაღ ძალად წარმოგიდგენიათ და რომლებიც მომავალში, ქვეყნის განვითარებაზეც იზრუნებენ?

— ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, არ დაგისახელებთ. ზოგიერთზე ჩემი შეხედულება მაქვს, რომელსაც ხმამაღლა არ ვიტყვი. მესმის, მათთვის საკმაოდ მძიმე პროცესების შემდეგ, პოზიციის შეცვლა რთული იქნება, მაგრამ ხომ გაგიგიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

— სწორედ მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის დაშლას პროგნოზირებთ, ყოფილი სახელისუფლო გუნდი 19 აპრილის აქციისთვის ემზადება...

— თუ ნაციონალური მოძრაობა წარსულით იცხოვრებს, პოლიტიკაში დარჩენას ვერ შეძლებს.

საქართველოსთვის 19 აპრილი ერთი ჩვეულებრივი დღე და გამორჩეული მხოლოდ იმ ფაქტით იქნება, რომ საზოგადოების ნაწილი შეიკრიბება. იმედი მაქვს, ნაციონალები პროვოკაციებს არ შემოგვთავაზებენ, ამასთან, წესრიგის დასაცავად სამართალდამცავების მაქსიმალურ მზადყოფნაშიც დარწმუნებული ვარ. აქციის ავტორები ალბათ ნატრობენ, რომ 19 აპრილი საერთოდ არ დადგეს და 18 აპრილის შემდეგ, 20 აპრილი გათენდეს... მათ ქულების ჩასაწერად ის ფაქტიც ვერ უშველის, რომ ხელისუფლება ზოგჯერ შეცდომებს უშვებს და ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, რთული მდგომარეობაა.

ნაციონალებმა სახელი ისე გაიტეხეს, მხოლოდ ერთი გზა რჩებათ — შეცდომების აღიარება და პოლიტიკური საქმიანობის სამართლებრივ ფარგლებში მოქცევა.

— ხმა დადის, რომ ნაციონალური მოძრაობა მოქალაქეებს ისევ აშანტაჟებს. ბატონო არმაზ, ახალი ხელისუფლება ყოფილ მმართველ გუნდს ამის საშუალებას რატომ აძლევს?

— ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს შანტაჟის საკმაოდ დიდი გამოცდილება და დახვეწილი ფორმები აქვს, თუმცა შანტაჟის შესახებ ინფორმაცია აქ მაქვს და, იმედს გამოვთქვამ, რომ ამას აღარ იკადრებენ.

— ირკვევა, რომ ბიძინა ივანიშვილს საკუთარ გუნდთან გარკვეული შეკითხვები აქვს. მთავრობაში სუსტ წერტილებს თქვენც ამჩნევთ?

— რა თქმა უნდა, შეცდომები არის, მაგრამ ეს მნიშვნელოვანწილად იმის ბრალია, რომ ხელისუფლებიდან ნახევრადწასულმა ნაციონალურმა მოძრაობამ ფარული ნაღმები დატოვა. ვიცი, ბატონი ბიძინას გუნდი ამ სიმრუდეს ახლო მომავალში გაასწორებს.

ექვსი თვე არცთუ ბევრია, მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებით სერიოზული დასკვნები გავაკეთო. ფაქტია, პრემიერ-მინისტრი შეუდარებლად, სხვებზე ბევრად უკეთ გრძნობს, შიგნით რა ხდება და გუნდში ვინ როგორ მუშაობს. ასე რომ, მომავალ თვეებში ყველაფერი უკეთ გამოჩნდება და ბატონი ბიძინაც, ალბათ, შესაბამისად იმოქმედებს. ზოგადად, ხელისუფლებას ოპონენტი სჭირდება და კრიტიკაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თვითკმაყოფილებაში მყოფი მმართველი გუნდი მოღვაწეობას ცუდად ამთავრებს... საბედნიეროდ, ვხედავ, რომ კოალიცია კრიტიკისთვის მზადაა და იმის განცდაც საკმარისად აქვს, რომ ბევრად მეტი უნდა გააკეთოს.

— არასაპარლამენტო ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაშია და ხელისუფლების მთავარ ოპონენტად მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა ითვლება. მსგავსი პოლიტიკური განლაგება მმართველი გუნდისთვის მომგებიანია?

— იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა საუკეთესო ოპოზიცია არაა, თითოეული ჩვენგანი ხედავს. დიახ, საქართველოში არსებობენ პარტიები, რომლებმაც არაერთ ქარტეხილს გაუძლეს. დემოკრატია სწორედ იმას გულისხმობს, კონკურენტული საარჩევნო გარემოს პირობებში, ამომრჩეველმა თავად გადაწყვიტოს, ვინ იყოს წინა პლანზე. როგორც გითხარით, მაქვს იმედი, უახლოეს არჩევნებში უფრო მეტ პოლიტიკურ მოთამაშეს ვიხილავთ, რითიც პროცესიც ბევრად საინტერესო გახდება. ამომრჩეველს მრავალპარტიულ, სამართლიან პოლიტიკურ სივრცეში ლაღად ცხოვრების საშუალება უნდა ჰქონდეს.

ვერსიანიუსი

თომას ჰამერბერგი საქართველოს მთავრობის მრჩეველი იქნება

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამართლებრივ, კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში თომას ჰამერბერგი, ყოველთვიურად, ორკვირიანი ვიზიტით, ოთხი თვის განმავლობაში ეწვევა საქართველოს. ჰამერბერგის განცხადებით, საქართველოში მიმდინარე პროცესები შეესწავლა, ევროკავშირის ორი კომისიის ხელმძღვანელმა კეტრინ ეშტონმა და შტეფან ფულემ სთხოვა.

„დავთანხმდი, მაგრამ კონკრეტული პირობები წამოვაყენე. ერთი იყო ის, რომ მისია ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო და ჩვენ ოთხ თვეზე შევთანხმდით. მეორე პირობა ჩემს როლს ეხებოდა. ჩამოვდივარ მიუკერძოებელი ექსპერტის სახელით და ეს მისაღები უნდა იყოს ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვისაც“, — აღნიშნა ჰამერბერგმა და დასძინა **„ჩემი ვალდებულება იქნება, ვუპასუხო კითხვებს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში“.**

ადამიანის უფლებების დაცვის გარდა, ჰამერბერგი შეისწავლის სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებს, სოციალურ საკითხებს და მოამზადებს ანგარიშს, რომელიც სექტემბერში გამოქვეყნდება.

„ბევრმა ვერ დაინახა განსხვავება საპარლამენტო და ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილებას შორის. მთავრობისგან მივიღე დაპირება, რომ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ამ განსხვავებაზე“, — განაცხადა ჰამერბერგმა.

კობა დავითაშვილი აგვისტოს ომის გამოძიების შეჩერებას ითხოვს

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი კობა დავითაშვილი ამბობს, რომ ეთანხმება ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნას, შეჩერდეს გამოძიება აგვისტოს ომთან დაკავშირებით, თუმცა იმ პირობით, თუ საქმეს ჰაგის სასამართლო გამოიძიებს.

„სააკაშვილის პროკურორმა დაიწყო გამოძიება და კბილაშვილი, უბრალოდ, აგრძელებს ამ საქმეს. გამოძიება რომ შეწყდეს, რასაც დაჟინებით ითხოვს ბატონი სააკაშვილი, მაშინ საქმეს ჰაგის ტრიბუნალი განიხილავს“, — განაცხადა დავითაშვილმა და დასძინა, რომ ასეთ შემთხვევაში, ქვეყნისა და სააკაშვილის საქმე უფრო ცუდად იქნება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ირინა სარიშვილი: „თუ უახლოეს დღეებში დაპირისპირება და სისხლისღვრა მოხდება, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ნაცმოძრაობის ორგანიზებული იქნება!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგ 19 აპრილისთვის დაგეგმილი ნაციონალური მოძრაობის პირველი მასშტაბური საპროტესტო აქცია თანდათან უფრო აქტუალური ხდება. რამდენი ადამიანი გავა რუსთაველის გამზირზე, მოხდება თუ არა ძველი და ახალი ხელისუფლების მხარდამჭერებს შორის ფიზიკური დაპირისპირება? — ამაზე, რამდენიმე კვირაა საზოგადოება, პოლიტიკოსები და ექსპერტები მსჯელობენ, ანუ ნაციონალების მიზანი მიღწეულია — დიდ-პატარა 19 აპრილზე ლაპარაკობს! ყველაზე სკანდალური კი მაინც პარტია „იმედის“ ლიდერის, ირინა სარიშვილის პროგნოზია. „თუ საქართველოში, უახლოეს დღეებში, დაპირისპირება და სისხლისღვრა მოხდება, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებული იქნება!“ — აცხადებს სარიშვილი.

— ქალბატონო ირინა, 19 აპრილის აქცია, თქვენი აზრით, მასშტაბური იქნება?

— ერთი რამის თქმა შემიძლია: ნაციონალებმა და დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთეს, რომ 19 აპრილს აქციაზე ბევრი ხალხი მივიდეს. მათ ასეთ მცდელობას რა შედეგი ექნება, ვერ გეტყვით, თუმცა ხალხი, სავარაუდოდ, მართლაც ბევრი იქნება. საერთოდ, ჩემთვის იმის წარმოდგენა, რომ ამ ორმხრივი ე.წ. წინააღმდეგობის მიუხედავად, ხალხის დიდმა ნაწილმა ეს საკენკი არ აკენკოს, ძნელია! თუ ამ საკენკს მაინც აკენკავს, ეს ხალხის უტვინობის კი არა, გარკვეული სასოწარკვეთილების შედეგი იქნება!

— აქციაზე გასულები ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იქნებიან თუ „ოცნებაზე“ გაბრაზებულები?

— ვფიქრობ, ეს ორი კატეგორია ერთმანეთში აირევა. ნაციონალებისთვის ყველაზე საინტერესოა, ბევრი ხალხი მივიდეს. როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლებაც ამითაა დაინტერესებული! ახალ მთავრობას აშკარა ინსტრუქცია აქვს, ე.წ. კოჰაბიტაცია განახორციელოს, მაგრამ მხოლოდ დავით უსუფაშვილის მიერ გახმოვანებული ეს იდეა საზოგადოებისთვის არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ, თუ 19 აპრილს რუსთაველზე ხალხმრავლობა დაფიქსირდება, დღევანდელ ხელისუფლებას იმის თქმის საშუალება მიეცემა, ვითარება მაიძულებს იმის აღიარებას, რომ ნაციონალური მოძრაობა ანგარიშგასაწევი ძალაა. ჰოდა, საბოლოოდ, ეს ყველაფერი მიდის „ნაციონალურ-რესპუბლიკურ“ უმრავლესობამდე! გლობალურად რომ შევხედოთ, ეს ხელს აძლევს იმ ძალებს, ვინც თავის დროზე, საქართველოში თავისუფლების ინსტიტუტი ჩამოაყალიბა, სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმა ესა თუ ის ყვავილოვან-ფერადი რევოლუცია და ვისაც სურს, მის მიერ დახარჯული უზარმაზარი თანხები წყალში არ აღმოჩნდეს ჩაყრილი!

— მთავარი ინტრიგა მაინც ისაა, რა მოხდება 19 აპრილს და შესაძლოა თუ არა, მოვლენები ისე განვითარდეს, სისხლი დაიღვაროს?

— ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია საუბარი.

> **ვანო მერაბიშვილის განცხადებებს თუ მივადევნებთ თვალს, მათ შორის, სოციალურ ქსელებში, აშკარად ჩანს, ნაციონალები ყველა შესაძლო ვარიანტისთვის მზად არიან! ნაციონალებისა და „ოცნების“ უკან მდგომი ძალებისთვის ყველაზე კარგი შედეგი ის იქნება, თუ ეს აქცია ყოველგვარი ექსცესის გარეშე დასრულდება! არ მაქვს საუბარი მინი-კონფლიქტებზე, რადგან ეს შეიძლება, ყოველთვის მოხდეს, თუმცა კიდევ უფრო უარესი რომ წარმოვიდგინოთ, 19 აპრილს ან ამ აქციის შემდეგ, შესაძლოა, მოხდეს გაურკვეველი წარმომავლობის დანაშაულები, მათ შორის, ისეთი მძიმეც კი, როგორიცაა მკვლელობა, რომლის ადრესატი, ადგილი და გარემოება ეჭვს გააჩენს „ოცნების“ წინააღმდეგ, მაგრამ ამ დანაშაულის ჩამდენები ნაციონალები იქნებიან.**

— მოსალოდნელ პოლიტიკურ მკვლელობაზე რამე ინფორმაცია გაქვთ თუ ეს ვარაუდია?

— სწორედ ამას ვამბობ! სიმართლე გითხრათ, ახლა სავსებით კონკრეტული პირები და ადრესატები მყავს მხედველობაში, რასაც ჩემი ინტუიციითა და ლოგიკით ვხედავ.

— დაასახელეთ ეს ადამიანები!

— რა თქმა უნდა, ამას ვერ ვიზამ, ამ ადრესატებისა და გარემოებების დასახელება ახლა არც საჭიროდ მიმაჩნია და არც მინდა რამის დაკონკრეტება, აბსოლუტურად საკმარისია ის განცხადება, რასაც ვაკეთებ — ქვეყანაში იგეგმება ასეთი რამ და „ოცნებამ“ ამის შესახებ უნდა იცოდეს, „ოცნებას“ ხომ ცნობილ „გადამგდებებთან“ აქვს საქმე!

> **იქიდან გამომდინარე, რომ პასუხისმგებლობა არსებულ და არა ძველ ხელისუფლებას ეკისრება, „ოცნებას“ ვაფრთხილებ — იგეგმება სისხლის სამართლის დანაშაულები, სადაც კითხვაც კი არ დაისმევა ჩვეულებრივი „ობივატელის“ მიერ, ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ესა თუ ის მკვლელობა. ჩამდენები, დიდი ალბათობით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იქნებიან, მაგრამ დაბრალების დიდი ალბათობა სწორედ „ოცნების“ მისამართით იქნება!**

— შს სამინისტრომ და უშიშროების სამსახურებმა ამ გეგმების შესახებ არაფერი იციან?

— ვერ გეტყვით, რას აკეთებს უშიშროების სამსახური. აქ საუბარია ელემენტარულ ლოგიკაზე, რაზეც ნაფიქრი უნდა ჰქონდეს უშიშროების რიგით თანამშრომელსაც და თუ ამ მიმართულებით ნაფიქრი არ აქვთ, ძალიან ცუდია!

— მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში, პასუხისმგებლობას ვინ აიღებს?

— საკუთარი ნებით, პასუხისმგებლობას არავინ აიღებს, თუმცა როცა ქვეყანაში რაღაც ცუდი ხდება და მოვლენები სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად არ ვითარდება, ქვეყნის ხელისუფლება თავიდან ბოლომდე უდანაშაულო მაინც ვერ იქნება. როცა ახალი ძალა მოდის ხელისუფლებაში, ის პასუხს აგებს ყველა იმ ტიპის მოვლენაზე, რასაც შეიძლება, პოლიტიკური ელფერი მიეცეს! ის პასუხს აგებს მაშინაც, თუ პოლიტიკური დანაშაულების ავტორები ან ჩამდენები არ არიან დასჯილნი. ნაციონალები, რომლებიც შიშისგან თავზარდაცემულნი იყვნენ არჩევნებიდან მეორე-მესამე დღეს, ნელ-ნელა ძალებს რომ იკრებენ და დღეს უკვე რიხით გვესაუბრებიან, ესეც „ოცნების“ ბრალია! მათ რომ დღეს ბევრი რამის გაფუჭება შეუძლიათ, აღარაფრის ეშინიათ და რცხვენიათ, ესეც დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა!

პაატა ზაქარეიშვილი რუსეთის აგენტობას უარყოფს

მე-3 გვერდიდან

— გინდათ თქვათ, რომ აფხაზეთთან მიმართებაში პრობლემა მხოლოდ სამინისტროს დასახელებაა? ამ დროს, პაატა დავითაია აცხადებს, რომ აფხაზური პრესა საქართველოს ახალ ხელისუფლებასა და პირადად თქვენც ცინიკურად მოგიხსენიებთ.

— დიახ, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ თუ სამინისტროს სახელს არ შევცვლით, აფხაზურ და ოსურ მხარეს ვერ დაველაპარაკებით. რაც შეეხება პაატა დავითაიას განცხადებას, ნამდვილად არ გავბრაზდები, რადგან მსგავსი ინფორმაციების გავრცელება მისი, როგორც თავისუფალი მოქალაქის უფლებაა. პირადად მე, კარგად ვიცი, აფხაზები როგორც მიყურებენ, რადგან მათ პაატა დავითაიაზე ხშირად ვეკონტაქტები. როგორც ჩანს, აფხაზურ პრესას პაატა დავითაია სიზმარში კითხულობს.

— ბრალდებებს დევნილთა საინიციატივო ჯგუფიც გიყენებთ და აცხადებს, ზაქარეიშვილი აფხაზეთის მთავრობის მუშაობაში უხეშად ერევაო. მართლაც, მას შემდეგ, რაც ვახტანგ ყოლბაია ერთ-ერთ მისაღებ კანდიდატად დაასახელეთ, ის აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ეს უბრალო დამთხვევად უნდა ჩავთვალოთ?

— დიდი ხანია ვცდილობ, მაგრამ დღემდე ვერ მივაგენი, დევნილთა საინიციატივო ჯგუფში ვინ ერთიანდება. დიახ, როცა ამ საკითხზე მკითხეს, ჩემს მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია გავაჟღერე — კარგი იქნება, თუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ვაღიარებთ, რადგან ეს ერთადერთი ორგანოა, რომელიც აფხაზეთის ომამდე აირჩა და დღემდე პოლიტიკურ ლეგიტიმაციას იმსახურებს, ამიტომ მე, პაატა ზაქარეიშვილს მირჩევნია, თავმჯდომარეც სწორედ ამ ინსტიტუტიდან იყოს დანიშნული-მეთქი. ნამდვილად მაქვს იმდენი ჭკუა, ჩემი ნააზრევი კარგად ავწონ-დავწონო და ისე ვთქვა, როგორც საქმეს სჭირდება. მიმაჩნია, რომ ვახტანგ ყოლბაია ერთადერთი ადამიანია, რომელსაც აფხაზებთან კონტაქტი დღემდე აქვს და, როგორც მინიმუმ, აფხაზეთში მას ვერავინ შეაფურთხებს. ამასთან, მას საერთაშორისო ორგანიზაციებიც ელაპარაკებიან და ზურგს არც ახლა შეაქცევენ. რაც მთავარია, ვახტანგ ყოლბაია კარგად იცნობს აფხაზურ პრობლემებს და დიდი ხანია, არც ანტიაფხაზური განცხადება გაუკეთებია. მიმაჩნია, რომ ის არის ადამიანი, რომელსაც აფხაზები დაელაპარაკებიან.

— კი, მაგრამ თავმჯდომარის არჩევა ხომ უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა და მსგავსი საჯარო განცხადებებით საბჭოზე განა ზეწოლას არ ახდენთ?

— ამ ადამიანებთან მომავალში უნდა ვითანამშრომლო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ჩემი განცხადება ვინმემ ბრძანებად აღიქვას. ჩემს პოზიციას ვახტანგ ყოლბაიას მისამართით ღიად ვაფიქსირებ, რადგან სტრუქტურის გაძლიერება ჩემს ინტერესებში შედის, მაგრამ არავის ვურეკავ და არ ვუბრძანებ, გინდათ თუ არა, ასე მოიქეცი-მეთქი. ჩემი სათქმელი კონცეფციის სახით ჩამოვაყალიბე, დანარჩენზე საბჭომ იმსჯელოს.

— კრიტიკის ობიექტი მას შემდეგაც გახდით, რაც ცნობილი გახდა, რომ საქართველო უმცირესობის ენების შესახებ ევროპის ქარტიის რატიფიცირებას მოახდენს. არ ფიქრობთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება თუნდაც სამცხე-ჯავახეთში სეპარატიზმს ხელს შეუწყობს?

— ქარტიის რატიფიცირების შესახებ ვალდებულება მიხეილ სააკაშვილმა 1999 წელს აიღო, რატომ მაშინ არ გამოვიდა საზოგადოება, გინდათ თუ არა, რეფერენდუმი ჩაატარეთო? თუ ამ ვალდებულებას არ შევასრულებთ, ევროპაში სწრაფვის პროცესი შეჩერდება.

— გინდათ თქვათ, რომ საქართველოს ევროპასთან მხოლოდ რატიფიცირების პრობლემა აქვს? სხვათა შორის, რატიფიცირების წინააღმდეგ საქართველოს პატრიარქიც გამოვიდა.

— სამწუხაროდ, საზოგადოებამ კარგად არ იცის, რა წერია ქარტიაში, რომელიც სინამდვილეში, ქვეყანაში დიდი ხანია მუშაობს. ეს იგივეა, ცოლ-ქმარმა, რომელმაც 20 წელი ერთად იცხოვრა, ერთ მშვენიერ დღესაც ხელის მოწერა გადაწყვიტოს და ურთიერთობა ოფიციალური გახადოს. თუ ქარტიის შედეგად, ევროკავშირი ვიზების ლეგალიზაციაზე დათანხმდება, აფხაზებისა და ოსებისთვის ქართული პასპორტი ბევრად მიმზიდველი იქნება და შესაბამისად, პროცესსაც ჩვენს მხარეს შემოვატრიალებთ. სწორედ ვიზების ლიბერალიზაციის ფარგლებში გვაქვს ქარტიასთან დაკავშირებული ვალდებულებები. პირადად მე, რაც უნდა ცინიკურად ჟღერდეს, ევროპაში სამოგზაუროდ პრობლემა არ მექმნება, ეს ქართველ ხალხს განვითარებისთვის სჭირდება. ვთქვათ, რეფერენდუმის შედეგად გაირკვა, რომ ხალხს ქარტია არ მოსწონს, შემდეგ რა ვქნათ — ვალდებულებაზე უარი ვთქვათ? ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ქარტიის მიღება სეპარატიზმს შეუწყობს ხელს, მაგრამ პირადად მე, ასე არ ვფიქრობ.

— სხვათა შორის, ნოდარ ნათაძემ რუსეთის აგენტი გიწოდათ...

> **— მსგავსი განცხადებები ნამდვილად არ მაინტერესებს, რადგან მიმაჩნია, რომ მართალი ვარ. მინისტრობისთვის არასოდეს მიბრძოლია და თანამდებობაც ჩემთვის მშვიდი ნავთსაყუდელი არ არის და ვიღაცებმა შეურაცხყოფა რომ არ მომაყენონ, ამის გამო ჩუმად არ ვიქნები. ვიდრე პირში სული მიდგას და მინისტრის თანამდებობა მიკავია, 20 წლის განმავლობაში რა საკითხებზეც ვლაპარაკობდი, ახლა შევასრულებ, რადგან ამაზე კარგი პირობები არასოდეს მექნება. სანამ ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ეს საქმე უნდა ვაკეთო, „ნათარ ნოდარიძეების“ აზრზე არ ვიდარდებ. ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის.**

ხულოში 16 წლის გოგონას ეძებენ

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლებში 16 წლის გოგონას ეძებენ. ოჯახს მელანო ქედელიძე 13 აპრილის შემდეგ არ უნახავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აჭარის საგანგებო და გადაუდებელ საქმეთა მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მამუკა თურმანიძემ განუცხადა, გოგონას ძებნა ტყესა და საზაფხულო იალაღების მიდამოებში მიმდინარეობს. თურმანიძის თქმით, გამორიცხული არ არის, გოგონას დაოჯახების საკითხიც.

„გასულია სააგენტოს სამაშველო სამსახურის ბრიგადა. ძებნაში გარემოს დაცვიდან სატყეო სამსახურის თანამშრომლები ჩაერთვებიან. გოგონას ვეძებთ ტყესა და საზაფხულო იალაღების მიდამოებში. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობა და გოგონას თანაკლასელები არიან ჩართულები საძიებო სამუშაოებში. არ გამოვრიცხავთ გოგონას დაოჯახებასაც“, — აღნიშნა მამუკა თურმანიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

9 მაისს, ლარსზე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება გაიმართება

„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი“ ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე 9 მაისის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, — ამის შესახებ კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, ირაკლი ყიფიანმა განაცხადა.

„9 მაისის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო-კულტურულ ღონისძიებაში სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფოლკლორულ ანსამბლებთან, პოეტებსა და ვეტერანებთან ერთად მივიღებთ მონაწილეობას. მათ ვინაობას მალე გაიგებთ, მსურველი ბევრია და შერჩევა მიმდინარეობს. ვინაიდან თვითორგანიზებით მივდივართ, არ არის საშუალება, ბევრი წამოვიდეს. ლარსზე, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, არის დიდების მემორიალი, სადაც შევიკრიბებით. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მათ ჯერ არ გამოუთქვამთ სურვილი, თავისი ინიციატივით თუ წამოვლენ, ძალიან კარგი იქნება იმიტომ, რომ ამაში ისეთს ვერაფერს ვხედავ. სამამულო ომში ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა, ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართველ ხალხს. გასამახვილებელია ყურადღება იმაზე, რომ რუსები ყოველთვის, როცა ამ თემაზე მიდის საუბარი, ქართველების ღვაწლს, გამარჯვებაში შეტანილ წვლილს ახსენებენ, საქართველოში კი შეინიშნება ტენდენცია, რომ ხშირად ახსენებენ რუსეთ-გერმანიის ომს. კი მაგრამ, როცა რუსები არ გვიკარგავენ წვლილს, ქართველები ვიშორებთ ამას?! აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივადაა ყველაფერი, მივდივართ წყნარად, მშვიდად, აღვნიშნავთ გამარჯვების დღეს და ვბრუნდებით. არანაირი პუტინი, მედვედევი, მოსკოვი, მივდივართ ლარსზე“, — განაცხადა ყიფიანმა.

რაც შეეხება ახლადშექმნილ „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბს“, ყიფიანის თქმით, მათ კონკრეტული არავინ აფინანსებს და ჯერჯერობით, პირადი წყაროებით აფინანსებენ კლუბს.

„კლუბში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგალითად, მურმან ჩხენკელი, გიორგი მდივანი, ლაშა ქურდაშვილი და ბევრი სხვა. რაც შეეხება კლუბის მიზნებს, მისიას ამაზე დეტალურ ინფორმაციას საზოგადოება პრეზენტაციაზე მიიღებს“, — განაცხადა ყიფიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

დავით დარჩიაშვილი: „ნაციონალები“ და „ოცნება“ სხვადასხვა პლანეტიდან ვართ!“

„სულაც არ მსიამოვნებს, რომ პუტინსა და ივანიშვილს ერთ კონტექსტში განვიხილავ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სააკაშვილის ვიზიტი სტამბოლში და აგვისტოს ომის გამოძიების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი — ბოლო დღეების ამ ყველაზე აქტულურ თემებზე „ვერსიას“ თურქული ვოიაჟის მონაწილე, სააკაშვილის დაშავების თვითმხილველი და აგვისტოს ომის დროს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ნაციონალი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.

— ბატონო დავით, სააკაშვილის სტამბოლურმა ვიზიტმა, სადაც თქვენც ახლდით, ბევრი კითხვა დატოვა. ამასთან, სოციალურ ქსელებში სააკაშვილის ტრაილერთან შეჯახების ამსახველი ვიდეოკადრები გავრცელდა...

— როგორც მითხრეს, ეს კადრები 2011 წელს რუმინეთში მომხდარი ინციდენტიდანაა აღებული და არ ვიცი, ამ კადრების გავრცელება ვის ინტერესში იყო. სინამდვილეში, ყველაფერი ასე მოხდა: ფეხბურთი ვითამაშეთ, მერე, სააკაშვილმა თავისი ენერგიულობიდან გამომდინარე, სურვილი გამოთქვა, რომ ველოსიპედით გაგვესეირნა.

— ნეტავ, გავყოლოდიო, განაცხადეთ ერთ-ერთ ინტერვიუში. რომ გაყოლოდით, რა შეიცვლებოდა?

— ვერ გეტყვით, შესაძლოა — არაფერი.

— ინციდენტის დროს პრეზიდენტს დაცვა ახლდა?

— როგორც ვიცი, მგონი, ერთი კაცი ახლდა, ასევე, ველოსიპედით, თუმცა ძალიან ძნელია, ველოსიპედით ველოსიპედიან კაცს დაეწიო და ის არ დაუშვა, რაც ათასში ერთხელ ხდება.

— კიდევ ერთი უცნაური დეტალი — თურქეთის პრეზიდენტს სააკაშვილი თაბაშირის გარეშე ხვდება, მესამე დღეს კი, პოლონეთში ვიზიტისას, ხელი უკვე თაბაშირში აქვს. ჰოდა, ჩიორა თაქთაქიშვილის ტვინის შერყევისა არ იყოს, ნაციონალებს ავადმყოფობა გვიან გეწყებათ?

— ჩიორა თაქთაქიშვილს ჰქონდა ტვინის მსუბუქი შერყევა! პრესას კი ცოტა სიყვითლე გადაჰკრავს ხოლმე, როცა ასეთი თემებით ირონიზირებს.

— უკაცრავად, მაგრამ ეს ყველასთვის საინტერესო თემაა, თან საქმე პრეზიდენტს ეხება!

— უბრალოდ, ჩემს აზრს გამოვთქვამ.

> **ამ ინციდენტის მერე, პრეზიდენტთან ვიყავი. სასწრაფო ოპერაცია გახდა საჭირო, რომელიც დილას ჩატარდა... მკლავზე, სამ ადგილას მოტეხილობა აღმოაჩნდა. ახალი ტექნოლოგიები ისეთია, ადამიანს თაბაშირს არ უკეთებენ, არსებობს სხვანაირი ფიქსატორი. მეორე დღეს, სააკაშვილი შეხვედრაზე წავიდა აბდულა გიულთან და მოიხსნა ეს ფიქსატორი. პოლონეთში კი, ალბათ, შესაძლებლად ჩათვალა, უფრო თავისუფლად ყოფილიყო, უშუალო, პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე. შემიძლია, ისიც დაგიდასტუროთ, რომ ვიდრე შეხვედრა შედგებოდა, ტკივილი ჰქონდა და „ნიმესილს“ იღებდა!**

— თურქული ვიზიტის საქმიან დეტალებზეც გკითხავთ — რაბათის ციხის გარდა, ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებაზეც ისაუბრეთ?

— პრეზიდენტს თურქეთის პრემიერსა და პრეზიდენტთან ერთი ერთზე ჰქონდა შეხვედრები, ოფიციალურ ვახშამზე კი ყველა ერთად ვიყავით. დიახ, საუბარი შეეხო კულტურულ ძეგლებსაც — აბდულა გიულის განცხადება, უშუალოდ, რაბათის ციხეს ეხებოდა, რაც მას თურმე ძალიან მოსწონს. აღდგენის თვალსაზრისით, თურქული მხარე იგივეს აპირებს ქართულ ძეგლებთან მიმართებაშიც. თურქების აზრით, ეს ხელს შეუწყობს მთელ რეგიონში ტურიზმის განვითარებას. თურქეთი ძალიან კორექტულად იქცეოდა მეჩეთთან დაკავშირებით ჩვენ, ორივე მხარეს ერთი და იგივე პოზიცია გვქონდა. საერთოდ, ოსმალური ეპოქა სამხრეთ საქართველოს ნაწილია!

— ცოტა სისხლიანი, ალბათ...

— ყველაზე სისხლიანი თემურ ლენგისა და რუსეთის ეპოქა იყო საქართველოსთვის, მაგრამ თემურ ლენგზე საუბარი აქტუალური არ არის, რუსეთის მიმართ კი, მისი ისტორიული ცოდვების გამო, ახალი ხელისუფლებისგან აგრესიული არაფერი მსმენია.

— თქვენი პოზიცია მაინტერესებს — ბათუმში ახალი მეჩეთი უნდა აშენდეს თუ ძველი გაფართოვდეს, რასაც საპატრიარქო ემხრობა?

— თურქეთის სურვილია, იმ ადგილას, სადაც ძალიან პატარა ხის მეჩეთი იდგა, კულტურის ცენტრი გაკეთდეს და ამაში ტრაგიკული არაფერია.

— ვერც თურქი მესხების ჩამოსახლებაში ხედავთ საფრთხეს?

— საფრთხეებისადმი ჩვენ და ახალ ხელისუფლებას აბსოლუტურად სხვადასხვანაირი დამოკიდებულება გვაქვს!

— ახალი ხელისუფლება რა შუაშია? ივანიშვილმა თქვა, ახალ მეჩეთს ჩემი ხარჯით ავაშენებო...

— არ ვიცი, ივანიშვილმა რა თქვა, მაგრამ აქ საუბარი ისტორიის პატივისცემაზეა! თბილისის მეჩეთი, რომელიც ბერიას დროს დაინგრა, ამ ქალაქის კოლორიტი იყო და თუ ვინმე მას აღადგენს, ამაში რელიგიურ და პოლიტიკურ ტრაგედიას ვერ დავინახავ, სტალინის ძეგლების აღდგენისგან განსხვავებით.

— ოღონდ, ისტორიის პატივისცემაც ორმხრივი უნდა იყოს!

— დიახ და ჩვენთვის ოშკი იმხელა ღირებულებაა, პატარა მეჩეთის დადგმა ბათუმში რა მოსატანია ან, თუნდაც, კულტურის ცენტრის აშენება იმ ქვეყნისთვის, რომელთანაც, გვინდა თუ არა, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს?!

— სხვათა შორის, პრემიერმა მედიასთან შეხვედრაზე გააჟღერა, რომ ნაციონალებს ოკუპაციის კანონში შესული ცვლილებებისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება გაქვთ...

— მგონი, უმრავლესობაშიც გრძნობენ ამ ცვლილებით გამოწვეულ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულობას. ამ კანონის შერბილების მცდელობა რუსეთის მოქალაქეებზე ზრუნვითაა გამოწვეული! თუ საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან უკანონოდ შემოსვლა სისხლის სამართლის დანაშაულია, ფსოუდან და როქის გვირაბიდან შემოსვლაზე არ უნდა იყოს მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა! ამით ირიბად ვიწყებთ იმის აღიარებას, რომ იქ სხვა ლეგიტიმური ვითარებაა.

— და ასე არ არის?

— იცით, რა ჩვენ რომ ამ კანონს ვარბილებთ, იურიდიულ საფუძველს ვაცლით საკუთარ თავსა და საკუთარ ბრძოლას. ფსოუზე რომ გადმოდის ადამიანი, ჩადის დანაშაულს საქართველოს კანონმდებლობითაც და საერთაშორისო დონეზეც, რადგან ჩვენი საზღვრები სწორედ ფსოუსა და როქზეა აღიარებული, თუმცა რეალურად, ის ტერიტორია ოკუპირებულია და ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლით, ადამიანი სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის! კი ბატონო, თუ ვინმეს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ ქვეყანაში შემოდიდა, ასეთებზე კანონში ისედაც იყო საუბარი, არ იცოდა, რომ დანაშაულს სჩადიოდაო ანუ ცვლილების გარეშე, კანონი ისედაც უშვებდა გამონაკლისს. ჯამში, კანონს რომ ვცვლით, ამით რუსეთსა და მარიონეტულ ხელისუფლებებს ვასიამოვნებთ! საფრთხე კი იმაში მდგომარეობს, რომ ამით ჩვენს სამართლებრივ-დოკუმენტურ ბაზას ვასუსტებთ! ამ ცვლილების მიზანი მაამებლობაა რუსეთის მიმართ და პატარა ნაბიჯი იქითკენ, რომ ხვალ ჩვენი ტერიტორიების სტატუსზე განსხვავებულად დაიწყოს ლაპარაკი. საერთოდ მგონია, რომ ჩვენ და ახალი ხელისუფლება სხვადასხვა პლანეტიდან ვართ და ეროვნული ინტერესები აბსოლუტურად სხვადასხვანაირად გვესმის.

— პრეზიდენტი აგვისტოს ომის გამოძიებასთან თანამშრომლობას არ აპირებს, პრემიერი კი აცხადებს, სააკაშვილი იმდენჯერ მივა პროკურატურაში, რამდენჯერაც საჭირო იქნებაო. ახალ ჩიხში ხომ არ შევდივართ?

— მგონი, ამ ხელისუფლებას საქართველო შეჰყავს ჩიხში, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მსგავსი ჩიხიდან ბევრჯერ გამოსულა და ახლაც გამოვა. აგვისტოს ომის თემა სცდება ჩვეულებრივი იურისტების განსჯადობის საკითხს:

დასასრული მე-7 გვერდზე

შსს-მ პოლიციის შენობის ესკიზური პროექტების კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა

მართალია, 9 წლის განმავლობაში ნაციონალები ამტკიცებდნენ, ხალხთან შეთანხმების გარეშე, არაფერს ვაკეთებთო და ნათქვამის საილუსტრაციოდ, პოლიციის გამჭვირვალე შენობები მოჰყავდათ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის ბატონობის დროს, მთელი სისტემა და მათ შორის, შს სამინისტროც ჩაკეტილი იყო ანუ არავინ იცოდა, თუ რა პრინციპით იღებდა სამინისტროს ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს. პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი, სიტუაცია აბსოლუტურად შეიცვალა და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საჯარო დისკუსიისა თუ კონკურსის შედეგად მიიღება.

ორი დღის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციის შენობის ესკიზური პროექტების კონკურსის გამარჯვებულები გამოავლინა. კონკურსში მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც ჟიურის თავმჯდომარემ, არქიტექტორმა ნიკოლოზ შავიშვილმა ორ ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინა: თბილისში, გაგარინის მოედანზე მდებარე პოლიციის შენობისთვის საუკეთესო პროექტის ავტორი დიმიტრი მოძმანაშვილია, რომელიც არქიტექტურულ კომპანია „დემარკს“ წარმოადგენს, მეორე გამარჯვებული კი, ახალგაზრდა არქიტექტორი ლაშა ბარბლიშვილია, რომელმაც ქალაქ ბორჯომის პოლიციის ახალი შენობის საუკეთესო პროექტი წარმოადგინა.

სამინისტრომ პოლიციის შენობის საუკეთესო ესკიზურ პროექტზე ღია კონკურსი 22 მარტს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც პროფესიონალ არქიტექტორებს, არქიტექტურულ კომპანიებს, დიზაინერებს, მხატვრებს, ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, სტუდენტებს.

კონკურსი ჩატარდა ანონიმურად, ჟიურის განხილვაზე სულ 51 ნამუშევარი შევიდა.

ნამუშევრები დეტალურად განიხილეს შემდეგი კრიტერიუმებით: არქიტექტურული და მხატვრული სახე; გარემოს გათვალისწინება შენობის მასშტაბის, სართულიანობის, მოცულობისა და მასის შესაბამისობა ურბანულ და ლანდშაფტურ გარემოცვასთან; რეალიზაციის მიზანშეწონილობა.

კონკურსის მსვლელობისას უპირატესობა მიენიჭა კონკურსანტის შემოქმედებით იდეას, ესკიზის ორიგინალურობასა და პრაქტიკულობას, შენობის მოცემულ გარემოსთან შერწყმას, სისადავეს, ფუნქციონალურ დატვირთვასთან შესაბამისობას.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულები შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 000 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

დავით დარჩიაშვილი: „ნაციონალები“ და „ოცნება“ სხვადასხვა პლანეტიდან ვართ!“

მე-6 გვერდიდან

ეს ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხია! როცა პრემიერი წინა მთავრობას ადანაშაულებს ომის დაწყებაში, ეს თავდაყირა აყენებს, ჯერ ერთი, ქვეყნის რაობას და მეორეც — მის ისტორიას. შესაბამისად, პრეზიდენტის პოზიცია, რომ გამოძიებასთან საქმეს არ დაიჭერს, აბსოლუტურად გამართლებულად მიმაჩნია. პრეზიდენტი გამოუცხადებს ამ გამოძიებას ბოიკოტს და აბსოლუტურად მართალი იქნება ერის, ღვთის, ისტორიისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ერთადერთი, ვის წინაშეც მართალი არ იქნება, ეს პუტინი და ივანიშვილია და სულაც არ მსიამოვნებს, ამ ორს ერთ კონტექსტში რომ განვიხილავ. საერთოდ, ივანიშვილს ბევრი განცხადების შემდეგ უთქვამს, ეს არ მითქვამსო. მაგალითად, გასულ ორშაბათს სრულიად მკაფიოდ თქვა, რომ საქართველომ დაიწყო ომი და ახლა ამბობს, ასე არ მითქვამსო!

დიდი უსინდისობა მგონია იმის ხაზგასმაც, რომ შენმა ხელისუფლებამ იომა, საშინელი აგრესიის გამო იძულებული გახდა, უკან დაეხია, რათა სახელმწიფოებრიობა მთლად არ დანგრეულიყო და მას დააბრალო, ტერიტორიები ჩააბარაო. ასევე, დიდი უსინდისობაა თავის იმით გართობა, რომ თურმე, დაბომბვის დროს იქ მყოფი პრეზიდენტი წაიქცა და ზემოდან დაცვა დააწვა — ეს არაადამიანობა და ხალხის შეცდომაში შეყვანაა! ერთი, რომელიმე მათგანი გორში დაბომბვის დროს დამდგარიყო და ვნახავდით, როგორ მოიქცეოდა!

— ბატონო დავით, ფიქრობთ, ამ პოპულარული სურათის თემა ისევ აქტუალურია?

— რა ვიცი, თავს ისევ ამით ირთობენ! უსინდისობაა ისიც, რომ ტალიავინის დასკვნას სათავისოდ იყენებენ: დასკვნაში მკაფიოდ წერია, რომ აბსოლუტურად დარღვეული იყო სამშვიდობო რეჟიმი და რუსეთიდან გადმოდიოდა გაურკვეველი ფორმირებები, რასაც მოჰყვა ქართული ჯარის რეაქცია!

— ისე, გეცოდინებათ, ტალიავინის დასკვნის ერთ ნაწილში წერია, რომ პირველად იარაღი სწორედ ქართული მხრიდან გავარდა და ეს შეტევა მოწინააღმდეგის შეტევის არაპროპორციული იყო!

— იქ საუბარი იმაზეა, რომ ქართული მხრიდან ცეცხლის ინტენსიურობა გაიზარდა ანუ გამუდმებულ თავდასხმებს უკვე საერთო საჯარისო ცეცხლით ვუპასუხეთ. სირცხვილია ამაზე ლაპარაკი — როცა კრიმინალი მოდის და გესვრის, შენ სამჯერ მეტი უნდა ესროლო, რათა გააჩერო და გააუვნებელყო!

როცა ნაღმმტყორცნებს გესვრიან და შენს ქვეყანას ბომბავენ, ვალდებული ხარ, ტანკი გადააადგილო! ერთადერთი, რაშიც ქალბატონი ტალიავინი კრიტიკულია, ისაა, ეგებ, უფრო პროპორციული ცეცხლი გახსნილიყო საქართველოს მხრიდანო. არ ვიცი, „ოცნებას“ რა უნდა — იყო ომი, იყო რუსული აგრესია, რასაც სააკაშვილი დაუპირისპირდა.

პრეზიდენტი იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. არის პრეზიდენტი და არიან მისი მომხრეები, ვინც ფიქრობს, რომ შენი ქვეყნისთვის უნდა იბრძოლო და არის „ქართული ოცნება“, რომელსაც მიაჩნია, რომ არ უნდა იბრძოლო! რუსეთთან ამ 200-წლიანი ომის კონკრეტულ ეპიზოდში, საკუთარი ხელისუფლების დადანაშაულება ეროვნულ ინტერესებზე უარის თქმად მიმაჩნია!

სამართალდამცავებმა „ქურდული სამყაროს“ წევრები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.წ. ქურდული სამყაროს წევრები, წარსულში მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირები: 1973 წელს დაბადებული მიხეილ ხ, 1984 წელს დაბადებული გიორგი კ, 1988 წელს დაბადებული გიორგი გ, და 1988 წელს დაბადებული გიორგი თ. დააკავეს. ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ოთხივე ბრალდებული აღიარებს „ქურდული სამყაროს“ წევრობას. ისინი მოქალაქეებისგან ე.წ. ქურდულ გარჩევებზე, დაშინებისა და მუქარის გზით, გარკვეულ თანხებს ითხოვდნენ. სამართალდამცველებმა ბრალდებულები თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

ლილოს სუპერმარკეტებიდან ვადაგასული სურსათი ამოიღეს

სურსათის ეროვნული სააგენტო სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგს განაგრძობს. ამჯერად, თბილისის საქალაქო სამმართველოს სპეციალისტებმა, ლილოს ტერიტორიაზე მდებარე სუპერმარკეტებიდან, სარეალიზაციოდ გამზადებული, დიდი რაოდენობის ვადაგასული სურსათი ამოიღეს.

სააგენტოს ცნობით, უკვე დაილუქა სხვადასხვა დასახელების პროდუქტი, მათ შორის, ტკბილეული, საკონდიტრო ნაწარმი, ძეხვეული, სხვადასხვა დასახელების კონსერვი და რძის პროდუქტები. სააგენტომ ამ პროდუქტების შემდგომი რეალიზაციაც აკრძალა. მიმდინარე წელს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო კონტროლის (მონიტორინგის) განხორციელებისას, ვეტერინარული მოწმობა — ფორმა №2-ის გარეშე, ხორცის რეალიზაციის გამო, 53 ბიზნესოპერატორი დააჯარიმა.

ამავე სააგენტომ, დიდი რაოდენობით დაავადებული ცხენის ხორციც გაანადგურა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ვადაგასული სურსათი ამოღებულია 36 სავაჭრო ობიექტიდან. მთლიანად 232 ბიზნესოპერატორი გადამოწმდა და მათგან 88 დაჯარიმდა.

„კომერსანტი“

რაბათის ციხესთან ახალი სასტუმრო გაიხსნა

რაბათის ციხის მიმდებარედ, ჯინო ველნესის სასტუმრო გაიხსნა, რომელიც ს/ს „საპარტნიორო ფონდისა“ და Eurocom Investment Georgia-ს ერთობლივი დაფინანსებით აშენდა. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 5 000 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, სადაც საპარტნიორო ფონდის წილმა კონვერტირებადი სესხის სახით — 2 400 000 აშშ დოლარი შეადგინა. სასტუმრო 38-ნომრიანია, მათ შორის, 2 ლუქსის ტიპის ნომერია. სასტუმროს ინფრასტრუქტურა მოიცავს ბარს, რესტორანს, სპას, საუნასა და ღია აუზს.

სასტუმროს გახსნის ცერემონიალის შემდეგ, ს/ს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ირაკლი კოვზანაძემ და სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტ ბანკ EXIMBANKA-ს წარმომადგენელმა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოში, ტურიზმის სექტორში ერთობლივი პროექტის განხორციელებაზე.

ირაკლი კოვზანაძის ინფორმაციით, ფონდი ტურიზმის განვითარების მიმართულებით კიდევ რამდენიმე პროექტში მონაწილეობს. ესენია: ხუთვარსკვლავიანი „რიქსოსის“ სასტუმრო ლიკანში (სპა-კურორტი), რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 38 000 000 აშშ დოლარია, აქედან ფონდის 15 000 000 აშშ დოლარით მონაწილეობს; ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონი“ წინანდალში 16 800 000 აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულებით, სადაც ფონდის მონაწილეობა 4 000 000 აშშ დოლარითაა განსაზღვრული; 2 300 000 აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულების სასტუმრო ყვარელში, ილიას ტბასთან, სადაც ფონდი 1 500 000 აშშ დოლარით მონაწილეობს.

„კომერსანტი“

ვინ გახდება ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი

სოლომონ პავლიაშვილი ქართველ ბიზნესმენთა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მონოპოლიებს შიფრავს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თუ გვინდა, საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს, შრომის კოდექსისა და სურსათის უვნებლობის სამსახურის პარალელურად, მინიმუმ, ანტიმონოპოლიური სამსახურიც უნდა გვქონდეს. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უპირველესი დაპირება სწორედ ანტიმონოპოლიური, უფრო ზუსტად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონის ამოქმედება იყო. ამ კანონზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, უკვე მუშაობს და მალე პარლამენტსაც წარუდგენს. როგორი უნდა იყოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო? — რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი, სააგენტოს ხელმძღვანელი კი, არც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს და არც ბიზნესისა. ამასთან, როგორც ექსპერტები ამბობენ, სასურველია, თუ ამ სააგენტოს სუსტი სქესის წარმომადგენელი არ უხელმძღვანელებს, რადგან გარდა იმისა, რომ „ანტიმონოპოლიურის“ უფროსი საკმაოდ ძლიერი პროფესიონალი უნდა იყოს, მისი გადაბირება, ან მასთან გარიგებაში შესვლა ვერავინ უნდა გაბედოს — სააგენტო მონოპოლისტებს უნდა შეებრძოლოს და რა გასაკვირია, რომ საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად, რომელიმე ბიზნესმენს სააგენტოს ხელმძღვანელთან გარიგებაში შესვლა მოუნდეს? აი, აქ უნდა გამოჩნდეს ქვეყნის ყველაზე მთავარი სამსახურის უფროსის პრინციპულობა და შეუვალობა. რაც შეეხება დაფინანსებას, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს და სწორედ ეს იქნება სამსახურის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ფაქტორი. ჯერარშექმნილი ე.წ. ანტიმონოპოლიური სამსახურის დეტალებზე „ვერსიას“ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი ესაუბრება.

— ბატონო სოლომონ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც წინა ხელისუფლების დროს პრემიერ-მინისტრის აპარატს დაუქვემდებარეს, ქაღალდზე შექმნილი, სრულიად უსახური სამსახური იყო. ახალი კანონმდებლობის პირობებში, ამ სამსახურის დამოუკიდებლობა რამდენად გარანტირებულია?

— ნებისმიერი სამსახურის, მით უმეტეს, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ფუნქციონირება ხელისუფლებისა და მთავრობის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. მართვის პირველ რგოლად სამინისტროები ითვლებიან, რომლებიც პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ, მეორე რგოლი მარეგულირებელი სამსახურები, მათ შორის, ეროვნული ბანკია. მესამე კი — კერძო სამართლის იურიდიული პირები. მართვის სამივე შტო დამოუკიდებელი უნდა იყოს. აქვე, მნიშვნელოვანია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება, საქვეუწყებო დაწესებულება თუ სამინისტროს დეპარტამენტი...

— უკაცრავად, ეს ფორმა განსაზღვრული არ არის?

— როგორც ვიცი, განსაზღვრულია, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა იყოს, მაგრამ არც ერთ სამინისტროს არ უნდა დაექვემდებაროს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ორგანიზაციული ფორმის ინსტიტუტია, რომელიც საჯარო ფუნქციებს ახორციელებს. შესაძლოა, სააგენტოს ხელმძღვანელი მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის წარდგინებით დაინიშნოს. ჩემი ინფორმაციით, სააგენტო დამოუკიდებელი სამსახური იქნება, რომელიც პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება.

— უმჯობესი არ იქნება, სააგენტოს თავმჯდომარე პრემიერმა კი არა, მისი წარდგინებით, პარლამენტმა დაამტკიცოს?

— არა. ამ შემთხვევაში, ეს სამსახური ორგანული კანონის მიხედვით უნდა შეგვექმნა და კონსტიტუციაში ისეთი ჩანაწერი გაგვეკეთებინა, როგორიც ეროვნულ ბანკზე, აუდიტის სახელმწიფო სამსახურზე ან თუნდაც პროკურატურაზეა — ამ სამსახურების მუშაობა საქართველოს ორგანული კანონით რეგულირდება და მათი ხელმძღვანელები პარლამენტის დადგენილებით ინიშნებიან. ამ ეტაპზე საკმარისია, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს.

— როგორც ვიცი, ამ სააგენტოს პრიორიტეტებს მთავრობა განსაზღვრავს და ამის გამო დამოუკიდებელი ხომ ვეღარ იქნება?

— მთავრობა სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტებს განსაზღვრავს, რა მიმართულებით უნდა იმუშაოს, ყველაფერი კი მორგებული იქნება კანონზე, რომლის საფუძველზეც, სააგენტოს ფუნქციები განისაზღვრება. დამოუკიდებლობის ხარისხი იმაზე კი არ არის დამოკიდებული, პრიორიტეტებს მთავრობა განსაზღვრავს თუ არა. მთავარია, ახალი კანონის ფარგლებში, სააგენტო რამდენად დამოუკიდებელი იქნება. გარდა ამისა, ყველამ უნდა გაიგოს, მათ შორის სააგენტოს შექმნის მომხრეებმაც, ოპონენტებმაც და ექსპერტებმაც, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო სადამსჯელო ორგანო არ იქნება — ამ სამსახურმა ბიზნესი არ უნდა დააზარალოს. ნურავის ეგონება, რომ როგორც კი ეს სამსახური შეიქმნება, მაგალითად, „მაგთის“ დააჯარიმებს ან ნავთობის ფასები მაშინვე დაიწევს. ამას სერიოზული კვლევა სჭირდება... საერთოდ, ამ სამსახურის ხელმძღვანელს დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს — უძლიერესი პროფესიონალი უნდა იყოს და ხედავდეს, რა არის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საფუძველი, რა ფორმების გამოყენება შეიძლება და საბოლოოდ, რა შედეგს მიიღებს.

— ბატონო სოლომონ, საზოგადოებას სწორედ მონოპოლისტების დაჯარიმების მოლოდინი აქვს... ჩვენს ფარმაცევტულ და ნავთობის ბაზრებზე ადგილი აქვს როგორც კარტელურ, ასევე ოლიგოპოლიურ გარიგებებსაც, თორემ როგორ შეიძლება, ბაზარზე არსებულმა ყველა კომპანიამ საწვავის ან წამლის ფასი ერთ დღეს 5-10 თეთრით გააძვიროს, გნებავთ გააიაფოს?

— ამ დარგებსაც უნდა ვუშველოთ, მაგრამ მხოლოდ საფუძვლიანი და სერიოზული კვლევის შემდეგ და არა ისე, პრემიერის პოლიტიკური განცხადების შემდეგ, ზოგიერთმა კომპანიამ პროდუქცია იმიტომ რომ გააიაფა, პრემიერისთვის ესიამოვნებინა. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ უნდა დაამტკიცოს, კომპანიები კარტელურ გარიგებებში არიან თუ არა. საერთოდ, ორი ტიპის — ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონოპოლია არსებობს. ვერტიკალური მონოპოლია იმას ნიშნავს, როცა მაგალითად, ფარმაცევტულ სტრუქტურას საკუთარი სადაზღვევო კომპანია, სამედიცინო დაწესებულება, ფარმაცევტული ფაბრიკა და სარეალიზაციო ბაზა აქვს. ჰორიზონტალური მონოპოლია კი ისაა, როცა ბაზარზე მოქმედი კომპანიები, მაგალითად, „ავერსი“, „ესპ“, და „ჯიპისი“ ერთობლივ გადაწყვეტილებას იღებენ და ბაზარს ინაწილებენ. სხვათა შორის, საბანკო სექტორშიც იგივე ხდება — 5 კომერციულ ბანკს ბაზრის 78-80% უჭირავს. მონოპოლიური მდგომარეობა, თავისთავად, ცუდი არაა, მაგრამ მიუღებელია, როცა სახელმწიფოსგან პირდაპირ, ან ირიბად, პროტექციონიზმის შედეგად, გარკვეულ მდგომარეობას იღებ და ამას ცუდად იყენებ. როგორ შეიძლება, „ვისოლსაც“, „სოკარსაც“ და „გალფსაც“ ერთი და იგივე ფასი ჰქონდეს, როცა საწვავი სხვადასხვა ქვეყნიდან შემოაქვთ? — მათ შორის კონკურენცია არ იგრძნობა და ცუდია, როცა კონკურენტები პარტნიორები ხდებიან — აწყობთ, პარტნიორები იყვნენ, რადგან ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად ერთად იბრძვიან.

— მას შემდეგ, რაც შეიქმნება, სააგენტო ნავთობის ან სხვა ნებისმიერი ბიზნესის ბაზარს რის საფუძველზე გამოიკვლევს?

— მასალების შესწავლის საფუძველზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე კომპანიაში რევიზია შევა. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სამოქმედო გეგმა უნდა ჰქონდეს, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ საქმიანობას განახორციელებს.

დასასრული მე-9 გვერდზე

„საკაშვილს აღლუმის ჩაბარების მორალური უფლება არ აქვს!“

26 მაისის აღლუმის გამო, ივანიშვილსა და ალასანიას შორის უთანხმოებაა?

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

ქართულ პოლიტიკაში ახალი სკანდალი მწიფდება და ამჯერად, საქმე 26 მაისის სამხედრო აღლუმს ეხება. ხელისუფლებას არ სურს, აღლუმი ოპოზიციონერმა მთავარსარდალმა ჩაიბაროს, — აცხადებენ წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულნი და ყველაფერს პრემიერ ივანიშვილის პოლიტიკურ ახირებად მიიჩნევენ. ამასთან, ნაციონალები ამტკიცებენ, რომ აღლუმის თემაზე ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის გარკვეული უთანხმოებაა. ძნელი სათქმელია, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ უთანხმოების ეჭვს თავდაცვის მინისტრის განცხადებაც აძლიერებს, რომლის თანახმადაც, 26 მაისის ღონისძიებებში სამხედრო კომპონენტი აუცილებლად იქნება. აღლუმთან დაკავშირებით, კიდევ ერთი საინტერესო განცხადება, რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა გააკეთა, აღლუმი საბჭოთა გადმონაშთია და სამხედრო ძალის დემონსტრირებას მხოლოდ რუსები ახდენენო... რას გულისხმობს ირაკლი ალასანია „სამხედრო კომპონენტში“? — ამის გასარკვევად, „ვერსია“ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებას რამდენიმე დღის განმავლობაში, ამაოდ ცდილობდა. იმის შესახებ კი, სინამდვილეში, რა მიზეზით ამბობს ახალი ხელისუფლება უარს აღლუმზე, „ვერსიას“ სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ესაუბრა.

— აღლუმის გამართვა-არგამართვა საზოგადოებაზეა დამოკიდებული. თუ საზოგადოებას მიაჩნია, რომ თავისი შეიარაღებული ძალების დათვალიერება ცენტრალიზებული დიდი აღლუმით უნდა განახორციელოს, ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ თუ ხალხის ნაწილისთვის მსგავსი ტიპის ღონისძიება საბჭოთა გადმონაშთია, ეს პოზიციაც უნდა იქნას გათვალისწინებული. საერთოდ, ევროპულ ქვეყნებში მიღებულია, რომ საზოგადოებამ თავისი შეიარაღებული ძალები ისეთი ტიპის ღონისძიებებით დაათვალიეროს, როგორიცაა მაგალითად, საჩვენებელი სწავლება. სხვათა შორის, ევროპაში პავილიონებსაც აწყობენ და მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, ჯარისკაცებს კითხვები დაუსვას. შესაძლოა, ალასანია სწორედ ასეთი ტიპის ღონისძიებებზე საუბრობს. ისე, აღლუმის ტრადიციის გაგრძელებას ხელს ის უშლის, რომ მიხეილ სააკაშვილმა აღლუმი არ უნდა ჩაიბაროს, არადა ეს სწორედ უმაღლესი მთავარსარდლის პრეროგატივაა.

— ესე იგი, ფიქრობთ, რომ აღლუმის არჩატარების მთავარი მიზეზი სააკაშვილია?

— დიახ. იურიდიულად, აღლუმის ჩაბარება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია, მაგრამ ახლა, ეს არც პოლიტიკური და არც მორალური თვალსაზრისით იქნება გამართლებული. ვიდრე 2008 წლის მოვლენებს საბოლოოდ არ გამოიძიებენ, მიხეილ სააკაშვილს აღლუმის ჩაბარების მორალური უფლება არ აქვს!

— აღლუმის არჩატარება ჯარისკაცებისთვის შეურაცხყოფელი ხომ არ იქნება?

— ქართველი სამხედროები შეურაცხყოფილნი რომ არ დარჩნენ, შეგვიძლია, მათთან ურთიერთობის სხვა ფორმა გამოვნახოთ. სამხედრო ძალების დემონსტრირებისთვის ბევრი ისეთი ღონისძიების მოფიქრება შეიძლება, რომელიც არც საზოგადოების გაღიზიანებას გამოიწვევს და თავისუფლების დღე სამხედროებისთვისაც სადღესასწაულო იქნება. მაგალითად, შეიძლება მოეწყოს პავილიონები, მსვლელობები, სადღესასწაულო მარშები.

ვინ გახდება ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი

მე-8 გვერდიდან

— ისე, მნიშვნელობა ალბათ იმასაც ექნება, ვინ ჩაუდგება ამ სამსახურს სათავეში, არა?

— რა თქმა უნდა. სააგენტოს ხელმძღვანელი პიროვნულად ძლიერი და ამ საქმის პროფესიონალი უნდა იყოს, რადგან სერიოზული ბრძოლა მოუწევს. არაა გამორიცხული, რომ გარკვეული ბიზნეს-ჯგუფების ზეწოლის მსხვერპლიც გახდეს, მაგრამ სამსახურის უფროსმა ამას უნდა გაუძლოს.

— ბატონო სოლომონ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, თუ რომელიმე ბიზნესმენი, ჰორიზონტალური შეთანხმების პირობებში, ბაზრის 25%-ს ფლობდა, ვერტიკალური შეთანხმების პირობებში კი 40%-ს, მონოპოლისტად არ ითვლება. შესაბამისად, ძნელია, რომელიმე ბიზნესმენი მონოპოლისტად ჩავთვალოთ, არა?

— რა თქმა უნდა.

> **მონოპოლისტობას მხოლოდ ციფრები არ განსაზღვრავს, ციფრები სიმბოლურია და საქმე არცთუ მარტივადაა. რომელიმე კომპანიას შესაძლოა, ბაზრის 10% უჭირავს, მაგრამ სხვა კომპანიასთანაა კომბინირებული და სინამდვილეში, ბაზრის 20% ან სულაც 30%-ს ფლობს. მთავარია, რა ალიანსები არსებობს. ამიტომაც, ეს ვერტიკალური შეთანხმებები შუაზე უნდა გავხლიჩოთ და ბიზნესმენებს ვუთხრათ, რომ არ აქვთ უფლება, ფლობდნენ ქარხნებსაც, სარეალიზაციო ბაზარსაც, სადაზღვევო კომპანიასაც. არ შეიძლება, ყველაფერი ერთი ქოლგის ქვეშ იყოს. ესაა მთავარი, თორემ როგორც კი ბაზრის, ვთქვათ, 80%-იან წილს დავანაწევრებთ, ისეთ სიტუაციას მივიღებთ, რომ კომპანიას 15-15%-იანი წილები დაზღვევაშიც ექნება, სამედიცინო კლინიკებშიც, ფარმაციასა და წარმოებაშიც...**

— ხომ შეიძლება, პირდაპირ კანონში გაიწეროს, რომ მაგალითად, ფარმაცევტულ კომპანიას სადაზღვევო ან ფარმაცევტული საქმიანობა აეკრძალოს?

— რა თქმა უნდა, და სწორედ ესაა ახალ კანონში გათვალისწინებული. ვერტიკალური მონოპოლიის უფლება არც ერთ ბიზნესმენსა და მეწარმეს არ აქვს.

— კომპანია ოჯახის წევრზე რომ დავარეგისტრირო, ახალი კანონით ესეც იკრძალება?

— თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა ისეთი აქტები უნდა შექმნას, ვერსად გაექცეთ!

— გარიგება რომ შევთავაზო?

— ვერ უნდა შესთავაზოთ, რადგან იმდენად ძლიერი პიროვნება უნდა იყოს, ასეთ გარიგებაზე არ წავიდეს!

— ხომ შეიძლება, ზოგიერთმა ბიზნესმენმა, რომელსაც სააგენტო პრობლემას შეუქმნის, ხელისუფლების საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყოს?

— ამ ლოგიკით, შს სამინისტროსაც უნდა მოვთხოვოთ, ხალხი აღარ დაიჭიროს! ისე, რამდენიმე შემოწმების შემდეგ, ბიზნესმენთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება, მთავრობა დაარწმუნოს და ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი გადააყენებინოს. დასამალი არაა, წინა ხელისუფლების დროს ზოგიერთი პიროვნება, რომელსაც თანამდებობა სულ არ ჰქონდა, უფრო მეტ გავლენას ფლობდა, ვიდრე რომელიმე მინისტრი.

— თუ გავყვებით ვერსიას, რომ კოალიცია რამდენიმე ფრთისგან შედგება, შესაბამისად, ის ფრთა გაძლიერდება, რომლის წარმომადგენელიც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსად დაინიშნება, არა?

— ამის თეორიული შანსი არის, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურა სრულად უნდა გამოვრიცხოთ და სააგენტოს ხელმძღვანელი რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი და ზოგადად, პოლიტიკასთან ასოცირებული ადამიანი არ უნდა იყოს! მეტიც, არ შეიძლება, ამ სააგენტოს ხელმძღვანელი ბიზნესის წარმომადგენელი იყოს.

— 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს გამოჩნდა, რომ კომერციული ბანკები სხვა ტიპის ბიზნეს-აქტივებს არ უნდა ფლობდნენ — როცა კრიზისმა საბანკო სისტემა ჩამოშალა, ეს პროცესი, დომინოს პრინციპით, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიებსაც გადაედო. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ამ ტიპის შემთხვევებსაც გამორიცხავს?

— ზუსტად ესაა პრობლემა — ბანკები საინვესტიციო ფონდებად და სამშენებლო კომპანიებად გადაიქცნენ, რაც პრაქტიკულად, ეროვნული ბანკის რეგულირების პრობლემის ბრალი იყო. ბანკებმა იმაზე მეტი საინვესტიციო ვალდებულება აიღეს, რაც მათი საქმე არ იყო, სამშენებლო ბიზნესში ჩაერთნენ და, შესაბამისად, ყველაზე დიდი კაპიტალის მფლობელები გახდნენ. ის იპოთეკური კრედიტები, რომლებსაც ბანკები გასცემდნენ, მაცდუნებელი იყო, მაგრამ ხალხს არ უმარტავდნენ, ამას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. შედეგად, 300 000 ოჯახი ბინის დაკარგვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მოკლედ, ყველაფერი ეს ეროვნული ბანკის რეგულირების პრობლემა იყო — ქვეყნის მთავარ ბანკს ფუნქციები იმიტომ ჩამოართვეს, რომ ხელისუფლებაში არსებული გარკვეული ჯგუფი ეროვნული ბანკის მაშინდელ პრეზიდენტ რომან გოცირიძეს ებრძოდა. შედეგად, ეროვნულ ბანკს მარეგულირებელი ფუნქციები ჩამოაცილეს, ბანკები კი თავის ნებაზე მიუშვეს. მეტსაც გეტყვით, იმ პერიოდში გაუქმდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ვაჭრობის ბირჟა და ბლუმბერგს მივუერთდით. დღეს ისიც კი არ ვიცით, როგორ დგინდება ვალუტის კურსი, რადგან ეს პროცესი სადღაც წყდება და ესეც ვიღაცის ინტერესში შედიოდა...

— პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს კახა ბენდუქიძის რეფორმის შედეგი იყო!

— შეიძლება, ასეცაა. მეტსაც გეტყვით, ყველაფერი ეს აზარტში გადაიზარდა და უარესი გადაწყვეტილება მივიღეთ — თურქეთთან საბაჟო ტარიფები გავანულეთ. შესაბამისად, თურქეთიდან კიტრი და პომიდორი ნულოვანი ტარიფით შემოდიოდა, მაგრამ თურქეთს ჩვენთვის ანალოგიური არ გაუკეთებია. ამან ქაოსი მოგვიტანა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი უნდა გამოსწორდეს და ამის წინაპირობა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნაა.

რატომ არ ათავისუფლებს სამსახურიდან თეა წულუკიანი ადამიანის წამებაში ეჭვმიტანილ პროკურორებს

ადვოკატი მამუკა ნოზაძე იუსტიციის მინისტრს დანაპირების შესრულებისკენ მოუწოდებს

მერაბ ბერიძე

ადვოკატი მამუკა ნოზაძე, ევროპულ სასამართლოში განხილვადამთავრებულ საქმეებთან მიმართებაში, საქართველოს მთავრობის პოზიციას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ არჩადენილი დანაშაულისთვის ადამიანები სასჯელს ისევ იხდიან და ეს საქმეები მხარეთა მეგობრული მორიგებით ვერ სრულდება. ადვოკატის თქმითვე, პრაქტიკულად, იგივე პოლიტიკა გრძელდება, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო.

— ის საქმეები, რომელთა განხილვაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დასრულდა, თავის დროზე, თეა წულუკიანის მიერაა მომზადებული და შესანიშნავად იცის, რომ ლაპარაკი მხოლოდ არაადამიანურ და ღირსებისშემლახავ მოპყრობაზე კი არაა, არამედ, სახეზეა სამართლიანი სასამართლოს პრობლემაც — საქმეში ერთი მტკიცებულებაც არ არსებობს და ადამიანს თავისუფლება ხანგრძლივი ვადით აქვს აღკვეთილი.

— იქნებ, კონკრეტული მაგალითი მოიყვანოთ...

— შემიძლია, დავასახელო მალხაზ ბადუაშვილის საქმე, რომელსაც არჩადენილი დანაშაულისთვის — მკვლელობისთვის 17 წელი აქვს მისჯილი. პაატა როსტომაშვილისაც მკვლელობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მტკიცებულებები არაა, თავისუფლება 16 წლით აქვს აღკვეთილი. სხვათა შორის, სტრასბურგიდან დაბრუნებულმა თეა წულუკიანმა განაცხადა, საქართველოდან ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური საქმეები შეირჩაო და სწორედ ბადუაშვილისა და როსტომაშვილის საქმეები დაასახელა... ახალი ხელისუფლება სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის ლოზუნგით მოდიოდა და ადამიანებმა „ოცნებას“ ხმა იმიტომ მისცეს, რომ პროკურორები თუ მოსამართლეები დაისჯებოდნენ.

პირადად, თეა წულუკიანი ამომრჩეველს დაპირდა, რომ საქართველოშივე იქნებოდა ქართული სტრასბურგი ანუ სამართლიანობა და კანონიერება აქვე აღდგებოდა, საქმეები ევროსასამართლოში აღარ გაიგზავნებოდა და პერსპექტიული საქმეები მორიგებით დასრულდებოდა. ამ განცხადების შემდეგ, წულუკიანს რამდენჯერმე მივმართე. ოცამდე საქმე მაქვს, რომელზეც განხილვა და კომუნიკაცია დასრულდა და შევთავაზე, ეს საქმეები მეგობრული მორიგებით დაგვესრულებინა ანუ ისეთ პოზიტიურ გარემოებებზე შევთანხმებულიყავით, რომელიც დაზარალებულისთვისაც მისაღები იქნებოდა და სახელმწიფოსთვისაც. სამინისტროდან მიპასუხეს, ამ საკითხებს განვიხილავთო, მაგრამ მას მერე სამ თვეზე მეტი გავიდა და დღემდე ძვრა არაა.

— ასეთ საკითხებზე უშუალო პასუხისმგებლობა ვის აკისრია?

— ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობას ლევან მესხორაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ზურაბ ადეიშვილისა და თინა ბურჯალიანის ხელის ბიჭი იყო. სხვათა შორის, გირგვლიანის საქმეზეც ეს პიროვნება გამოდიოდა.

გიორგი მაზანაშვილის საქმეზე, სადაც მტკიცებულებები ასევე არ არსებობს, მორიგება ევროპული სასამართლოს მეშვეობით შემოგვთავაზეს. რვა წელია, ეს ადამიანი სასჯელს იხდის და რამდენიმე წელი კიდევ აქვს დარჩენილი. ხელისუფლება აღიარებს, რომ მის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. ასევე, დარღვეულია მეექვსე — სამართლიანი სასამართლოს უფლება, ყველაფერ ამაში კომპენსაციად, ციინიკურად, 5 500 ევროს გვთავაზობს და გათავისუფლებაზე არაფერს ამბობს, ანუ ლევან მესხორაძის ასეთი მოქმედება მინისტრის იმ მოადგილესთანაა შეთანხმებული, რომელიც საერთაშორისო სასამართლოებს კურირებს. ეს არაადეკვატურია და იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რაც სააკაშვილის დროს ტარდებოდა.

— ადეკვატური რეაგირება, თქვენი აზრით, რატომ არ ხდება?

— ექვსი თვე არც ძალიან ბევრია და არც — ცოტა. ხელისუფლების ნება და მზაობა რომ ყოფილიყო, ეს უმნიშვნელოვანესი საქმეები გადაწყდებოდა. ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა ყველაზე კარგად იცის, ქვეყანაში წლების განმავლობაში რა ხდებოდა, რა უსამართლობა და უკანონობა იყო და იმის გამო, რომ კანონები არ მოქმედებდა და მოსამართლეს გადაწყვეტილება მტკიცებულების გარეშე გამოჰქონდა, ადამიანები როგორ იჩაგრებოდნენ, წულუკიანმა ყველა საქმე ზეპირად იცის და შეეძლო, მათთვის სათანადოდ მიეხედა.

იუსტიციის მინისტრი პირველი ვიზიტით, სპეციალურად, სტრასბურგში ჩავიდა, სადაც ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს შეხვდა და იმაზე ესაუბრა, როგორ უნდა განიტვირთოს ევროსასამართლო საქართველოდან შესული საქმეებით, მაგრამ ეს ხმაურიან განცხადებად დარჩა. საერთოდ, ვფიქრობ, ამ საქმეების მიფუჩეჩებით გარკვეული ძალები არიან დაინტერესებულნი.

ასევე, საუბარი იყო, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების აღმოფხვრის კომისია შეიქმნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ პარლამენტში კანონპროექტიც კი არაა ინიცირებული. ასე რომ, ამ კუთხით სიახლე, ალბათ, შემოდგომამდე არ იქნება. დროში გაწელილი პროცესი კი არაგონივრულია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უამრავი ცვლილებაა შესატანი თუნდაც იმ კუთხით, რომ გამოძიებასთან დაკავშირებით საპროცესო ვადები არ არის დაწესებული — შეიძლება, გამოძიება წლების განმავლობაში მიმდინარეობდეს. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ექვსი თვე გავიდა და პოლიტიკური ნება რომ ყოფილიყო, კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდებოდა.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— კადრებთან დაკავშირებით, არაერთხელ მისაუბრია და იუსტიციის მინისტრსაც მივმართე, რომელმაც წერილობით მიპასუხა, რომ ჩემს განცხადებას შეისწავლიან. ვფიქრობ, ეს ლიტონი სიტყვები არ იქნება და შედეგი მოჰყვება — დამნაშავე პროკურორი ვალერი იოსავა და ათეულობით მისი კოლეგა, რომლის მიმართაც დასაბუთებული პრეტენზიები არსებობს, დაისჯება!

გორში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე თეა წულუკიანმა განაცხადა, პროკურორების მიმართ დაუსაბუთებელი საჩივრები შედის და ამიტომ ვერ მოვხსნიო. ეს არასწორი და უსამართლო განცხადებაა, რადგან ეს პროკურორები ციხეში შუაღამისას შედიოდნენ და ადამიანებს სახელმწიფოსადმი ქონების „ჩუქებაზე“ ხელს აწერინებდნენ.

მოკლედ, ახალმა ხელისუფლებამ ის, რაც საზოგადოებას დაპირდა, უნდა აასრულოს. როგორც აღვნიშნე, ევროპის სასამართლოში მნიშვნელოვან საქმეებზე განხილვები დასრულებულია, შესაბამისად, ამ ადამიანების მიმართ შეღავათი უნდა განხორციელდეს, ყველაფერი მეგობრული მორიგებით დასრულდეს და უკანონო პატიმრები გათავისუფლდნენ.

მერაბ ბერიძე

27 აპრილს, პარლამენტის შუალედურ არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობას მობილური ჯგუფები უზრუნველყოფს, მხედველობაშეზღუდული ამომრჩევლები კი, ბიულეტენის ადაპტირებული ჩარჩოთი ისარგებლებენ. აღნიშნულ, ასე ვთქვათ, მომსახურებას ცესკო და კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ახორციელებენ. პროექტი — „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მობილური ჯგუფებით საარჩევნო უბნამდე გადაადგილება“ — პირველად 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს განხორციელდა. პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში კი, მობილური ჯგუფების დახმარებით, მონაწილეობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 98-მა ამომრჩეველმა მიიღო. ცნობისთვის: საქართველოში, ინვალიდობის სტატუსის მიხედვით, პენსიას 140 ათასი ადამიანი იღებს.

არჩევნებში ინვალიდების მონაწილეობას მობილური ჯგუფები უზრუნველყოფს

რატი იონათამიშვილი, კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის სათანადო საარჩევნო გარემო არაა შექმნილი. არადა, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს. მართალია, კანონმდებლობით, შეუძლოდმყოფ ადამიანთან საარჩევნო ყუთის შინ მიტანა გათვალისწინებულია, მაგრამ ე.წ. მობილური ჯგუფის სერვისი აუცილებელია, რათა ამ ტიპის ამომრჩეველმა საარჩევნო უბანზე მისვლა მოახერხოს.

— ამ ადამიანების საარჩევნო უფლებების სრულად უზრუნველყოფა, თქვენი შეფასებით, რატომ არ ხდებოდა?

— ეს გლობალური საკითხია, რომელიც ბევრ სხვა პრობლემასთანაა დაკავშირებული. საერთოდ, შეზღუდული შესაძლებლობა დიაგნოზი კი არა, მხოლოდ გარემოებაა, როცა ადამიანს განვითარებისთვის თანაბარი პირობები არ აქვს შექმნილი ანუ პრობლემა ადამიანის ფიზიკურ ნაკლოვანებაში კი არა, იმ გარემოში უნდა ვეძებოთ, რომელიც მისთვის თანაბარ პირობებს ვერ უზრუნველყოფს. ჩვენთვის არჩევნები პრიორიტეტული იმიტომაა, რომ ამომრჩეველი მას, ვისაც ირჩევს, პასუხისმგებლობას აკისრებს, რომ პრობლემები მოუგვაროს, ამიტომ თანაბარი პირობების დამკვიდრება, უპირველესად, თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნით უნდა დაიწყოს.

— ამ საკითხის მიმართ საარჩევნო ადმინისტრაციისა და მთავრობის დამოკიდებულება როგორია?

— კეთილგანწყობილი — ვთანამშრომლობთ და გადაწყვეტილებების მიღებისას ერთმანეთს ვუსმენთ. იმედია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ღირსეული ცხოვრებისთვის ქვეყანაში ყველა აუცილებელი პირობა შეიქმნება.

რობერტ პეტრიაშვილი ივანიშვილს აფრთხილებს



ნინო კომახიძე
599-95-33-16

9 აპრილს ახალი და ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ძველ პარლამენტში, 1990 წლის უზენაესი საბჭოს წევრებთან ერთად, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე საზეიმო ვითარებაში, ხმაშეწყობილად აღნიშნეს. ამ პომპეზურმა მიღებამ 9 აპრილის ტრაგედიის გარშემო არსებული პასუხგაუცემელი კითხვები უფრო გაამძაფრა, რომლებზეც, „ვერსიასთან“ ერთად, პასუხების პოვნას უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი რობერტ პეტრიაშვილი ცდილობს და ამასთან, ახალ ხელისუფლებას რამდენიმე საინტერესო იდეასაც სთავაზობს.

რა ბრალდებას უყენებს რობერტ პეტრიაშვილი უზენაესი საბჭოს ზოგიერთ წევრს და სად გაქრა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის დედანი

— ბოლო დროს ხშირად ისმის კითხვა, ვისთვის რასთან ასოცირდება 9 აპრილი: 1989 წლის მოვლენებთან თუ 1991-ის. აქცენტი არასწორადაა დასმული, რადგან ეს სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთი მთლიანი აქტია. დღეს ყველა იქ დგომასა და სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლას იჩემებს, მე კი ამ თემაზე საუბრის მორალური უფლება მართლა მაქვს: 9 აპრილის ღამეს, დაახლოებით 3 საათზე, პარლამენტის წინ ვმღეროდით, მერე, ტელევიზიის წინ შეკრებილი ხალხის გასამხნევებლად წავედით. უკან რომ ვბრუნდებოდით, კაცი შეგვხვდა, რომელმაც გვითხრა, რუსთაველზე დარბევა იწყება და ტანკებს ამზადებენო. ჩვენ გზა მაინც განვაგრძეთ. ბევრი ცნობილი სახე კი მიტინგიდან, ალბათ, სახლში უკან-მომავალი შემოგვხვდა.

— ვინ იყვნენ ეს ადამიანები?

— რამდენიმე მათგანი მომავალში დიდ პოლიტიკოსად იქცა! 1991 წლის 9 აპრილს 31 მარტის რეფერენდუმი უსწრებდა. ეს ორი თარიღი, თავისი არსით, ერთი დიდი აქტია. ამ დღეს მოხდა სრულიად საქართველოს ნების გაერთიანება და რეფერენდუმის შედეგებით ქვეყნის დამოუკიდებლობას მხარი 98,8%-მა დაუჭირა. ჩვენ შევქმენით ორგანიზაცია „31 მარტი“ და ერთ-ერთ მთავარ მიზნად ის გვაქვს, რომ ხალხს ეს დღესასწაული დავუბრუნოთ! არავინ იფიქროს, ერი ადგა და უცებ ერთმუშტად შეიკრა — ყველაფერი ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა! ირაკლი წერეთელს ეგონა, ერის გაერთიანებას თავადაც შეძლებდა, თუმცა ახლა აზრი შეიცვალა და სულ ზვიადის სახელს გაიძახის!

— ისე, ირაკლი წერეთელმა წელს, 9 აპრილს, პარლამენტის ყოფილ შენობასთან დამოუკიდებელი მიტინგი გამართა. რატომ არ იყო თქვენთან ერთად მიღებაზე, სადაც ასევე ვერ ვნახე ირაკლი ბათიაშვილი. საერთოდ, რა პრინციპით შეირჩა სტუმრები?

— იქ 1989 წლის 9 აპრილის კი არა, 1991 წლის 9 აპრილის მონაწილეები შეკრიბეს. ისედაც ბევრი ხალხი იყო მიწვეული და სხვებისთვისაც რომ დაეძახათ, წარმომიდგენია, რა ამბავი იქნებოდა. საერთოდ, ვფიქრობ, სერიოზული წიგნი უნდა დაიწეროს უზენაესი საბჭოს შესახებ. მას ხანდახან კბილს გაჰკრავენ ხოლმე, მანდ ერთი ზვიადი იყო, თორემ სხვა ვინ რას წარმოადგენდა, რისი გამკეთებლები იყვნენო... ამიტომ კარგი იქნება, თუ დაიწერება, ვინ რა გააკეთა და ვინ შეძლო დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზის ბოლომდე გავლა! ამ მანიპულაციებს წერტილს ასე იოლად ვერ დავუსვამთ, 9 აპრილის მოვლენებს უფრო ფუნდამენტური გამოკვლევა უნდა, რისი გაკეთების დრო და ფუფუნება არ არის!

— სამწუხაროდ, ბოლო 25 წლის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარი არც ერთი მოვლენის კვალიფიციური შეფასება არ მომხდარა და შედეგიც სახეზეა!

— თავისუფლებაც არ არსებობს თვითშეფასების გარეშე, თვითშეფასება კი — აღიარებისა. ჩვენი ერი ვერ ახდენს თვითშეფასებას.

> **არ მინდოდა, ამ თემას შევხებოდი, მაგრამ უზენაესი საბჭოს უამრავი წევრი, ვინც 9 აპრილს მიღებაზე იყო, თავადაა დამნაშავე მოვლენების ასეთ განვითარებაში. პირველად, სწორედ უზენაესი საბჭოდან დაიწყო გამსახურდიასთვის ქვის სროლა!**

საერთოდ, დაწყებული დისკუსიის გასარკვევად, 9 აპრილი გლოვაა თუ ზეიმი, ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო: თითქმის ერთი წელი გროზნოში გავატარე. მაშინ ჩეჩნეთის პრეზიდენტად ჯოხარ დუდაევი აირჩიეს, რომელმაც 1992 წლის 23 თებერვალს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს, 23 თებერვალი ჩეჩენ ინგუშთა გასახლების დღეა: ზოგი მოკლეს, ზოგი აჩეხეს, დანარჩენი ყაზახეთის ტრამალებში ჩამოყარეს. ჯოხარმა თქვა, კმარა გლოვა, ახლა მტერმა იგლოვოს, ჩვენ დამოუკიდებლობას მივაღწიეთო და სწორედ ეს მძიმე დღე აქცია დღესასწაულად. ჩვენ კი შევარდნაძემ „შემოგვიგდო“, 9 აპრილს გლოვაააო. პირიქით, დამოუკიდებლობა მსხვერპლად შეწირული ხალხის მონაპოვარია და მათ ამ დღეს ვართმევთ?! იმაზე დიდი ძეგლი, 1989 წელს დაღუპულებს ზვიად გამსახურდიამ და უზენაესმა საბჭომ, დამოუკიდებლობის გამოცხადებით რომ დაუდგა, არ არსებობს!

— რაკი ეს მაგალითი მოიყვანეთ, ე.ი. რაღაც ლოგიკური ციკლი დასრულდა, ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, ყველა კითხვის ნიშანი მოვხსენით და ახლა უნდა ვიზეიმოთ?

— ამის კარგი შესაძლებლობა მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა, რომელიც სათავეში დიდი მხარდაჭერით მოვიდა, მაგრამ შანსი არ გამოიყენა. 2004 წლის იანვარში, მისი ინაუგურაციიდან 2-3 დღეში, პატრიარქის ხელდასხმით, ყველანი ქაშუეთში შევიკრიბეთ. მიშა შედგა ამბიონზე, ზურაბ ჟვანიასა და ელდარ შენგელაიასთან ერთად. ჩვენ კი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები — მე, ნემო ბურჭულაძე და სხვები — მეორე მხარეს. მიშამ, ფაქტობრივად, ფიცი დადო, მთავრობათა შორის ეს დაპირისპირება უნდა დასრულდეს და ქვეყანაში ეროვნული თანხმობა ჩამოვარდესო. ჩვენსა და სააკაშვილს შორის დეკლარაცია გაფორმდა. სააკაშვილმა ეროვნული თანხმობის დეკლარაციას კი მოაწერა ხელი, მაგრამ არ მოაწერა მემორანდუმს, მერე, გიჟივით ჩამოვარდა ამბიონიდან და გავარდა.

— დაავიწყდა თუ ეს შეგნებულად არ გააკეთა. რა ეწერა იმ დოკუმენტში?

— ვფიქრობ, ეს შეგნებულად გააკეთა. მერე შეიქმნა რაღაც კომისია: მოდიოდნენ მინისტრები, მათი მოადგილეები, ამბობდნენ, ვითომ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დასაქმება უნდა დაეწყოთ, ზვიად გამსახურდიას ღვაწლი სათანადოდ დაეფასებინათ, პოლიტდევნილები ეღიარებინათ და შესაბამისი კომპენსაციებიც დაერიგებინათ... მოკლედ, იმ მემორანდუმში სულ 7-8 პუნქტი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი ფასადური აღმოჩნდა, რადგან ერთ დღეს, აღარც მინისტრები მოვიდნენ, აღარც — მათი მოადგილეები.

> **მიშას მართლა ჰქონდა შანსი, ამ დაპირისპირებისთვის წერტილი დაესვა და 1991-92 წლების მიჯნაზე დაწყებული სახელმწიფო გადატრიალებისთვის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მიეცა, მაგრამ ეს არ გააკეთა!**

— „ქარტია 91“-ის წევრმა გელა ჩორგოლაშვილმა კითხვა დასვა, რატომ წამოიწია 9 აპრილის ზეიმად გამოცხადების იდეამ ახლა და ვინ ატეხა ხალხში მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ დამოუკიდებლობის აქტი დაკარგულიაო?

— ჰამლეტ ჭიპაშვილს უნდა ვკითხოთ, სადაა დამოუკიდებლობის აქტი. რამდენჯერაც გამახსენდება, იმდენჯერ მინდა დავურეკო. არც იმის თქმის მომერიდება, რომ შესაძლოა, რომელიმე თავგზააბნეულმა ნაძირალამ, როცა ჩვენ დაგვამხეს, თავი კაცად წარმოიდგინა და ეს აქტი დახია! ისიც შეიძლება, რომელიმე არაკეთილმოსურნეს სურს, ამ აქტს მნიშვნელობა დაუკარგოს და იმიტომ გახსნა მისი დაკარგვის თემა! ყველაზე დიდი საშინელებები ჩვენთან ყოველთვის დემოკრატიის სახელით ხდებოდა. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ჩვენთან იმიტაციური დემოკრატია დამყარდა და ყველაფერი, რაც ხდება, შოუს სახეს იღებს.

— კოჰაბიტაციაც შოუა?

— რა თქმა უნდა, ესეც ერთგვარი შოუა, რომელში მონაწილეობას გვაიძულებენ! ახლაც, ამ შოუშიც, უცხოეთის ძალებია ჩართული. გარე ძალები რომ არა, სიგუა და კიტოვანი ვერაფერს იზამდნენ! სხვათა შორის, როცა პარლამენტმა ამნისტია გამოაცხადა, ბიძინა ივანიშვილმა სწორად შენიშნა, თუ კრიმინოგენური ვითარება გაუარესდება, გაგებით უნდა მოვეკიდოთო. საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეებს შორის დანაშაული არ ხდებოდა, დამნაშავეები კი თავისუფლებას იყენებენ!

— ივანიშვილმა კიდევ ერთი, საინტერესო ფრაზა სწორედ 9 აპრილის მიღებაზე თქვა, პირველი პრეზიდენტი მოვკალით, მეორე რევოლუციით გავუშვით, ახლა, მესამეს მაინც მოვექცეთ კულტურულადო...

— ჰო, ეს არ არის ცუდი ფრაზა. ხელისუფალი ყოველთვის უნდა შეეცადოს, სიტუაცია სტაბილურობისკენ წაიყვანოს.

> **ფრთხილად უნდა იყოს ივანიშვილი: იგი პასუხისმგებელია არა მარტო საკუთარი თავისა და მოქალაქეების, არამედ მთელი მსოფლიოს, ისტორიისა და მომავლის წინაშე! მართალია, ნაციონალები ამას არ იმსახურებენ, მაგრამ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ჩვენს ერსა და ხალხს შეეფერება!**

— „ოცნების“, ნაციონალებისა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების 9 აპრილს ერთად შეკრების მიზანი რა იყო?

— რამდენი მხარეცაა, შეიძლება, იმდენი ინტერესი იყოს. ხელისუფლების მიზანი, შესაძლოა, ქვეყანაში მართლა თანხმობის ჩამოგდება იყოს, თუმცა ერთი შეხვედრა, რა თქმა უნდა, არაფერს ნიშნავს და რეალური დამოკიდებულება მომავალში გამოჩნდება. უზენაესი საბჭოს მიმართ ხალხის ნაწილს ნოსტალგია აქვს და, შესაძლოა, ხელისუფლებამ ჩვენს გვერდით დადგომაში პრაგმატული ინტერესი ჩადო. ამ შეხვედრას შემდგომი ნაბიჯები სჭირდება, რათა დავიჯეროთ, რომ ახალი მთავრობის სურვილი მართლა ეროვნული თანხმობის მიღწევაა! დღევანდელი ხელისუფლების არაერთ დეპუტატთან მქონდა ამ თემაზე საუბარი და მათ რამდენიმე რამ შევთავაზე კიდეც: უნდა ავიღოთ და, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი საზეიმო ვითარებაში ჩამოვკიდოთ პარლამენტის შენობაში! ზვიად გამსახურდიას, როგორც პირველი პრეზიდენტის პორტრეტსაც, სათანადო ადგილი უნდა მივუჩინოთ და პარლამენტში, რომელიმე დიდ დარბაზს გამსახურდიას სახელი მივანიჭოთ! ხალხი, როცა არჩევანი ჰქონდა, არასოდეს შემცდარა — არც მაშინ, როცა 1990 წლის 28 ოქტომბერს უზენაესი საბჭო აირჩია... ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი სააკაშვილის რეჟიმის მიერ შექმნილი იმიტირებული დემოკრატიისგან თავის დაღწევაა, რაც აუცილებლად გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და მისი ინიციატივების მხარდაჭერა-წახალისებას. აშკარაა, წლების განმავლობაში დათრგუნული საზოგადოებრივი სხეული ამოძრავდა. ხალხმა დაიჯერა, რომ საკუთარი აქტიურობით რაღაცის შეცვლა შეიძლება. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების ამ მიმართულებით სვლას ვეღარაფერი შეაჩერებს, თუნდაც ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილს დაგეგმილი პროვოკაციული მიტინგი!

ვერსიანიუსი

რუმინეთის პრეზიდენტი ავარიაში მოყვა

რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ ავარიაში მოყვა. „იტარტასის“ ცნობით, იგი ავტომანქანას თავად მართავდა.

„წინ მიმავალმა მანქანამ, რომელიც ოტოპენის ხიდს უახლოვდებოდა, მკვეთრად დაამუხრუჭა და მოხდა შეჯახება. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. მანქანებმა მსუბუქი დაზიანება მიიღეს“, — ნათქვამია პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში.

შემთხვევის შესახებ ოფიციალური ოქმი არ შემდგარა, თუმცა ტრაიან ბასესკუ ალბათ, ჯარიმას გადაიხდის.

„ნიუპოსტი“

არისტოტელე ონასისის კუნძული რუსმა მილიარდერმა იყიდა

ბერძენი მილიარდერის, არისტოტელე ონასისის საკუთრებაში არსებული ცნობილი კუნძული სკორპიოსი, რომელზეც შედგა ონასისისა და აშშ-ს პრეზიდენტის ქვრივის, ჟაკლინ კენედის ქორწილი, რუსმა მილიარდერმა იყიდა.

საბერძნეთის მარცხენა სანაპიროზე, იონიის ზღვაში მდებარე კუნძული ონასისის შვილიშვილს ეკუთვნოდა და იგი 100 000 000 ევროდ გაიყიდა. კუნძულის მფლობელი რუსი მილიარდერი დიმიტრი რიბოლოვლიოვი გახდა, რომელიც ფრანგულ საფეხბურთო კლუბ „მონაკოს“ მფლობელია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამავე პიროვნებამ იქვე მდებარე სხვა კუნძულიც შეიძინა.

„ნიუპოსტი“

ფონიჭალის აზერბაიჯანული სკოლის აზერბაიჯანელი დირექტორი განათლების სამინისტრომ ქართული ენის ლობირებისთვის გაათავისუფლა?!

დავით დევიძე

რასაც ახლა წაიკითხავთ, შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია: მაშინ, როცა საქართველოში სომხური და აზერბაიჯანული ენებისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების საკითხს დიდი ამბები მოჰყვა, თბილისში, ქვემო ფონიჭალაში 218-ე აზერბაიჯანული სკოლის დირექტორი, ჯამილა ქერიმოვი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ სკოლაში ქართული ენის დანერგვას ცდილობდა?!

„იმედია, ამ წერილს გიორგი მარგველაშვილი წაიკითხავს და სასწრაფო ზომებს მიიღებს“

— ეს სკოლა, სადაც 1984 წლიდან ვმუშაობ, ადრე გარდაბანს ეკუთვნოდა. 2011 წლიდან კი თბილისს ეკუთვნის. დაწყებითი კლასის მასწავლებელი ვიყავი, შემდეგ — სასწავლო ნაწილის გამგე, 2012 წლის 5 იანვრიდან კი დირექტორად ვმუშაობდი, თუმცა 2013 წლის 28 თებერვალს, განათლების სამინისტრომ თანამდებობიდან დამითხოვა.

— რა მიზეზით?

— ჩემამდე სკოლის დირექტორი ჰაჯივალ ისაევი იყო, რომელსაც გენინსპექციამ მთელი რიგი დარღვევები აღმოუჩინა და თანამდებობიდან მოხსნეს. ისაევმა სკოლა ნათესავებით გაავსო — ორი ქალიშვილი, ძმა, ორი ბიძაშვილი და ორი რძალი მოიყვანა. ცხადია, ეს კანონით არ იკრძალება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოფილი დირექტორის ნათესავები თავიდანვე მავიწროებდნენ და მეუბნებოდნენ, ამ სავარძელში შენ არ უნდა იჯდეო. პარალელურად, განათლების სამინისტროში ცილისმწამებლურ წერილებს გზავნიდნენ, თითქოს მას შემდეგ, რაც დირექტორად დავინიშნე, მთელი სკოლა ანარქიამ, ქაოსმა მოიცვა და საეჭვო პირებთან კორუფციული გარიგებები მქონდა. მერე ასეთი ბრალდებაც წამიყენეს — ქართულ სახელმძღვანელოებს ბეჭდავს და მოსწავლეებს მათ შეძენას აიძულებსო.

— რა სახელმძღვანელოებზეა საუბარი?

— მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა აზერბაიჯანულია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 3 იანვრის ბრძანებით, ქართული ენის სახელმძღვანელოები ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასოდ უნდა დარიგებულიყო. ამ ბრძანების საფუძველზე, ჩვენმა სკოლამ მხოლოდ პირველი, მესამე და მეოთხე დონის სახელმძღვანელოები მიიღო. მეორე, მეხუთე და უფრო ზემოთა დონე კი რატომღაც არ გადმოგვცეს. შეიქმნა საშიშროება, რომ ამის გამო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ჩაიშლებოდა და ამიტომ სკოლის სამეურვეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, „სიტუაციიდან გამომდინარე, ნება დაერთოს ნებისმიერ პირს, კანონის ფარგლებში, შემოიტანოს სკოლაში სახელმძღვანელოები და გაყიდოს შესაბამის ფასებში“. აი, სწორედ ეს გადაწყვეტილება წამიყენეს ბრალად, ვითომ ყველაფერი პირადი სარგებლის გამო გავაკეთე. განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა შორიდან ფურცელი დამანახა, ეს სახელმძღვანელოები ამ დოკუმენტის მიხედვით გაქვთ მიღებული და ახლის დაბეჭდვა რაღაში გჭირდებოდათო. მოვთხოვე, ეგ საბუთი მაჩვენე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ერთი სიტყვით, განათლების სამინისტრო ასეთ ცილისმწამებლურ ბრალდებებს დაეყრდნო და თანამდებობიდან ისე გამათავისუფლა, თავის მართლების საშუალებაც კი არ მომცა.

— კიდევ რას გაბრალებდნენ?

— ისაევების ჯგუფი ათასგვარ სიბინძურეს მაბრალებდა: ფოტოგრაფი მოიყვანა და ბავშვებს სურათების გადაღება აიძულა, ცირკი ჩამოიყვანაო... სკოლაში ცირკი მართლაც იყო მოსული, მაგრამ ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდა, ამიტომ დღემდე ვერ გამიგია, განათლების სამინისტრომ ზედაპირული გადაწყვეტილება რატომ მიიღო და საქმის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე გამათავისუფლა. ადვოკატი ავიყვანე, თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შევიტანე და უმიზეზოდ შელახული რეპუტაციის აღდგენასა და თანამდებობაზე დაბრუნებას ვითხოვ.

ერთი სიტყვით, საქმე საინტერესო ვითარებასთან გვაქვს: სკოლის ყოფილი დირექტორი აცხადებს, რომ მის სკოლას ქართული ენის გარკვეული სახელმძღვანელოები არ მიუღია. განათლების სამინისტროში კი აცხადებენ, რომ 218-ე სკოლის დირექტორი სწორედ ქართულის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გაათავისუფლეს. მარგველაშვილის უწყებაში დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ განათლების სამინისტროს კანონი არ დაურღვევია.

მოკლედ, მტყუან-მართალს ალბათ სასამართლო გაარკვევს, მაგრამ საინტერესოა, რომ სახელმძღვანელოების გადაცემას მიღება-ჩაბარების აქტი უნდა ახლდეს, რომელიც სკოლაში არ არსებობს. შესაბამისად, საკითხავია, რამდენად კანონიერია განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება? — „ვერსიასთან“ საუბრისას, ჯამილა ქერიმოვის ადვოკატი ლალი მურვანიძე სწორედ ამ კითხვას სვამს:

„ქერიმოვის გათავისუფლების თაობაზე განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას უკანონოდ იმიტომ მივიჩნევ, რომ სკოლას კუთვნილი წიგნები არ მისცა და მშობლები იძულებულნი გახდნენ, სახელმძღვანელოები დაექსეროქსებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწავლო პროცესი იშლებოდა, შესაბამისად, იმის ნაცვლად, რომ ქერიმოვისთვის მადლობა ეთქვათ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გარდა ამისა, იმის გამოც ედავებიან, რომ სკოლაში ცირკი მივიდა. ფონიჭალა სოფელია და იქიდან ბავშვი ცირკის სანახავად თბილისში რომ ჩამოვიდეს, მინიმუმ, 10 ლარი მაინც უნდა გადაიხადოს. ბავშვებმა სკოლაში წარმოდგენა 2 ლარად ნახეს და ეს პრეტენზიის საბაბი უნდა გამხდარიყო? სხვათა შორის, სხვა აბსურდული ბრალდებებიც არსებობს. სკოლის დირექტორი უარყოფითადაა მოხსენიებული სკოლაში ფოტოგრაფის მიწვევის გამოც. სკოლაში სამახსოვრო სურათების გადაღება კანონდარღვევაა? ერთი სიტყვით, სამინისტრო პროვოკაციულ და ცილისმწამებლურ განცხადებებს დაეყრდნო, ამიტომ სასამართლოში შეტანილი სარჩელით, ქერიმოვის სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას მოვითხოვთ“.

„ვერსია“, ჯამილა ქერიმოვის ადვოკატთან საუბრის შემდეგ, იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც გაესაუბრა, რომელმაც 218-ე საჯარო სკოლაში საცირკო წარმოდგენას გაუკეთა ორგანიზება.

გელა ქიშოშვილი, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვისა და ჟურნალისტური გამოძიების ლიგის წარმომადგენელი:

— ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ქართული საცირკო დასის მსახიობებს პიარს უწევს. მოგეხსენებათ, გარკვეული პრობლემების გამო, ეს დასი პატარ-პატარა ჯგუფებადაა დაქსაქსული, ამიტომ ჩვენმა არასამთავრობომ ითავა და განათლების სამინისტროს წერილობით სთხოვა ნებართვა, რომ ქართული საცირკო დასი შეგვეყვანა სკოლებში. სამინისტროდან მოგვწერეს, სკოლა დეცენტრალიზებულია და ჩვენ არაფერში ვერევით, სკოლებს მიმართეთ და გადაწყვეტილება თვითონ მიიღონო.

— სკოლის დირექტორს უფლება მისცეს, რომ სურვილისამებრ ემოქმედა?

— კი, მაგრამ მინისტრობის დროს დიმიტრი შაშკინი ამბობდა, სკოლაში არანაირი ღონისძიება არ დამანახოთო და ეს მაშინ, როცა ზემოხსენებული წერილი მისი მოადგილის, სეფერთელაძის მიერაა ხელმოწერილი. ეს წერილი შენახული მაქვს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს წარვუდგენ. მოკლედ, სკოლის დირექტორები მეუბნებოდნენ, გვინდა, ბავშვებს წარმოდგენა მოვუწყოთ, მაგრამ მინისტრი გვიშლისო. ისე გამოვიდა, რომ ნებართვა არსებობდა და არც არსებობდა. შაშკინის მიზანი იყო, სკოლა ციხედ ექცია და ეს შეძლო კიდეც. მიკვირს, რომ ეს ინერცია დღემდე გრძელდება — მარგველაშვილმაც იგივე წერილი მოგვწერა, რაც შაშკინმა და უფლება მისცა დირექტორებს, გადაწყვეტილება შეხედულებისამებრ მიიღონ, მაგრამ ამავე დროს, დირექტორს ამ გადაწყვეტილების მიღების გამო ათავისუფლებს?! იმედია, მარგველაშვილი ამ წერილს წაიკითხავს და სასწრაფო ზომებს მიიღებს, მით უმეტეს, საქმე ძალიან დელიკატურ თემას — ჩვენს თანამოქალაქე ეროვნულ უმცირესობებს ეხება და მსგავსი გაუგებრობა თუ ზემოდან წამოსული ხარვეზები მათ მტკივნეულ რეაქციას იწვევს. იმის ნაცვლად, კულტურულ დაახლოებაზე ვიზრუნოთ, მათ ხელოვნურად ვაღიზიანებთ! ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ჯამილა ქერიმოვის დირექტორობა სკოლაში არსებულ კლანს არ აწყობდა, მაგრამ ერთია კლანური და მეორე — სახელმწიფო ინტერესები...

საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. უფრო საინტერესო კი ისაა, სად გაქრა ქართული სახელმძღვანელოები, რომლებიც აზერბაიჯანულ სკოლას უნდა გადასცემოდა. ისე, კონფიდენციალური ინფორმაციით, ამ წიგნებმა სხვა არაქართულ სკოლამდეც ვერ მიაღწია. ქართული სახელმძღვანელოების უგზოუკვლოდ გაუჩინარებაზე „ვერსია“ მასალებს უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ...

ვერსიანიუსი

შსს-მ ავტომანქანების „ვინ კოდების“ გამყალბებელი დააკავა



ქართველმა სამართალდამცველებმა გერმანიაში 30-მდე ავტომანქანის „ვინ კოდების“ გაყალბებაში ბრალდებული დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, სამტრედიის რაიონული სამმართველოსა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობისთვის ძებნილი, 1970 წელს დაბადებული მაქსიმე ს. ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაფარცხმაში დააკავეს.

მაქსიმე ს. 2011 წლიდან სამტრედიის რაიონული პოლიციის მიერ 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ჩადენილი დანაშაულისთვის იძებნებოდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მან გერმანიაში 30-მდე ავტომანქანის „ვინ კოდი“ გააყალბა და თანამზრახველების დახმარებით, საქართველოში ჩამოიყვანა.

ქუთაისის რაიონულმა სასამართლომ მას იმავე წელს დაუსწრებლად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ დროისთვის, დაკავებული ქუთაისის მე-2 საპყრობილეშია გადაყვანილი.

„ინტერპრესნიუსი“

პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ზვიად ნ. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულის სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ტეტე-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, „პარაბელუმ“-ის ტიპის პისტოლეტი და 15 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

„ინტერპრესნიუსი“

რეპორტაჟი „ლუდისტების ბირჟიდან“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მტკვრის მარჯვენა სანაპირო, კერძოდ, ლუდის ქარხანა „ყაზბეგის“ მიმდებარე ტერიტორია „ლუდისტების“ თავშეყრის ადგილია. მართალია, „ვარდების ხელისუფლებამ“ სანაპიროზე ლუდის „ჯგუფური სმა“ აკრძალა, მაგრამ ამ აკრძალვამ დიდხანს არ გასტანა და აქაურობა ისევ 5-ლიტრიანი ბოცებითა და ბოთლებით „შეიარაღებული“ მამაკაცებითაა სავსე. ისე, „ლუდისტების ბირჟა“ „კანონგარეშედ“ შეიძლება, ახალი ხელისუფლების პირობებშიც გამოცხადდეს — როგორც პრემიერმა განაცხადა, ალკოჰოლური სასმელის გაყიდვაზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდება. მანამდე კი, სანაპიროზე სახელდახელოდ გაშლილი „სუფრები“ ლუდით, შებოლილი თევზითა და შავი პურითაა „სავსე“. „ლუდისტები“ ნასუფრალ-ნამუსვრალს პირდაპირ მტკვარში ყრიან, თან თავს იმართლებენ, მტკვარია და წაიღებს, რა?!

რა საღეგრძელო მოიგონეს პატრუდზე ღუდისმოყვარეებმა და რატომ წყევლიან შებოლილი თევზის გამყიდველები საკაშვილ-უგულავას

„ლუდისტების ბირჟაზე“ ერთი ლიტრი ლუდი 2 ლარი ღირს... გარემოვაჭრე ქალბატონები კი, შებოლილი ყველის ჩხირებს, მოხალულ მარილიან მიწისთხილს, „პივაზე“ მისაყოლებელ სხვა რამე-რუმეებს ორმაგ ფასად ყიდიან და კლიენტის ნაკლებობას არ უჩივიან — აბა, „საშარაფოდ“ მოსული კაცი 20-30 თეთრის სხვაობის გამო უკან ხომ არ გატრიალდება?! ვისაც ლუდის ჭურჭელი ან ჭიქები არ აქვს, აქვე იყიდის. ჯიხურში სხვადასხვა სახეობის შებოლილი თევზია, რომლის ფასიც 5-დან 18 ლარამდეა, შავი პური კი 2 ლარი ღირს... მოკლედ, გარემოვაჭრეები ლუდის მოყვარულებზე ზრუნავენ, „გამობრუჟულები“ მშივრები რომ არ დარჩნენ და შინ მისულებმა ცოლებს „შუხური“ არ აუტეხონ, ქალო, მშია და რამე მაჭამეო. სხვათა შორის, ამ სიტუაციაზე „ლუდისტებს“ სადღეგრძელოც „გამოუგონიათ“: „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ლუდს რომ დალევს, თევზისა და შავი პურის ფული რომ არ აქვს, გაღიპული სახლში მივა და ცოლს ეტყვის, რამე მაჭამეო“.

ისე, ნუ იტყვით და, ლუდით თურმე, პატრულსაც ლოცავენ, ოღონდ ეს გულწრფელი დალოცვაა: „იმ პატრულს გაუმარჯოს, თოფაძის ლუდის ბართან რომ ჩაივლის, იცის, „რულთან“ ნასვამი კაცი ზის, მაგრამ არ გააჩერებს და არ დააჯარიმებს“.

ლუდის ბართან რიგში 50-მდე მამრი დგას... ზოგი ლუდს „ნემეცკი ჩჩოტით“ ყიდულობს, ზოგიც „თავანსა“ თუ „მაზიანს“ აბარებს... ხუთმა მამაკაცმა, რომელმაც „სანუკვარ მიზანს“ მიაღწია — ლუდის ყიდვა მოახერხა, გზა გადაკვეთა, მტკვრის პირას ქვები მოძებნა, ზედ „ფანერა“ დადო და ლუდით სავსე 5-ლიტრიანი „ბალონები“, შავი პური, შებოლილი თევზი, ყველი დააწყო და „მეფურ სუფრას“ შემოუსხდა, თუმცა ლუდი ისე დაისხეს და დალიეს, სადღეგრძელო არ უთქვამთ.

მეორე ჯგუფმა ლუდით სავსე ბოთლები მტკვრის მოაჯირზე შემოდგა, მერე, ნახევარლიტრიანი ე.წ. პლასტმასის ჭიქები პირამდე გაავსო და, როგორც იტყვიან, ამოუსუნთქავად დალია... „ქვის სუფრასთან“ მსხდომი მამაკაცები „ელიავას“ მუშები აღმოჩნდნენ — „პატარა“ ფული „გაეკეთებინათ“ და „სალოთაოდ“ მოსულიყვნენ.

— აბა, რა ვქნათ, კაცები ვართ და ჩვენი შრომა ხომ უნდა აღვნიშნოთ?! ისე, ცოლებმა რომ გაგვიგონ, კი დაგვაყრიან ერთ ამბავს, — თავს იმართლებენ „ელიავას მუშები“.

— როგორ მეგონა, ბიჭო, ეს მთავრობა რამეს იზამდა?!

— აბა, რას ვიფიქრებდი, თუ ისევ „ელიავაზე“ მომიწევდა დგომა. უცხოეთში ჩვენისთანა ხალხი რა დაფასებაშია, იცი?!

— ოჰ, ესეც გამომივიდა ახლა დიდი ხელოსანი, რა იცი, ბიჭო, შენ? — ძალათ იბრალებ რაღაცას და ატყუებ არიფებს, — მიაძახა თანამესუფრეს მზისგან გაშავებულმა მამაკაცმა, რომელიც ლუდს უკვე ცოტა შეეზარხოშებინა.

— შენ ხომ იცი, ბიჭო, ამის აშენებული კედელი ორ დღეში გაიბზარა, შვილებს ვფიცავარ, — მზით გარუჯულს ვალში არც გამხდარი დარჩა.

— ეს რა ხდება, ამ ქვეყანაზე? — საუბრის თემა შეცვალა ჭაღარა „ლუდისტმა“, — ხალხი შიმშილით იხოცება, მთავრობა კი ხელსაც არ ანძრევს, სოფელში რომ არ მყავდეს ცოლ-შვილი, აქ შიმშილით ამომიწყდებოდა. მუშაობა არ მეზარება, მაგრამ ეს ოხერი, სამუშაოც რომ არ ჩანს, რა ვქნა?!

...გეზი თევზის ბაზრობისკენ ავიღე. თვალში ე.წ. ტრაფარეტი მომხვდა: „დასაჯდომი“, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ლუდის დალევა კომფორტულად შეიძლება — მაგიდებიცაა და სკამებიც... თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობ, რადგან სუსტი სქესის წარმომადგენელი მხოლოდ მე ვარ... ბოლოს, უხერხულობა დავძლიე და ერთ-ერთ მაგიდასთან დავჯექი. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობიაო და, ლუდს დასანახად ვერ ვიტან... ახალგაზრდები უცხოეთში წასვლა-არწასვლის პერსპექტივას განიხილავენ.

— ყველაფერი გაფუჭდა. ადრე „ფირმაში“ მაინც წახვიდოდი, ახლა რა ქნას კაცმა? — ვერსად გახვალ და თუ გახვალ, იქ რა უნდა აკეთო?! ადრე მაღაზიებს „დაბომბავდი“ და ფულს გააკეთებდი. ახლა იქაც გართულდა ყველაფერი.

— იცი, რა მიკვირს — რით ვეღარ დალაგდა ეს ქვეყანა და არ დაადგა საშველი ამ ხალხის დასაქმებას? — საუბარში ცისფერთვალა ვაჟი ერთვება, — დედაჩემს დაუჟინია, ცოლი მოიყვანეო. რომ მოვიყვანო, რა ვქნა ამ უმუშევარმა კაცმა? — ჩემი მეზობელი ნიკასავით, რესტორანში მიმტანად ხომ არ ვიმუშავებ?

— რას ამბობ, რა ცოლი, ბიჭო, რამე უნდა მოვიფიქროთ, თორემ ჩავლპით ამ თბილისში...

საუბარს თევზის გამყიდველთან ვაბამ:

— თევზი საიდან მოგაქვთ?

— თვითონ მოაქვთ და გვაბარებენ. ვაგზალზეა „ცეხები“ და იქ მზადდება.

— მერე, სანდოა?

— აბა, რა ვიცი?! — ამით მოწამლული კაცი ჯერ არ მოსულა. ამას ბავშვებსაც კი ვაჭმევ, ქალბატონო. მოისპოს უგულავა და საკაშვილი — აგვყარეს გზიდან და აქ შემოგვყარეს, გარევაჭრობა არ შეიძლებაო. გეგონება, ყველაფერი მოწესრიგებულია ამ ქვეყანაში და ჩვენ ვქმნიდით მარტო ქაოსს. ქუჩაში რომ ვისხედით, კარგი იყო — მოგება მეტი გვრჩებოდა და მეტიც გვეყიდებოდა...

სიგარეტ „პირველის“ გათამაშება ბლეფია?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მოქალაქემ 45 კოლოფი შეაგროვა, მაგრამ საჩუქარი ვერ მიიღო — როგორ იმართლებს თავს კომპანია

სააქციო საზოგადოება „თბილისის თამბაქომ“ („პირველი“), 2013 წლის 15 იანვრიდან 15 აპრილის ჩათვლით, აქცია — „შეაგროვე და მიიღე!“ — წამოიწყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ 10 კოლოფ სიგარეტს — Pirveli Nanored ან Pirveli Nanoblack-ს შეაგროვებდით, საჩუქრად საფერფლეს მიიღებდით, თუ 20 კოლოფს — სანთებელას, 40 კოლოფის შეგროვებისას 10 ლიტრ საწვავს ჩაგისხამდნენ, 60 კოლოფზე ტოსტერით დაგასაჩუქრებდნენ, 80 კოლოფის შეგროვებისას — მობილურით, 100 კოლოფზე უთოს მიიღებდით, 250 კოლოფზე — ელექტროღუმელს, 300 კოლოფზე კი — „ნეტბუკს“. ეს აქცია მანამ დაიწყო, ვიდრე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ანტინიკოტინურ და ანტიალკოჰოლურ კამპანიაზე განცხადებას გააკეთებდა. **„პირველ ეტაპზე, დავეხმარებით მწეველებს, რომ უარი თქვან მავნე ჩვევაზე და, ალბათ, კონტროლიც გამკაცრდება. კონკრეტულად, არ ვისაუბრებ, როგორია პროგრამა, ამას, ალბათ, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ. მე ორ მაგალითს დავასახელებ: ყოველ 6 წამში ადამიანი სიგარეტის გამოყენების გამო იღუპება. 10-დან 7 შემთხვევაში, სიკვდილის გამომწვევი მიზეზი სიგარეტია. ალბათ, ბარებსა და რესტორნებში ალკოჰოლური სასმელით მთვრალი, 13-14 წლის მოზარდებიც გინახავთ. ამაზე კონტროლის გამკაცრება გვინდა და საზოგადოებას ვთხოვ, გაგებით მოეკიდოს ამ ფაქტს,“** — განაცხადა ივანიშვილმა.

„მოწევა კლავს, მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას“, „მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს“, „მწეველები კვდებიან ადრე“, „დაიცავით ბავშვები, ნუ აიძულებთ მათ, ისუნთქონ თამბაქოს კვამლი“, „მოწევა ორსულობის დროს, საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას“, — ამ გაფრთხილებებისა და პრემიერ-მინისტრის ინიციატივის მიუხედავად, ქვეყანაში არც მწეველების რაოდენობა იკლებს და არც — თამბაქოს მწარმოებლების მიერ ორგანიზებული აქციები, რომლის დროსაც, თუ გარკვეული რაოდენობის სიგარეტის კოლოფს შეაგროვებთ, სხვადასხვა პრიზით დასაჩუქრდებით.

ერთ-ერთი ასეთი აქცია, როგორც აღვნიშნეთ, ს/ს „თბილისის თამბაქომ“, 2013 წლის 15 იანვრიდან დაიწყო, რომელიც 15 აპრილს უნდა დასრულდეს. რედაქციაში მოქალაქე გ.ქ. გვეწვია, რომელმაც სიგარეტი Pirveli Nanoblack-ის 45 ცალი კოლოფი მოგვიტანა. მართალია, თუ 40 კოლოფს შეაგროვებდა, 10 ლიტრ საწვავს ჩაუსხამდნენ, მაგრამ ამ ადამიანს სანთებელა უნდოდა და იმედი ჰქონდა, რომ პრიზის სახით, 2 ცალ სანთებელას გადასცემდნენ. ფლაერზე მითითებულია მისამართები საქართველოს ქალაქების მიხედვით. ეს მოქალაქე თბილისელია და ამიტომ პრიზის განაღდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ა.დ“-ში შეეძლო. 1 აპრილს აღნიშნულ მისამართზე გამოცხადდა, მაგრამ იქ განუცხადეს, რომ აქციის ორგანიზატორებს ეს შენობა მხოლოდ 2013 წლის 1 აპრილამდე ჰქონდათ დაქირავებული და რადგან ხელშეკრულების ვადა ამოიწურა, სხვა მისამართზე გადავიდნენ.

მოქალაქე გ.ქ-მ ფლაერზე მითითებულ ტელეფონის ნომერზეც დარეკა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ გადაწყვიტა, რედაქციაში მოსულიყო და მის მიერ შეგროვებული სიგარეტის კოლოფებიც მოგვიტანა.

„ვერსია“ „თბილისის თამბაქოს“ მარკეტინგის მენეჯერ ოთარ ღაღანიძეს დაუკავშირდა: **„არსად გადავსულვართ, ეს ტყუილია, ჩვენი წარმომადგენლები ახლაც ამ მისამართზე არიან. სამწუხაროდ, პრიზების რაოდენობა უკვე ამოიწურა, ყველა სახის პრიზი გავეცით და, როგორც ჩანს, უარი ამიტომაც უთხრეს. სხვათა შორის, 1 აპრილი ორშაბათი იყო, ჩვენს ფლაერზე კი გარკვევითაა მითითებული, რომ პრიზები გაიცემა მხოლოდ სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. იმის გამო, რომ ორშაბათს მივიდა, შესაძლოა, ჩვენი წარმომადგენლები ამიტომ არ დახვდნენ, იმ შპს-ს წარმომადგენლებმა კი უთხრეს, სხვაგან გადავიდნენო. გიმეორებთ, ისევ იმ მისამართზე ვართ, მაგრამ პრიზები აღარ გვაქვს“.**

„ვერსიის“ შეკითხვაზე, აპირებს თუ არა კომპანია ამ ტიპის აქცია ისევ წამოიწყოს და შეძლებენ თუ არა ის ადამიანები პრიზების მიღებას, რომლებსაც უკვე შეგროვებული აქვთ სიგარეტის კოლოფები, ოთარ ღაღანიძემ ასე უპასუხა:

„დაახლოებით, თვენახევრის, ან ორი თვის შემდეგ, ამ ტიპის აქციას ისევ ვგეგმავთ, თუ ქვეყანაში რადიკალურად არ შეიცვალა სიტუაცია. რაც შეეხება პრიზების მიღებას, ის ადამიანი, რომელიც დაგიკავშირდათ და სხვებიც, რომლებმაც სიგარეტის კოლოფები შეაგროვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, პრიზების ამოწურვის გამო, უსაჩუქროდ დარჩნენ, თავისუფლად შეძლებენ კუთვნილი საჩუქრების მიღებას განმეორებითი აქციის ფარგლებში“.

კარგი იქნება, თუ თამბაქოს მწარმოებელი და აქციის ორგანიზატორი კომპანიები, უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ და, როგორც მინიმუმ, პრიზების გასაცემ ადგილზე მაინც მოქალაქეებს გააფრთხილებენ, რომ საჩუქრების რაოდენობა ამოიწურა, თუმცა თუ პრემიერ-მინისტრის ინიციატივა ძალაში შევა და თამბაქოს მოხმარების კონტროლი გამკაცრდება, სავარაუდოდ, თამბაქოს მწარმოებლებს ტაქტიკის შეცვლა მოუწევთ, რადგან გამორიცხული არაა, ამ ტიპის აქციების ორგანიზებაც შეიზღუდოს.

ვახტანგ ტატიშვილის „რუსული ნოსტალგია“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

ანსამბლ „ივერიას“ წევრი, იუმორისტი და თბილისის საპატიო მოქალაქე ვახტანგ ტატიშვილი 50 წელია, სცენაზე დგას და, „ივერიასთან“ ერთად, მსოფლიო აქვს მოვლილი. ამასთან, რუსეთის უამრავ ქალაქშია ნამყოფი და, როგორც ამბობს, ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ. სხვათა შორის, 9 აპრილს, 24 წლის წინ დაღუპულთა მემორიალთან ბატონმა ვახტანგმა რუსულად დაწერილი საკუთარი ლექსი წაიკითხა და განაცხადა, რუსი ხალხი და რუსეთის არმია ერთი და იგივე არაა... „რუსულ ნოსტალგიაზე“ „ვერსია“ ვახტანგ ტატიშვილს ესაუბრა.

— საბჭოთა პერიოდში ჩვენი ანსამბლის კონცერტებზე დიდი მოთხოვნილება იყო და მთელი რუსეთი გვაქვს მოვლილი — მთავარი ქალაქების გარდა, ისეთ ადგილებშიც ვართ ნამყოფი, სადაც ბევრი წასვლაზე უარს ამბობდა, ციმბირის 70-ე პარალელზეც კი ვყოფილვართ. მაშინ მოსკოვში 2-3 ანსამბლი არსებობდა, საქართველოში კი, ამ მხრივ, საქმე კარგად გვქონდა — დაახლოებით, 23 ანსამბლი გვყავდა. ახლა პირიქითაა — რუსებმა ჭკუა ისწავლეს, ჩვენ კი ბევრი ხელისშემშლელი პირობა გვაქვს განვითარებისთვის — ზოგი ანსამბლი დაიშალა, დროებით, ფილარმონიაც დაიხურა, ჩვენს მიმართ ნელ-ნელა, ალბათ, ინტერესმაც იკლო... რუსეთის ხელოვანთა წრეებში უამრავი მეგობარი მყავს, ბევრი ჩვენი თანამემამულე დღესაც იქ მოღვაწეობს, ყველა მოღალატეებად ჩავთვალოთ თუ როგორაა საქმე?!

— მწვავე დებატები მოჰყვა საქართველოში რუსი მომღერლების — აგუტინისა და ვარუმის ჩამოსვლას...

— მესმის, რომ რუსული ესტრადა მაღალი დონით არ გამოირჩევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ჩამოვიდნენ. უბრალოდ, მათი ჩამოყვანა იმხელა თანხებთანაა დაკავშირებული, რომ სჯობს, ერთი კარგი კონცერტის ჩატარების საშუალება ქართველ მომღერლებს მისცენ. ისე, წინა ხელისუფლების დროს უარესი ხდებოდა — შერჩევით ასპონსორებდნენ მომღერლებს და მხოლოდ მათ ამღერებდნენ, ვინც მთავრობას ტაშს უკრავდა. დანარჩენები კი გვერდზე გაგვწიეს. ბოლო 9 წლის განმავლობაში, „ივერიის“ კონცერტებს ერთი-ორი სპონსორი თუ გამოუჩნდა და ისიც ცდილობდა, მის შესახებ არავის გაეგო, თორემ მთავრობასთან პრობლემები შეექმნებოდა.

— ამის გამო, ბევრი ხელოვანი პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო. ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, ხელოვანი პოლიტიკაში უნდა ერეოდეს?

— პოლიტიკაში ჩართულები ყველანი ძალაუნებურად აღმოვჩნდით. რას ნიშნავს, პოლიტიკაში არ ვერევი მაშინ, როცა შენს გვერდით ვიღაცას უსამართლოდ იჭერენ, ვიღაცას კლავენ... მაინცდამაინც, შენი ოჯახის წევრს უნდა შეეხონ, რომ ხმა ამოიღო?! ხელოვანი, რომელიც ამბობს, რომ პოლიტიკაში არ ერევა, აუცილებლად რეჟიმის მომხრეა. როგორ შეიძლება, გაჩუმდე, როცა ხალხისთვის მაგალითიც კი შეიძლება გახდე?! შეიძლება, ლოზუნგების ძახილი არ დაიწყო, მაგრამ პოზიცია აუცილებლად უნდა დააფიქსირო, სხვანაირად გაყიდული ხელოვანი ხარ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კომუნისტების დროიდან მოყოლებული, არც ერთი მთავრობის მომხრე არ ვყოფილვარ.

— ისე, სცენიდანაც კარგად ახერხებდით მთავრობების კრიტიკას...

— იუმორი სიმართლის თქმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. სცენიდან ყოველთვის იმას ვამბობდი, რაც ხალხს აწუხებდა და რისთვისაც მთავრობას ყურადღება უნდა მიექცია, მაგრამ

„მერაბ სეფაშვილს არ უნდა ეწყინოს, თუ ხალხს ვახო ტატიშვილი მასზე მეტად უყვარს!“

ნაციონალურ ხელისუფლებას სცენიდან ნათქვამ სიმართლეზე ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა: რამდენიც გინდათ იხუმრეთ და მაკრიტიკეთ, არ მაინტერესებსო. სწორედ ამ დამოკიდებულებამ მიიყვანა საბოლოო შედეგამდე.

— თქვენს კონცერტებზე სააკაშვილი თუ დადიოდა?

— ჩვენს კონცერტზე არასოდეს მოსულა არც თვითონ და არც მთავრობის წარმომადგენლები. სააკაშვილს ჰყავდა თავისი ფავორიტები და ერჩივნა, მათ კონცერტებზე ევლო.

— ე.წ. სააკაშვილის ფავორიტი ხელოვანების მიმართ საზოგადოების დიდ ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდა. ახალი ხელისუფლების პირობებში ისინი ხომ არ „დაიჩაგრებიან“?

— ხალხის გაღიზიანების კარგად მესმის, მარამ განხეთქილება და ისევ მხარეებად დაყოფა აღარ უნდა დავუშვათ. ამა თუ იმ ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების გამო, არავის დავემდურები, მაგრამ ხალხისა და მთავრობის სიყვარული ერთდროულად არ გამოდის. როცა მთავრობა აშავებს, შენ კი ამ დროს ამბობ, პოლიტიკაში არ ვერევიო, ამით დანაშაულის თანამონაწილე ხდები და ხალხის სიყვარულსაც ნელ-ნელა კარგავ. ჩემი და მერაბ სეფაშვილის დამოკიდებულება სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ შეიძლება, სხვადასხვაა, მაგრამ ეს ჩვენს ურთიერთობას ხელს არ უშლის, თუმცა ხალხის არჩევანია, ვინ უყვარდეს და ვინ — არა. მერაბს კი არ უნდა ეწყინოს, თუ ხალხს ვახო ტატიშვილი მასზე მეტად უყვარს. ადრე ხომ გვმოძღვრავდნენ, პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდითო. მე კი ასე ვიტყვი: „მომღერლებო, მთელი საქართველოსი შეერთდით!“

— ახალი ხელისუფლების კრიტიკას აპირებთ?

— ჯერ ახალი მოსულია, ცოტას ვაცდი და თუ ცუდს გააკეთებს, გავაკრიტიკებ. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, ნორმალურად ვითარდება პროცესები. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ამ არჩევნებით მივაღწიეთ, თავისუფლებაა.

— ვისგან ან რისგან გავთავისუფლდით?

— გავთავისუფლდით იმ შიშისგან, რასაც ნაციონალები თესდნენ. არავინ იყო ქვეყანაში დაცული — ისმინებოდა ტელეფონები, სამსახურებიდან ხალხს პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდნენ, იჭერდნენ...მოკლედ, სრული განუკითხაობა იყო.

რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და განათლება რუსულ ენაზე მაქვს მიღებული, ამავე ენაზე მაქვს დაწერილი ძალიან ბევრი ლექსი და სიმღერა. საკმარისია, გაეგოთ ვახტანგ ტატიშვილმა რუსულად იმღერაო, ლამის სისხლის სამართლის დამნაშავედ გამომიყვანდნენ ხოლმე, თანაც ისეთები მაკრიტიკებდნენ, რუსული რომ საერთოდ არ იციან. წელს, 9 აპრილს რომ გამოვედი და ლექსი ვთქვი რუსულ ენაზე, ამასაც მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი რუსული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. შეიძლება, გლობალური აგიტაცია ვერ ჩავატარო, მაგრამ როგორც რიგითი, თავისუფალი მოქალაქე, სათქმელს იმ ენაზე ვიტყვი, რომელზეც გამიხარდება.

— 9 აპრილი ვახსენეთ და, ამ დღის საზეიმო თარიღად გამოცხადებაზე რას ფიქრობთ?

— გარდა იმისა, რომ ეს ტკივილიანი დღეა, დამოუკიდებლობის აღდგენის დღეცაა: თან უნდა ვიგლოვოთ და თან ვიზეიმოთ. ასე გამოდის და რა ვქნათ?! ქართველებმა ხომ ჭირი და ლხინი ერთად ვიცით! რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ წავიდა ჩვენი ანსამბლი გასტროლით ჯერ მოსკოვში, მერე კი პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და ისრაელი მოვიარეთ. რომ არა ეს გასტროლები, „ივერიელებიც“ აუცილებლად შევასრულებდით ჯემალ სეფიაშვილის სიმღერას — „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“.

— ახალი ხელისუფლების მიმართ იმედიანი განწყობით ხართ...

— როგორც წეღან ვთქვი, ძალიან მცირე დროა გასული, რომ კატეგორიულად განვაცხადო, ახალი მთავრობა კარგია თუ ცუდი, ვნახოთ, რას გააკეთებს. ალბათ, შეცდომებიც იქნება, უამისოდ არც შეიძლება. მთავარია, ხალხმა ამოისუნთქოს და საკუთარ ქვეყანაში ხმის ამოღების არ ეშინოდეს. თავისუფლება იმას არ ნიშნავს, რაც გინდა, ის გააკეთო. კანონის ფარგლებში მოქცეული თავისუფლებაა ყველაზე სწორი — თავისუფლად აზრის გამოხატვა, თავისუფლად სიმღერა რომ შეგიძლია... დანარჩენი შენს ინტელექტსა და ნამუსზეა დამოკიდებული.

არც იმის მომხრე ვარ, რომ წინა მთავრობას ვებრძოლოთ. არა, ბატონო, არაა აუცილებელი, ყველა ნაციონალი გვეზიზღებოდეს, დამნაშავეები აუცილებლად კანონის ძალით დაისჯებიან, საზოგადოებაში კი შუღლი არ უნდა გაღვივდეს. ეს უკვე გავიარეთ და ვნახეთ, შუღლმა და დაპირისპირებამ რა შედეგიც მოგვიტანა. ახლა შერიგებაა აუცილებელი. მინდა, საქართველოში ყველას ერთმანეთი უყვარდეს.

ვერსიანიუსი

იშხნის რეაბილიტაციის პროცესში ქართული მხარის ჩართვაზე შეთანხმება მიღწეულია

თურქული მხარე თანახმაა, იშხნის რეაბილიტაციის პროცესში ქართული მხარის რეკომენდაციები გაითვალისწინოს. ამ მიზნით, თურქეთში, 17 აპრილს ქართველი სპეციალისტებისგან შემდგარი ჯგუფი გაემგზავრება. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კულტურის მინისტრის მიადგილე მარინე მიზანდარმა და თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე ოზგურ ოზასლანმა ანკარაში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე მიიღეს. შეგახსენებთ, რომ მარინე მიზანდარი ანკარაში 12 აპრილს გაემართა, სადაც თურქეთის მთავრობასთან იშხნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შეხვედრები გამართა. მისი განცხადებით, ოშკის აღდგენაში ქართული მხარის ჩართვაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, ოშკის სარესტავრაციო პროექტი შემუშავების პროცესშია და სამუშაოები, სავარაუდოდ, მაისის შემდეგ დაიწყება.

მიზანდარი მიიჩნევს, რომ სასურველია მანამდე თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებაც გაფორმდეს, რაც საშუალებას მისცემს ქართველ სპეციალისტებს, იქონიონ ფორმატი და მალე ჩაერთონ აღნიშნულ სამუშაოებში. მიზანდარის თქმით, ამ ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურული ძეგლების პასპორტიზაციას ითვალისწინებს, რის შედეგადაც იმ ძეგლთა ჯგუფი გამოიკვეთება, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება შველა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა აცხადებს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები იშხანსა და ტაოს გარდა, სხვა ძეგლებზეც იგეგმება.

„იშხანში შევხვდით ადგილობრივი ძეგლთა უწყების წარმომადგენელს, კერძოდ, ერზრუმის ძეგლთა დაცვის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელმაც საუბარში ახსენა, რომ მსგავსი სამუშაოების ჩატარება იგეგმება როგორც ოშკში, ასევე ამ რეგიონების სხვა ისტორიულ ძეგლებზე, მათ შორის მახსოვს, არტანუჯის კომპლექსი ახსენა“, — აღნიშნა ბუბა კუდავამ, მისი თქმით, ჯერჯერობით უცნობია, ეს პროცესი მთელ ნაქალაქევს შეეხება თუ მის გარკვეულ ნაწილს. მთავარი ისაა, რომ ქართულმა მხარემ იგივე შეცდომა არ დაუშვას, რაც იშხანზე მოხდა და ამ პროცესში დროულად ჩართოს ქართველი სპეციალისტები.

„რამდენიმე წელია, ასევე მიმდინარეობს შავშეთის ციხის არქეოლოგიური შესწავლა. ესეც, სამწუხაროდ, ქართველი სპეციალისტების გარეშე მიმდინარეობს. გათხრების შედეგები ერთ-ერთ ჩვენს კონფერენციაზე ექსპედიციის ხელმძღვანელმა ისმან აითექიმმა წარმოადგინა. იგი იმერხეველი ქართველია. შავშეთში არქეოლოგიურ გათხრებს ვანის უნივერსიტეტის ექსპედიცია აწარმოებს“, — აღნიშნავს ბუბა კუდავა.

„ვერსიანიუსი“

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

ხმა უდაბნოში

გარეჯი



დოდოს რქის აღმოსავლეთ მონაკვეთი: გუმბათიანი ეკლესია და მისი მხატვრობა

დავითის ლავრიდან ჩრდილოეთით გვაქვს გეზი. ხედები, თითქმის, ერთნაირია. რომ არა ბალახის ფერი, იმასაც ვერ გაარჩევ, ადრეული გაზაფხულია თუ ზაფხული. შორს ცხვრის ფარა მოჩანს. ვზივარ მანქანაში და ვფიქრობ:

ის, ვინც არ იცნობს გარეჯს, ცუდად იცნობს საქართველოს; იმას, ვისაც არ შეუძლია უდაბნოს ქარაშოტსა და პაპანაქებაში თვალი გაუსწოროს ათასწლეულებს, წალკოტში მყოფსაც არ შეუძლია შეიმეცნოს საკუთარი ფესვი.

ჩაკეცილი სერები, დაუცხრომელი ქარი და მოლოდინში გაყურსული ქვაბები... რა არის ამ უცვლელი გარემოსთვის ასწლეულები?

... არც 1500 წელია დიდი დრო!

1500 წლის წინათ აქ უკვე ესახლნენ ასურეთიდან მოსული მამა დავითი და ლუკიანე, რომლებიც ერთ-ერთი ვერსიით, წარმოშობით ქართველები იყვნენ. მათ კარგა ხნით მოასწრეს საქართველოში მოსვლა იოანე ზედაზნელს და კიდევ 11 ნეტარ ასურელ მოღვაწეს.

დავით გარეჯელის და ბუბაქარის ფრესკები

დავითის დროსვე მოღვაწეობდა გარეჯში ღირსი მამა დოდო, რომელიც კახეთის მკვიდრი ყოფილა.

დავითი და მისი მოწაფე ლუკიანე ჩაკეტილ, მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ამიტომ შორიახლოდან მოსული ბერობის მსურველები დოდოს ჩააბარეს.

ნეტარმა დავითმა მონასტრის დასაფუძნებლად ლავრის მოპირდაპირე მთის ერთი განშტოება ანუ რქა შეურჩია დოდოს და ასე მიმართა: **„წარვედ, ძმაო, რქასა ამის კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩუენსა, და წარიტანე თანა სხუანიცა ძმანი, რამეთუ წადიერ არიან, რაითა გარე ისჯებოდიან ხორცითა სულთა მათთა ცხორებისათვის“**. ძნელი სათქმელია, მოესწრებოდნენ თუ არა დავითი და დოდო ამ სამონასტრო კომპლექსის აგებას, რომ არა ერთი ღვთივბოძებული შემთხვევა: სანადიროდ წამოსული რუსთაველი. აზნაური **ბუბაქარი** კაკაბმა ნეტარი მამის ქვაბთან მიიყვანა. ბარბაროსმა აზნაურმა ბერის მოკვლა განიზრახა, მაგრამ უეცრად ხმალშემართული მარჯვენა შეახმა. ასე დარჩებოდა მკლავი ბუბაქარს, რომ ისევ ნეტარი მამის ვედრება არ შეესმინა უფალს. დავითმა ბუბაქარს სხვა სიკეთეც უჩვენა, როცა მისი ვაჟის ხეიბრობა შეიტყო. ღირსმა მამამ ვაჟის განკურნებაც შესთხოვა უფალს. წარმოიდგინეთ რუსთველი აზნაურის გახარება და გაოცება, როცა შინ მისულს ორთავ ფეხით კოჭლი ძე სრულიად საღსალამათი დაუხვდა.

ბუბაქარი საჩუქრებით დაბრუნდა დავითთან და მონათვლა სთხოვა. ასე შეიქნა გადარჩენილი ბარბაროსი აზნაური მართლმორწმუნე ქრიატიანი, დავითის მიმდევარი და დოდოს

დროულად, შეფაკლული ღაწვები და ცოცხალი ბაგეები მისი ორბუნებოვნების გამომხატველია. აღშფოთებას იწვევს XX საუკუნის ვანდალების ნამოქმედარი: მაცხოვრის ფრესკას თვალები აქვს ამოკაწრული.

მონასტერში კიდევ ერთი მცირე გუმბათიანი ეკლესიაა. იგი კომპლექსის მეორე იარუსზე, სატრაპეზოდან დასავლეთითაა გამოკვეთილი.

ამ გუმბათიან საყდარს მხოლოდ სამხრეთი მკლავი აქვს ჩამონგრეული, მაგრამ არათუ ფრესკები, ნალესობაც კი აღარ შემორჩენია: მკლავები ერთმანეთთან სამსაფეხურიანი პილასტრებითაა გადაბმული და მათი სიღრმე დაახლოებით ერთი მეტრია. ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთის მკლავი, თავისი აბსიდით, უფრო ღრმაა. ამ აფსიდში ოსტატს სამღვდელმთავრო ნიშიც გამოუკვეთავს, ოღონდ მისთვის სწორკუთხა ფორმა მიუცია. საკურთხევლის აბსიდში მაღალი, მონოლითური ტრაპეზის ქვაა აღმართული.



კლდეში გაჭრილი კიბე და სამრეკლოს ნაშთი ცენტრალური ეკლესიის წინ.

გუმბათის გამოყვანისას ოსტატს არც მისი ყელი დავიწყებია, მაგრამ თავად გუმბათისთვის სასურველი ფორმა ვეღარ მიუცია. ეს დიდად გასაკვირი არცაა: სულ სხვაა, როცა კონსტრუქციული ფორმები წინასწარ მოზომილი და დამუშავებული კვადრებით იქმნება და სულ სხვაა, როცა საამისოდ ერთიანი კლდის მონოლითის დამორჩილებაა საჭირო. ეს ეკლესია წინა ეკლესიაზე ოდნავ გვიანდელი ჩანს, მაგრამ IX საუკუნის აქეთ მაინც არ უნდა იყოს გამოკვეთილი.

ეკლესიის წინ ქვევრების ნაშთებია.

ამ საყდრიდან დასავლეთით მცირე დარბაზული ეკლესია გვხვდება, რომელსაც ორქანობა ჭერი აქვს, ხოლო ჩრდილოეთ კედელში — სამი ნიში. ამათგან ერთი, რომელიც საკმაოდ ღრმა და ფართოა, ალბათ სამკვეთლოს ფუნქციას ასრულებდა, ხოლო ორი ვიწრო ნიში — დეკორატიულისას. ამ ნიშებიდან მარცხნივ, დამატებით ოთახში გასასვლელი კარია გაჭრილი.

კომპლექსის სხვა მონაკვეთებში კიდევ ორი მცირე ეკლესია და რამდენიმე სენაკია, რომელთაგან ერთ-ერთი მღვდელმთავრისთვის არის განკუთვნილი.

დოდოს რქის მონასტერი რომ მრავალწევრიან ბერთა საძმოს წარმოადგენდა, ამას სატრაპეზო, და, რაც მთავარია, კომპლექსის ძირითადი, დიდი დარბაზული საყდარი ადასტურებს. **ეს დიდი დარბაზული ეკლესია კომპლექსის ცენტრშია და ღვთისმშობლის სახელობისაა. სწორედ იგი ააგეს VI საუკუნეში დოდო გარეჯელმა და ბუბაქარმა.**

დოდოს რქის ღვთისმშობლის სახელობის ეს ეკლესია დაახლოებით იმ ფორმისაა, როგორიც ლავრის „ფერიცვალება“ და ნათლისმცემლის მონასტრის „ნათლისმცემელია“. ამასთანავე, „ღვთისმშობელი“ მოცულობით პირველს აღემატება, ხოლო მეორეს ჩამორჩება. იგი სიგრძეში დაახლოებით 15 მეტრია. ტაძარში უძველესი კვალი ყველაზე თვალნათლივ მის ჩრდილოეთ ნავში იკითხება, სადაც დიდი, ნალისებრი თაღია.

ძველი მხატვრობის კვალი აქა-იქ გვხვდება, ხოლო ალებასტრის კანკელში ჩახატული ფრესკები XVIII საუკუნისაა.

ვტოვებთ „დოდოს რქას“ და სამხრეთ-დასავლეთით ვბრუნდებით. მოვდივართ და თან მოგვაცილებს საკვირაო წირვის ლოცვა და გალობა—გარეჯის უდაბნოს ეს იდუმალი და მარადიული ხმა.

დოდოს რქიდან დაახლოებით 12 და დავითის ლავრიდან 10 კმ-ში 3 სამონასტრო კომპლექსია: მრავალწყლის სერზე — „თეთრი სენაკები“, ეშმაკის ხევთან — „წამებული“ და მისგან სამხრეთით — „ნათლისმცემელი“.

ავტორის ფოტოები

მეუღლე იავნანა ბერიძე; შვილები ლუარსაბი, გიორგი, ეკა; შვილიშვილები იავნანა და ანდრია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანდრე კარბელაშვილი

პანაშვიდები: 14-15 აპრილი, 17:00 საათზე; მის: კეკელიძის №5.
გამოსვენება: 16 აპრილი. 15:00 საათზე; მის: ანჩისხატის ეკლესია

გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ტელე-კომუნიკაციების უბადლო მცოდნე, გამოჩენილი მეცნიერ-გამომგონებელი, ნოვატორი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და დიპლომის ლაურეატი „სატელეკომუნიკაციო და ელექტრონული მედიის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის", ანდრე კარბელაშვილი.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ანდრე კარბელაშვილის სიცოცხლე და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება კაცმა იცხოვრო ნებისმიერ ეპოქაში და შეინარჩუნო უფლის ყველაზე დიდი საჩუქარი — ადამიანური ღირსება.

ანდრე კარბელაშვილი იყო ღირსეული მამულიშვილი მრწამსითა და გენეტიკით, საზოგადო, სახელმწიფო მოღვაწე, ინჟინერი, მეცნიერ-გამომგონებელი, პუბლიცისტი, კომუნიკაციების ტექნოლოგიების დანერგვის პოპულიზატორი, ჟურნალისტი, სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების უზომოდ მოყვარული და გულისხმიერი ადამიანი.

მის მიერ განვლილი გზა, ცხოვრების კადრები არის ჭეშმარიტი მაგალითი ქართული კულტურისა და მენტალიტეტის. თუ ადამიანი ბუნებით არის კეთილშობილი, ის ყველა ეპოქის ქარტეხილში დარჩება ეროვნული ფასეულობების ერთგული. ასეთი იყო ანდრე კარბელაშვილი.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
15 აპრილი

ᲕᲔᲠᲫᲘ — მოულოდნელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით, რომლის გადაჭრაც მაღლევეა აუცილებელი. მოგიწევთ თავის ხელში აყვანა, გამოიჩინეთ მოთმინება, პირნათლად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

ᲙᲣᲠᲘ — თუ მოახერხებთ თავი აარიდოთ კონფლიქტს, დღის დანარჩენი მონაკვეთი შესანიშნავად ჩაივლის. წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში და არ არის გამორიცხული პოზიტიური ცვლილებები პირად ცხოვრებაში.

ᲪᲘᲪᲘᲜᲘ — ნუ განაწყენდებით, თუკი დღეს არაფერი გამოგდით — ვერავინ შენიშნავს თქვენს დაბნეულობას. აუცილებლად გამოჩნდება კეთილი ადამიანი, რომელიც თქვენი სამუშაოს ნაწილს საკუთარ თავზე აიღებს.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — მიუხედავად იმისა, რომ კირჩხიბებისთვის დღე დაძაბული და რთულია, მაინც ბევრი პოზიტიური ფაქტი მოხდება. იმ ადამიანის ყურადღებას მიიქცევთ, ვისზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ეს ეხება როგორც პირად ცხოვრებას, ასევე პროფესიულ სფეროს.

ᲚᲝᲛᲘ — იმედგაცრუებული დარჩებით იმით, რომ სათანადოდ არ დაფასდა თქვენი შრომა, მაგრამ ეცადეთ, მცირედით დაკმაყოფილდეთ. მთავარია, მოვლენებს ნუ დაჩქარებთ და იმაზე მეტს ნუ მოინდომებთ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ.

ᲥᲐᲚᲬᲧᲚᲘ — შესანიშნავი დღეა მატერიალური პრობლემების გადასაჭრელად. შესაძლოა შეხვედრა ადამიანთან, რომელთანაც ფინანსური საკითხების მოგვარებაზე მოილაპარაკეთ და ხელსაყრელ გარიგებასაც გაფორმებთ.

ᲯᲘᲯᲒᲝᲠᲘ — სასწორებმა, სჯობს, დღეს მეტი ყურადღება სახლის საქმეებსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობას დაუთმონ. თქვენგან კარდინალურ ცვლილებებს ელიან, მაგრამ ვერაფრით იღებთ ასეთ პასუხისმგებლობას. შესაძლოა, დაგჭირდეთ გამოცდილი ადამიანის რჩევა და ამიტომ გაანდეთ მას თქვენი საფიქრალი გეგმები.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — დღეს შენაძენი გელით. შეიძლება ისეთი რამ იყიდოთ, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდით. თქვენი შრომა ისეთ შედეგს გამოიღებს, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმას უპრობლემოდ გადაწყვეტთ, მით უმეტეს, რომ პროფესიულ საქმიანობაში უამრავი წარმატება გელით.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲘ — დღე შეხვედრებითა და დისკუსიებით იქნება დატვირთული. თქვენმა სიტყვამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს. მთავარია, ყურადღების კონცენტრირება მოახერხოთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲥᲘ — შუადღეს შესაძლოა, მოწყენილობამ შეგიპყროთ. სამყარო ნაცრისფერი და პირქუში მოგეჩვენებათ, ადამიანებთან ურთიერთობა კი — მოსაწყენი და უპერსპექტივო, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის. უბრალოდ, დაიღალეთ და დასვენება გჭირდებათ. ეცადეთ, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანისგან თავი შეიკავოთ.

ᲛᲔᲠᲜᲧᲚᲘ — სწორედ დღეს შეძლებენ მერწყულები პირადი ცხოვრების კარდინალურად შეცვლას. თუ უკვე გყავთ მეორე ნახევარი, მაშინ აუცილებლად დაუთმეთ მას მეტი დრო, ხოლო თუ თქვენი გული ჯერ კიდევ თავისუფალია, მოემზადეთ ახალი ნაცნობობისთვის.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ — დღეს ეცადეთ, ყურადღება არ მოადუნოთ, რათა მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ გამოგრჩეთ, რომელზეც თქვენი კარიერა იქნება დამოკიდებული. უმჯობესია, ემოციები მოთოკოთ, მხოლოდ ასე შეძლებთ კონფლიქტის თავიდან აცილებას.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com





ადვილი

4	8	5	7	9	3	6	2	1
3	1	2	8	4	6	9	7	5
9	7	6	5	2	1	4	3	8
1	6	3	4	5	2	8	9	7
8	5	7	3	1	9	2	6	4
2	9	4	6	7	8	1	5	3
7	4	1	2	6	5	3	8	9
6	3	9	1	8	7	5	4	2
5	2	8	9	3	4	7	1	6

რთული

2	5	4	7	6	1	3	9	8
7	3	9	2	8	5	6	4	1
8	6	1	9	4	3	7	5	2
6	4	5	3	2	9	1	8	7
1	8	3	5	7	6	4	2	9
9	2	7	8	1	4	5	3	6
5	1	2	6	3	8	9	7	4
4	9	8	1	5	7	2	6	3
3	7	6	4	9	2	8	1	5

ულტრა

1	5	6	9	4	8	7	3	2
7	4	9	6	3	2	1	8	5
3	2	8	1	7	5	6	9	4
9	6	5	8	2	1	4	7	3
4	1	2	7	6	3	9	5	8
8	7	3	5	9	4	2	6	1
6	3	4	2	8	9	5	1	7
5	8	7	4	1	6	3	2	9
2	9	1	3	5	7	8	4	6

ექსტრემალური

7	9	6	5	4	1	2	8	3
4	5	8	3	7	2	1	9	6
1	3	2	6	9	8	5	4	7
6	2	1	9	3	5	4	7	8
3	8	7	2	6	4	9	5	1
9	4	5	8	1	7	6	3	2
2	7	9	4	8	6	3	1	5
8	6	3	1	5	9	7	2	4
5	1	4	7	2	3	8	6	9

ჰოროსკოპი
16 აპრილი

ვერძი — დღეს მხოლოდ არსებული პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული და ნაკლებად მიაქცევთ ყურადღებას თქვენ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ პირად ცხოვრებას ცოტა ხნით უკანა პლანზე გადაწევთ.

კურო — გუროებს ახლა წარმატებული პერიოდი აქვთ მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავარია, ზომიერების გრძნობა შეინარჩუნოთ და საკუთარი შესაძლებლობები ობიექტურად შეაფასოთ.

ტყუპები — დღეს შორსმიმავალ გეგმებზე ნუ იფიქრებთ, ამოირჩიეთ ერთი სფერო და დაკავდით ამ საკითხების მოგვარებით. წარმატება მაშინვე არ მოვა, მაგრამ თუ ახლა დაუდებთ სათავეს, შედეგს აუცილებლად მიიღებთ.

კირჩხიბი — დღეს სურვილი გექნებათ, საკუთარ ცხოვრებასა თუ ურთიერთობებში გაერკვეთ. თუ თვითანალიზს ჩაუღრმავდებით, მოვლენების უმცირეს დეტალებს გააანალიზებთ და საკუთარ თავთან გულახდილი იქნებით, ეს სარგებელს მოგიტანთ.

ლომი — როგორც იქნა, დღეს სულიერ და ემოციურ სიმშვიდეს იგრძნობთ. საკუთარი იდეების რეალიზაციისთვისაც ეველა გზა ხსნილი გაქვთ.

ქალწული — დღეს საკუთარ თავსა და გარესამყაროსთან სრულ ჰარმონიას იგრძნობთ. არ არის გამორიცხული ახალი ნაცნობობა, რომელიც თქვენს კარიერულ წინსვლას ხელს შეუწყობს.

სასწორი — მიზნისკენ მიმავალ გზაზე, შესაძლოა, მრავალი წინააღმდეგობა შეგხვდეთ. ვიღაც გამუდმებით ცდილობს, ხელი შეგიშალოთ, ამიტომ სჯობს, დახმარებისთვის კეთილგანწყობილ ადამიანებს მიმართოთ.

ღრიანკალი — დღეს არ ღირს ეველაფრის სასწორზე შეგდება, რაც უნდა დიდი იეოს ამის სურვილი. გირჩევთ, გამძლეობა გამოიჩინოთ და ადამიანებთან ურთიერთობები კონფლიქტის გარეშე დაარეგულიროთ.

მშვილდოსანი — მოულოდნელად წარმოქმნილი სირთულის გამო, შესაძლოა, საფრთხის შეგრძნება გაგიჩნდეთ. გახსოვდეთ, რომ ცხოვრება ვითარდება და არც თქვენ უნდა გაიეინოთ ერთ პოზიციაზე. ასე დასახულ მიზანს ვერ მიაღწევთ.

თხის რქა — დღეს საკუთარი არჩევანის სისწორეში ეჭვს შეიტანთ, თუმცა ამის საფუძველი ნამდვილად არ გაგაჩნიათ. კარგი პერიოდია ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, მთავარია, ყურადღება არ მიაქციოთ გარშემომყოფთა აზრს.

მერწყული — მერწყულებს ბედი ფინანსურ საქმეებში სწყალობთ. ეველაფერი, რაც მატერიალურ სიკეთეს უკავშირდება, საგმაოდ ადვილად გვრდება. ნაოოფიერად ჩაივლის მოლაპარაკებები პარტნიორებთან, რაც უამრავ პერსპექტივას გბირდებათ.

თევზები — დღეს სჯობს, ახალი არაფერი წამოიწყოთ და მხოლოდ არსებული პრობლემების მოგვარებით დაკავდეთ. სასარგებლოა განმარტოება, წიგნების კითხვა, კლასიკური მუსიკის მოსმენა ან ძველი ფილმების ნახვა.

ასაკობრივი სხვაობა საშიშია?

გერმანელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცოლ-ქმარს შორის ასაკობრივი სხვაობა ქალის სიცოცხლეს ამოკლებს. დემოგრაფიული ინსტიტუტის მკვლევარებმა საინტერესო კანონზომიერებას მიაგნეს: თუ მამაკაცი ასაკით პატარა ქალზე ქორწინდება, ეს მის სიცოცხლეს ახანგრძლივებს, ხოლო მანდილოსანზე უარყოფითად მოქმედებს მეუღლეებს შორის ასაკში ნებისმიერი სხვაობა. ამასთან, რაც მეტია ცოლ-ქმარს შორის სხვაობა, მით ნაკლებია ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ცოლია ქმარზე უფროსი, თუ პირიქით. ორ მილიონ წყვილზე დაკვირვებისას, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლისთვის საუკეთესო არჩევანი თანატოლზე გათხოვებაა. ქორწინება ბევრად უფროს მამაკაცზე (7-9 წლით უფროსი) სიკვდილის რისკს 20%-ით ზრდის, თუმცა ცოლზე უმცროსი ქმარი ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობას უფრო ამცირებს.

სტამბოლი – ყველაზე მიმზიდველი ქალაქი ტურისტებისთვის



თურქეთის დედაქალაქი სტამბოლი ტურისტებისთვის საუკეთესო ქალაქად დაასახელეს. რეიტინგის პირველ ხუთეულში, რომელიც კომპანია European Consumers Choice-მა შეადგინა, შევიდა ასევე ლისაბონი, ვენა, ბარსელონა და ამსტერდამი. სტამბოლმა ისეთ ცნობილ ტურისტულ ცენტრებს აჯობა, როგორიცაა რომი, მადრიდი და ნიცა. სტამბოლი უცხოელებს უნიკალობით, აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შერწყმით იქცევს, სწორედ ამიტომ ტურისტებმა საუკეთესოდ დაასახელეს. პორტუგალიის დედაქალაქი, რომელიც ლიდერს მხოლოდ 439 ხმით ჩამორჩა, ცნობილია როგორც „თეთრი შუქის ქალაქი“, შესანიშნავი ხედებითა და ღირსშესანიშნაობებით. მესამე საპატიო ადგილას ავსტრიის დედაქალაქია. ყავის, ღვინისა და სამზარეულოს წყალობით, ვენა ტურისტებისთვის წლის ნებისმიერ დროს მიმზიდველია. ბარსელონა კი მნახველს არქიტექტორ ანტონიო გაუდის ქმნილებებით და ღამის მშფოთვარე ცხოვრებით იზიდავს. ხუთეულს ამსტერდამი ასრულებს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია და აქ უფრო მეტი არხია, ვიდრე ვენეციაში.

კონკურსი მსოფლიოში საუკეთესო ვაკანსიებზე

ავსტრალიაში ახლახან დასრულდა განაცხადების მიღება მსოფლიოში საუკეთესო ექვს ვაკანსიაზე. „მწვანე კონტინენტზე“ სამსახურის დაწყების სურვილი მთელი მსოფლიოდან 40 ათასმა ადამიანმა გამოთქვა. 18 ფინალისტის გამოვლენამდე ორიოდე კვირა რჩება. კონკურსის პირობების მიხედვით, ექვსი გამარჯვებული ნახევარი წლის განმავლობაში ავსტრალიაში იცხოვრებს, დაკავდება ფოტოგრაფიით, იმოგზაურებს და ტურისტებს გაართობს. კონკურსის ორგანიზატორთა დავალებით, მონაწილეებმა ჟიურის 30-წამიანი ვიდეო უნდა გაუგზავნონ, სადაც საკუთარ თავზე უამბობენ და დაუსაბუთებენ, რატომ უნდა მიიღონ მსოფლიოში საუკეთესო სამუშაო. „ოქროს ვაკანსია“ მხოლოდ ექვსია: „მასხარა“, „თავგადასავლების მაძიებელი“, „ფოტოგრაფი“, „დეგუსტატორი“, „ველური ბუნების დამცველი“ და „პარკის მეთვალყურე“. „მასხარა“ სიდნეიში ყველა ექსკლუზიურ წვეულებასა და ფესტივალს დაესწრება და სტუმრებს გაართობს, „თავგადასავლების მაძიებელი“ კონტინენტის ჩრდილოეთით იმოგზაურებს, გასამრჯელოდ კი 100 ათას ავსტრალიურ დოლარს (105 ათასი აშშ დოლარი) მიიღებენ ექვსი თვის განმავლობაში. პირველი კონკურსი „მწვანე კონტინენტზე“ 2009 წელს ჩატარდა, ხოლო გამარჯვებულმა ინგლისელმა — ბენ საუთჰოლმა სამი წლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კუნძულზე ცხოვრება სულაც არ იყო სამოთხე.

თავისტკივილი სასარგებლოა?

მათთვის, ვისაც აწუხებს შაკიკი, კარგი ინფორმაცია გავრცელდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ უსიამოვნო დაავადების მიღმა, ქალის ორგანიზმისთვის დიდი სარგებელი იმალება. აღმოჩნდა, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, ვინც რეგულარულად იტანჯება თავისტკივილით, უფრო დაცულები არიან ონკოლოგიური დაავადებებისგან. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ შაკიკის დროს ესტროგენისა და პროგესტერონის სეკრეცია მცირდება, რაც სიმსივნის წარმოქმნას უშლის ხელს.

სუდოკუ

ადვილი

	6				3			8
8		1	2		6			
		3		8			4	
		2		1	8			6
				6				
6			5	3		9		
	5			4		3		
			3		1	8		9
3			8				7	

სტანდარტი

					2	8		
2				7				
		6	5				1	9
	5		3	1				
7				6				3
				2	4		6	
1	8				9	4		
				3				8
		3	4					

რთული

				8		4		
				5	2		1	
	1	2				8	6	
	7	4		6		9	8	
3								1
	2	8		1		5	4	
	8	7				2	9	
	9		5	2				
		6		4				

ექსპერტი

1	4			8				
	8	7	4					
6		3						1
5			3			1	9	
		2				5		
	1	8			7			4
9						2		6
					2	4	1	
				1			7	8

მარგალიტის ყელსაბამი გინესის წიგნში მოხვდა

იაპონელებმა მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 222-მეტრიანი მარგალიტის ყელსაბამი შექმნეს, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში, ქალაქ ოსაკაში გამოიფინა და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. ყელსაბამი 20 კილოგრამს იწონის და 18 ათასი მარგალიტისგანაა შექმნილი, მის დამზადებას კი სამი თვე დასჭირდა. ქვების უმეტესობა ამ პროექტისთვის უფასოდ გაიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ და მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა დიდია, ექსპოზიციის ორგანიზატორები მის გაყიდვას არ გეგმავენ.

ნახატებს ენით ქმნის

ხატვის მასწავლებელმა ინდოეთიდან, ანი კეიმ მოიფიქრა და ცხოვრებაში განახორციელა სურათების ხატვის საკმაოდ საშიში და უჩვეულო სახეობა. საკუთარ შემოქმედებაში ის, ფუნჯის ნაცვლად, საკუთარ ენას იყენებს და ამას იმით ხსნის, რომ სურდა, რაღაც ორიგინალური მოეფიქრებინა. ჯერ ცხვირით დაიწყო ხატვა, მაგრამ მერე შეიტყო, რომ ასეთი „ხერხი“ უკვე ცნობილი იყო. ენით ხატვა საკმაოდ სარისკოა და, შესაძლოა, ზოგიერთი ექსტრემალი ამ მეთოდზე დაფიქრებულიყო კიდეც, მაგრამ ფაქტია, გარისკვა აქამდე ვერავინ გაბედა. სხვათა შორის, ანი კეიმ აღიარა, რომ თავიდან, თავისტკივილი და გულისრევა სტანჯავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ორგანიზმი შეეჩვია მომწამვლელ საღებავს.

ძაღლს მილიონი დოლარი დაუტოვა

აშშ-ს მოქალაქემ, ჯონ ფეოდოროვმა ბელორუს ძაღლს, სახელად „ჟულიკს“ სოფელ ბუდოჩკიდან, თითქმის მილიონი დოლარი (993,7 ათასი) დაუტოვა და ანდერძში მითითებული ყველა ხარჯი მკაცრად კონტროლდება. საქმე ისაა, რომ ამერიკელმა ძაღლი 2007 წელს გაიცნო და მას შემდეგ თავის ოთხფეხა მეგობარს ძალიან შეეჩვია. ხშირად ამბობდა, ის ერთადერთი სულიერი არსებაა ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც არასოდეს უღალატიაო და ალბათ, სწორედ ეს გახდა ასეთი უცნაური გადაწყვეტილების მიზეზიც. კონტრაქტის მიხედვით, „ჟულიკს“ ეკუთვნის საკუთარი ოთახი საწოლითა და ტელევიზორით, სამჯერადი დაბალანსებული კვება და ყოველწლიური მოგზაურობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

საგანგებოდ ბლოკბასტერი ტრუსი მამაკაცებისთვის

დღეს სულ უფრო მეტი ბლოკბასტერი გამოდის 3D-ფორმატში და ამიტომ სახლში თუ მოაწყობთ ასეთ ჩვენებას, ურიგო ნამდვილად არ იქნება. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება კალვინ კლაინის ხაზით გამოშვებულ ტრუსს. ბრენდი მომხმარებელს ყოველთვის ანებივრებს ორიგინალური სიახლეებით, ამჯერად კი მათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს და მამაკაცებს ტრუსი შესთავაზეს 3D-ეფექტით. დიზაინერები კლიენტებს ურჩევენ, ტრუსი სპეციალური სათვალით დაათვალიერონ, შედეგად კი საცვალზე ლამაზ სურათებს ნახავენ, ორი ასეთი ტრუსის შეძენა კი მსურველს 34 დოლარი დაუჯდება.

ფსალმუნი რეკორდულ თანხად შეაფასეს

ძალიან უბრალო, სადა წიგნი, რომლის ხილვა ნიუ-იორკშია შესაძლებელი, სავარაუდოდ, მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი წიგნი იქნება. „სოტბის“ აუქციონის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ უბის ფსალმუნი 30 მილიონ დოლარად გაიყიდება. ფსალმუნი 1640 წელს, მასაჩუსეტსის შტატში, კემბრიჯშია დაბეჭდილი და, სავარაუდოდ, ის ამერიკაში გამოშვებული პირველი წიგნია. ცნობილია, რომ არსებობს ფსალმუნის მხოლოდ 11 ასლი. ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ 1947 წელს გაიყიდა 151 ათას დოლარად, რაც იმ დროისთვის რეკორდულ თანხას წარმოადგენდა.

ადამიანის იმუნიტეტი ადამიანის ცვლილებას ამოწმებს

ბრიტანელი მეცნიერების განცხადებით, თვე, რომელშიც ადამიანი დაიბადა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმუნიტეტის ჩამოყალიბებაზე და, შესაძლოა, უფროს ასაკში გაფანტული სკლეროზის განვითარების მიზეზი გახდეს. სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც, წლის სხვადასხვა დროს დაბადებული 100 ადამიანის სისხლი საგულდაგულოდ შეისწავლეს, შედეგად კი გაირკვა, რომ ყველაზე ხშირად გაფანტული სკლეროზი მაისში დაბადებულებს ემართებოდათ, მათ ასევე აღენიშნებოდათ „დე“-ვიტამინისა და კალციის ნაკლებობა. საპირისპირო შედეგი აღმოაჩნდათ ნოემბერში დაბადებულებს — მათ ყველაზე მაღალი იმუნიტეტი ჰქონდათ.



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.